

საქართველოს კომპოზიტორთა შემოქმედებითი კავშირის ჟურნალი

# მუსიკა

MUSIKA

Journal of Creative Union of Composers of Georgia

2011



№ 2





მუსიკოსები. ძველი ჩინური თოჯინები.

# მუსიკა

MUSIKA

Journal of Creative Union of Composers of Georgia

2 · 2011

<b>დღევანდელთა</b>	
<i>მზია ჯაფარიძე. ქართული მუსიკის სიასლანი პროვლემების შუაში</i> .....	2
<b>თარიღი</b>	
<i>ნოდარ მამისაშვილი. ანდრია პალანდიაშვილის შვიდი ბავშვითელი</i> .....	7
<i>მერი დავითაშვილი ღმერთმა განათლეს</i> .....	12
<b>ფესტივალი</b>	
<i>ნატო მოისწრაფიშვილი კონსერვატორიაში</i> .....	13
<b>ქართული მუსიკოსები უცხოეთში</b>	
<i>ნარგიზა გარდაფხაძე-ლემსო თორაძე ვაჟინგოსტონში</i> .....	25
<b>ოპერა</b>	
<i>გვანუა ღვინჯილია. საოპერო მუსიკის გალა კონსერტი</i> .....	32
<b>ბასსენება</b>	
<i>მანანა კორძია. ბასონი ანსონი</i> .....	34
<b>განათლება</b>	
<i>ალექსი შანიძე. საქართველოს თავისი ნიჭის უხვად გახვეწა სკოლაში</i> .....	38
<b>კონკურსი</b>	
<i>მამუკა ნაცვალაძე. გიორგი მარტიანი სახელობის კონკურსი</i> .....	44
<b>შთაბეჭდილება</b>	
<i>რუსუდან ქუთათელაძე. დაუვიწყარი მოგონებები</i> .....	47
<b>ფოლკლორი</b>	
<i>სოფიო ჯერვალიძე. დამინანებელი სამაღლოები</i> .....	53
<b>მემკვიდრეობა</b>	
<i>გულბათ ტორაძე. „ლასაგა“, უთუოდ იმსახურებს დადგას</i> .....	58
<b>კინო და მუსიკა</b>	
<i>ნანა ქავთარაძე. ნოდარ გაგინიასული კინომუსიკა</i> .....	59
<b>ფალიაშვილის სახელმწიფო ფონდის</b>	
<i>თამარ ჩინჩლაძე-მარი. მუსიკოსი ფალიაშვილები</i> .....	65
<b>ფესტივალი</b>	
<i>ნინო მესხი.</i>	
<b>ბავშვთა კვირეული</b> .....	68
<b>www</b> .....	70
<i>ნესტან (ნუგეშა) მესხი.</i>	
<b>ბიძინა და სულხანი</b> .....	72

რედაქციისაგან: 3 – 4 გვერდზე მეტი მოკულობის მასალა არ მიიღება.



ჟურნალი გამოიცემა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით

ISSN 1987-7773

რედაქციის მისამართი: მისიელ ოძელი  
 თანარედაქციები: მზია ჯაფარიძე, თამარ ნულუკიძე  
 დირექტორი: ვახტანგ რურუა, ვანო კიკნაძე, გოგი ჭეფხობაძე

მისამართი: დავით აღმაშენებლის 123  
 ტელ.: (+995 32) 95 41 64, (+995 32) 96 75 05  
 ფაქსი: (+995 32) 96 86 78

# ქართული მუსიკის სიასლანი

## პრობლემატის უუუა

(კამერული მუსიკის კონცერტი)

2010 წელი ძალზე მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ქართული პროფესიული მუსიკისათვის და, განსაკუთრებით, ქართული საკომპოზიტორო სკოლისათვის. ლამის 20 წლიანი წყვეტის შემდეგ სახელმწიფომ მოხედა ქართულ პროფესიულ მუსიკას და დააფინანსა კომპოზიტორთა კავშირი კონკურსებისა და კონცერტების ჩასატარებლად. ყველა ქართველი მუსიკოსისათვის და ქართული მუსიკის გულშემატკივრისათვის ეს განსაკუთრებული მოვლენა იყო. აღმოჩნდა, რომ ქართველი კომპოზიტორები მუშაობენ, ქმნიან ახალ ნაწარმოებებს... გამოჩნდა ახალი სახელებიც.

კონცერტები საინტერესო იყო იმიტომაც, რომ მასში სხვადასხვა თაობის კომპოზიტორებმა მიიღეს მონაწილეობა. კონკურსები (ოთხი) სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოებებს მოიცავდა: კამერულ-ინსტრუმენტულს, ვოკალურს, სიმფონიურს, საგუნდოს და საბავშვო მუსიკის ჟანრსაც კი. სწორედ კონკურსზე გამარჯვებული და ასევე საკონცერტოდ სპეციალურად, პროფესიონალებით დაკომპლექტებული ჟიურის მიერ შერჩეული ნაწარმოებები შესრულდა შემდგომ ორ სიმფონიურსა

და საგუნდო მუსიკის კონცერტებზე.

ახლაც, 29 ივნისს კომპოზიტორთა სახლის საკონცერტო დარბაზში გამართულ კამერული მუსიკის კონცერტზე, ისევე, როგორც სიმფონიური და საგუნდო მუსიკის კონცერტებზე, შესრულდა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს და საქართველოს კომპოზიტორთა შემოქმედებითი კავშირის 2010 წლის კონკურსში პრემირებული ნაწარმოებები: „სოლო და საანსამბლო ინსტრუმენტული საბავშვო ნაწარმოებების“ კონკურსში გამარჯვებული კახა ცაბაძის (I პრემია) საფორტეპიანო პიესების კრებულიდან „ჩემს ნორჩ მეგობრებს“ ორი პიესა: „მშობლიური პეიზაჟი“ და „სასიხარულო ამბავი“, ასრულებდა ნორჩი პიანისტი ელენე შავერვაშვილი, ამავე კონკურსში III პრემიამზე ნომინირებული თამარ ვაშაკიძის „5 საფორტეპიანო პიესა“ (ფ-ნო – გიორგი აბულაძე) და კახა ცაბაძის „პატარა პოემა“ ჩელოსა და ფორტეპიანოსათვის, (ჩელო – ლიზი რამიშვილი, ფ-ნო – ირმა გივანი).

პროგრამაში შევიდა აგრეთვე „ქართველი პოეტების ლექსებზე შექმნილი ვოკალური ნაწარმოებების“



ლიზი რამიშვილი, ელენე შავერზაშვილი, ირმა გიგანი

კონკურსში გამარჯვებული თხზულებები: კახა ცაბაძის „მასკარადი“, ოთარ მამფორიას ლექსზე (I პრემია), ასრულებდნენ ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტი ირინე რატიანი (სოპრანო) და ვიკტორია ჩაპლინსკაია (კონცერტმაისტერი); რუსუდან ხორავას „ღვთისმშობელო მარიამ“ (II პრემია), მაკა ვირსალაძის „შენ ზღვის პირად“ გალაკტიონ ტაბიძის ლექსზე (III პრემია), ასრულებდნენ ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტი ელენე ფანჯალია (მეცო-სოპრანო) და ვიკტორია ჩაპლინსკაია (კონცერტმაისტერი) და გიორგი შავერზაშვილის „საყურე“ ნიკოლოზ ბართაშვილის ლექსზე (III პრემია), სოლისტი ირინე რატიანი, კონცერტმაისტერი – ვიკტორია ჩაპლინსკაია.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, რომ ქართული კომპოზიტორების ნაწარმოებებს პროფესიონალი და გამოცდილი შემსრულებლების გვერდით ასრულებდნენ, მართალია, უკვე რამდენიმე კონკურსში გამარჯვებული, მაგრამ მაინც დამწყები ახალგაზრდა შემსრულებლები (ლიზი რამიშვილი, ირმა გიგანი,

ელენე შავერზაშვილი). მათ მშვენივრად გაართვეს თავი დასახულ ამოცანას და შესანიშნავად წარმოაჩინეს საკუთარი პოტენციალი.

ეს კონცერტი ბოლო იყო კონცერტების ციკლში „ქართული მუსიკის სიახლეები“ სადაც უკვე გამოიკვეთა მთლიანი სურათი ქართულ პროფესიულ მუსიკაში არსებული მდგომარეობისა. ვფიქრობთ, პროცესები ანალიზს საჭიროებს. დასანანია, რომ არ გაიმართა პროფესიული დისკუსია მიმდინარე მოვლენებზე, რისი პრაქტიკაც ოდესღაც კომპოზიტორთა კავშირს ჰქონდა. ასევე დასანანია, რომ სათანადოდ არ იყო ჩართული პრესა და ტელევიზია. მომავალში სასურველია ეს ხარვეზები გამოსწორდეს, რათა ქართული მუსიკის მსმენელთა წრე გაფართოვდეს.

მთლიანობაში, კონკურსებმა და კონცერტებმა ცხადყო, რომ ქართული საკომპოზიტორო სკოლის წინაშე უამრავი პრობლემა და ეს არ ეხება მხოლოდ ფინანსურ და ტექნიკურ საკითხებს, არამედ შემოქმედებითსაც. საზოგადოდ ქართულ მუსიკაში უპირატესად მხატვრული პრობლემები დიდ ფორმებში უფრო



ელენე ჯანაია, ირინა რატიანი

მკაფიოდ ჩნდება ხოლმე — დრამატურგიის, ფორმის, საკომპოზიტორო ხერხების, რომელიც სათქმელს კი არ მოაქვს, არამედ პირიქით. როგორც მოცარტი ამბობს ფორმანის ფილმში: „ნაწარმოებში გუსტად იმდენი ნოტი უნდა იყოს, რამდენიც საჭიროა, არც ერთი ნოტი მეტი, არც ერთი ნოტი ნაკლები“, ისევე როგორც ტემბრი, ხერხი... დღეს ვერავის გააკვირვებ ვერც ტემბრით, რომელსაც ზოგჯერ არავითარი დრამატურგიული დატვირთვა არა აქვს, ვერც ატონალობითა და ალუ-ატორიკით, ვერც ელექტროაკუსტიკური ხერხებითა და ვერც ინტერტექსტით, რომლის სხვადასხვა ფორმებით გამოვლინება უძველესი დროიდანაა ცნობილი და ა.შ ჩვენი აზრით, დღეს თუ რამით გააკვირვებ მსმენელს, კვლავ დიდი სულიერებით, რომლის ნაკლებობას ამკარად განიცდის თანამედროვე სამყარო და საკუთარი სათქმელით, თვითმყოფადობით.

ბუნებრივია, გასულმა უმძიმესმა წლებმა თავისი

კვალი დაამჩნია ყველა სახელოვნებო დარგს. ერთი მხრივ, სახელმწიფოს, სულ მცირე, ორი ათეული წელი არ ჰქონდა კულტურულ-საგანმანათლებლო პოლიტიკა, შესაბამისად მოიშალა საგანმანათლებლო სისტემა, ხოლო ახლის დამკვიდრებას, ე.წ. რეფორმას, საკმაოდ დრო სჭირდება, იგი დღემდე მკაფიოდ არ ჩამოყალიბებულა. იყო სერიოზული შეცდომებიც, რომლის შედეგებსაც ვიმიკით კიდევ.

ასევე უარყოფითი კვალი დაამჩნია ამ პროცესს თაობათა შორის წყვეტამ. ქართული პროფესიული მუსიკა აღარ სრულდებოდა და ახალი თაობა, თუკი იყო ასეთი, მის წინამორბედ ქართველ კომპოზიტორთა შემოქმედებას ან არ იცნობდა, ან ყურმოკრულად თუ გაეგო რამე.

ამ პროცესში ლომის წვლილი შეასრულა ტელერადიოსივრცემ, რომელიც დღემდე თითქმის არ უთმობს ადგილს ქართულ პროფესიულ მუსიკას. ამავე

დროს, არ ხდება ქართველი კომპოზიტორებისა და ქართული მუსიკის საფონდო ჩანაწერების დაზღვევა, რაც უარყოფითად აისახება არა მხოლოდ ქართული საკომპოზიტორო სკოლის განვითარებაზე, არამედ მის ისტორიასაც მიანს აყენებს. ფაქტობრივად, დღეს აღარ ვიცით რა ხდებოდა გუშინ პროფესიულ მუსიკაში, 50 წლის შემდეგ კი წარმოუდგენელი იქნება მიმდინარე მუსიკალური ცხოვრების სრული სურათის აღდგენა. ამისათვის მსოფლიო პრაქტიკაში არსებობს ტელე-რადიო ორკესტრები (არა მხოლოდ განვითარებულ ქვეყნებში, რომლებსაც არაერთი სიმფონიური, კამერული თუ საგუნდო კოლექტივები ჰყავთ, არამედ განვითარებად და ახლადჩამოყალიბებულ სახელმწიფოებშიც კი). ჩვენ კი გავუქმეთ ტელე-რადიო ორკესტრი, ხოლო მის სანაცვლოდ ვერაფერი მოვიფიქრეთ, თუნდაც კონტრაქტები კოლექტივებთან, რომლებიც პერიოდულად საფონდო ჩანაწერებისათვის ქართულ მუსიკას შესარულევენ. დღეს ამ კუთხით რაც კეთდება, მხოლოდ კერძო ინიციატივების წყალობით და ბუნებრივია, ჩანაწერებიც უხარისხოა. საბედნიეროდ, არსებობს გასულ საუკუნეში შექმნილი ტელე-რადიოს ოქროს ფონდი, რომელსაც დღეს ყველა ტელევიზია წარმატებით იყენებს. თუ სახელმწიფომ ამაზე არ იზრუნა, მომავალში ასეთი ფონდი აღარ გვექნება.

რამდენიმე ათეული წელია თაობები იზრდებიან ხელოვნებისათვის არანოყიერ ნიადაგზე. ამიტომაც ახალგაზრდებს არა აქვთ მოტივაცია თავისი მომავალი დაუკავშირონ მუსიკას, რაც კონსერვატორიის წლებიდანვე მისაღებ გამოცდებზეც გამოჩნდა. ამიტომ, რა გასაკვირია, რომ არ ჩანს ისეთი მკვეთრი ინდივიდუალობის მქონე თაობა, როგორებიც იყვნენ 50-იანელები, 60-იანელები და თუნდაც 70-იანელები. თუ ადრე იყო კომპოზიტორთა, ზოგადად მუსიკოს-შემოქმედთა თაობები, ახლა არიან ერთეულები, მათ შორის მკვეთრი ინდივიდუალობები, სამწუხაროდ, იშვიათობაა.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის წლებმა დადებითი მოიტანა — პირველ ყოვლისა, ეს ხება ინფორმაციული სივრცის გახსნილობას, ცენზურის გაუქმებას, რასაც წინა თაობები მოკლებულნი იყვნენ. ეს ორი ფაქტორი დადებითად უნდა აისახულიყო შემოქმედებით პროცესზე, მაგრამ პირიქით



თამარ ვაშაკიძე

მოხდა. სამწუხაროდ, ახალი ინფორმაციის მიღების მსურველთა რიცხვმა თანდათან იკლო და არაადეკვატური ასახვა ჰპოვა. უახლესი საკომპოზიტორო ტექნოლოგიების ათვისების მადევართ, სათქმელი უკანა პლანზე დარჩათ, თუ საერთოდ ჰქონდათ ასეთი და სიახლე უნიჭობის საფარად იქცა. თუმცა ტექნოლოგიურადაც ახალი ხშირად არაფერია... გავიხსენოთ XXს-ის უდიდესი ნოვატორის, სტრავინსკის სიტყვები, სტრავინსკისა, რომლის შემოქმედებაში აისახა ყველა ის მიმდინარეობა და საკომპოზიტორო-ტექნოლოგიური სიახლე, რაც კი არსებობდა იმ პერიოდისათვის მუსიკალურ (და არა მხოლოდ მუსიკალურ) ხელოვნებაში. იგი წერს: „ექსპერიმენტი“ რაღაცას ნიშნავს მეცნიერებებში, მაგრამ ის არაფერია კომპოზიციაში. არცერთი მუსიკალური ნაწარმოები არ შეიძლება იყოს მხოლოდ „ექსპერიმენტული“; ეს ან არის მუსიკა, ან არაა მუსიკა... შარტრის ტაძრის ვიტრაჟისტები მცირეოდენ ფერებს ფლობდნენ, დღევანდელ ვიტრაჟისტებს კი ისინი ასეულობით აქვთ, მაგრამ არ არსებობს თანამედროვე შარტრი. ახლა ორგანებს მეტი რეგისტრი აქვთ, ვიდრე ოდესმე, მაგრამ ბახი — არა გვყავს. მაშასადამე, საქმე რესურსების გაფართოებაში კი არაა, არამედ ადამიანებში და იმაში, რისიც მათ სწამთ“.

ჩვენი წერილის მიზანი არ იყო ქართული მუსიკის სიახლეების დეტალური განხილვა და ანალიზი, უბრალოდ გვინდოდა ყურადღება გაგვემახვილებინა



იმ პრობლემებზე, რომლებიც დიდი ხანია ქართული საკომპიუტერო სკოლის წინაშე დგას და მასზე საუბარს თავს არიდებენ ხოლმე. აღნიშნული საკითხები ფართო განხილვის საგანი უნდა გახდეს მომავალში – მასზე უნდა იმსჯელონ სპეციალისტებმაც და ფართო საზოგადოებრიობამაც, რაც ნაყოფიერ შედეგს გამოიღებს, პირველ ყოვლისა კომპიუტორებისათვის. მაგალითად, ქართველი რეჟისორები ითხოვენ კრიტიკას, მსჯელობას და გაცნობიერებულ აქვთ, რომ ეს აუცილებელია მათი ხელოვნების წინსვლისათვის. დროა ქართველმა კომპიუტორებმაც იფიქრონ ამაზე.

დაბოლოს, მიუხედავად პრობლემებისა, საკომპიუტერო კონკურსები და კონკერტების ციკლი „ქართული მუსიკის სიახლეები“ მომავალში უდავოდ გააჩენს მოტივაციას და შექმნის ნაყოფიერ ნიადაგს ახალი ნაწარმოებების შექმნისათვის.

მარცხნიდან: მარინა ქავთარაძე, ვიკტორია ჩაპლინსკაია, გიორგი შავერვაშვილი, პასა ცაგაძე, ელენე ჯანჯალია, რუსუდან ხორავა, თამარ ვაშაკიძე, ირინა რატიანი. წინ: მკაპ ვისსალაძე



ანდრია ბალანჩივაძე

# ანდრია ბალანჩივაძის უპიდი გაკვეთილი

ანდრია ბალანჩივაძეზე ბევრი რამ არის თქმული, ბევრიც დანერგილი. იუმორისტული ეპიზოდებიც ღიმილიანად დაიბადნენ და დამკვიდრდნენ მის ცხოვრებაში და ახლა მონატრების სიყვარულით ათბობენ მოგონებებს.

სიცოცხლის ნათელისა და სილამაზის პოეტური განცდით აღსავსე ადამიანის, ქართული პროფესიული მუსიკის ერთ-ერთი ფუძემდებლის, ბატონ ანდრიას შემოქმედებითი პორტრეტი ყველა ჩვენგანისათვის

საოცრად ძვირფასი და დაუვინყარია. დღეს მან უკვე ქართული მუსიკის ისტორიაში გადინაცვლა და მაინც ჩვენთან, ჩვენს ყოველდღიურობაში დარჩა, სიცოცხლეს აგრძელებს თავის მუსიკაში, რომელიც ისეთივე უბრალოებით და სიკეთით არის აღსავსე, როგორც მისი საქართველოს სიყვარულში დახარჯული გული.

მე რაღა შემიძლია ყოველივე თქმულსა და დაწერილს დავუმატო? და მაინც მგონია, რომ შესა-

ძლებელია წარმოვიდგინოთ ამ შესანიშნავი ადამიანის ცხოვრების კიდევ ერთი ფურცელი, კიდევ ერთი "ჩემი პორტრეტი" პედაგოგისა, ოღონდ ყოველგვარი აღმზრდელობითი მნიშვნელობისა თუ დანიშნულების ტრაქტატებისა და სტატიების გარეშე. ამჯერად გადავწყვიტე ჩემი და საყვარელი მასწავლებლის ურთიერთობის ყველაზე მნიშვნელოვანი ეპიზოდები გავიხსენო. ჟურნალისთვის შევარჩიე მხოლოდ შვიდი და ჩემს წერილსაც "შვიდი დაუვინყარი გაკვეთილი" დავარქვი. რა თქმა უნდა, წერილში არ იქნება ანდრია ბალანჩივაძის პედაგოგიურ ხერხებზე და მეთოდებზე საუბარი, ამგვარი ანალიზი, ალბათ, ცალკე სამეცნიერო შრომის თემაა. მე მხოლოდ ჩემი შემოქმედებითი ცხოვრების იმ ეპიზოდებს გავიხსენებ, სადაც, ვფიქრობ, შესანიშნავად ჩანს ბატონ ანდრია ბალანჩივაძის საოცარი პედაგოგიური და ადამიანური ალღო.

**გაკვეთილი პირველი**

ეტყუდი ვიოლინოსათვის ფორტეპიანოს თანხლებით – ასეთი გახლდათ პირველ კურსზე პირველი დავალება კომპოზიციაში. მე, რა თქმა უნდა, საშინლად ვლეღავდი. მსურდა, რაღაც განსაკუთრებული დამეწერა. ვარიანტებს ვწერდი, ვშლიდი და ვხევედი. ერთი სიტყვით, ნაწარმოების დასრულება გაკვეთილისთვის ძლივს მოვასწარი და ნიუანსებზე, სიმართლე რომ ვთქვა, არც კი მიფიქრია.

ბატონმა ანდრიამ (ვიდრე ნოტებს ნახავდა) მკითხა: - თქვენ ეტიუდი უბრალო საგარეჯიმოდ წარმოიდგინეთ, თუ მხატვრული ჩანაფიქრიც გაქვთო?

ჩემი ჩანაფიქრი ეტიუდის სათაურშიც ჩანდა – "ფოთლებში მოშრიალე ნიავი" და ამიტომ, პასუხის ნაცვლად, მასწავლებელს ნოტები დავუდე მავიდაზე.

ბატონმა ანდრიამ თხზულების სათაური მოინონა და ბრძანა: - მე თვითონ შევასრულებო. მიუჯდა როიალს, რაღაც უცნაურად გაიღიმა და ისეთი ბრახა-ბრუხი ატეხა, რომ ნებისმიერ გრივალს თუ ქარბორბალას შემურდებოდა.

8

მე გულგახეთქილი ვისმენდი ამ "უბედურებას", ბოლოს ველარ მოვითმინე და შევეკედრე: - ანდრეი მელიტონოვიჩ, ეს ხომ ნიავია?!!

მაშინ მან თეატრალურად გულუბრყვილო სახე მიიღო და მითხრა: - კი მაგრამ, თქვენ ხომ ნოტებში არც ერთი ნიუანსი არ გინერიათ, ესე იგი თქვენთვის სულ ერთია, როგორი სიძლიერით შეასრულებენ და მეც უფლება მაქვს ხმამაღლა დავუკრაო.

ასე მივიღე პირველი ნათლობა საკომპოზიტორო დაოსტატების ხანგრძლივ გზაზე და ნიუანსების ფიქსირებაც ჩემს პირველ პროფესიულ ჩვევად იქცა.

**გაკვეთილი მეორე**

მე-20 საუკუნის დასაწყისში პოეტ-ფუტურისტების პირველი შეტევა კლასიკური ფორმების წინააღმდეგ ფონეტიკური გამოგონებითა და სასვენი ნიშნების "დამარცხებით" დაგვირგვინდა. რაღაც ამდგვარი ხდება ხოლმე ახალგაზრდა კომპოზიტორების პირველ ძიებებშიც. ისინი ფორმისა და შიდა სტრუქტურების დეფორმაციასა და დაშლას ჯერ ვერ ახერხებენ, სამაგიეროდ, ადვილად უცხადებენ ბრძოლას კონსონანსებსა და ალტერაციის ნიშნებს. ამ თვალსაზრისით, არც მე გახლდით გამოჩაკლისი. ასე გეჩვენება, რომ დისონანსების ჩამატებით და ალტერაციის ნიშანთა არჩევანის თავისუფლებით ხდება რღვევა დამკვიდრებული კანონიკისა. ეს, რა თქმა უნდა, ახალგაზრდული ილუზიაა და ხშირად იგი განპირობებულია შედარებით რთული, ან მართლაც რთული ჰარმონიული სტრუქტურების ფიქსაციის არცოდნით.

ამგვარი დამოკიდებულება სახიფათო სენია, რადგან იგი პირველად სანოტო დამწერლობის უცოდინრობიდან ადვილად გადადის დილექტანტიზმში, შემდეგ კი ვითარდება ეკლექტიკაშიც.

ანდრია ბალანჩივაძემ აქაც თავისებური მეთოდი იხმარა. მან ჩემს თხზულებაში თითოეულ მცდარად შერჩეულ ალტერაციის ნიშანს შესაბამისი ჰარმონია შეუნყო და ჩემი მუსიკა ისე ააჭრელა, რომ ისევ ხვეწნა-მუდარა დამჭირდა ნაწარმოების შესრულების შესაწყვეტად.

შემდგომში კიდევ უფრო ღრმად ჩავწვდი ამ გაკვეთილის მნიშვნელობას. მუსიკაში ყოველი გამომსახველი ნიშანი თავისთავადი ინფორმაციის მატარებელიც არის, იგი თავისებურ ინერციას აძლევს ჩვენს

ქვეცნობიერს. ამიტომ მისი არასწორი ფიქსაცია – შერჩევა ხელს უშლის არამართო ელემენტარულ პროფესიულ ჩვევათა გამომუშავებას, არამედ თვით მხატვრული სახის სრულყოფილად ჩამოყალიბების პროცესს და ბოლოს, საკუთარი ხელნერის გამომუშავებასაც.

**გაკვეთილი მესამე**


გოეთეს ტექსტზე “ია” დაწერე მეტად თავისებური რომანსი (ტრიო) – სოპრანოს, ვიოლინოსა და ფორტეპიანოსთვის. მე ძალიან მიყვარს ყვავილი ია, მისი საოცარი სინაზე და კიდევ რაღაც, სიტყვით რომ ვერ გამოთქვამ. ვაჟა-ფშაველას “იაც” ხომ საოცარი მოთხრობაა. ალბათ, ამიტომ, გოეთეს “ია” მთელი არსებით შემეყვარდა და როცა რომანსს ვწერდი, ასე მეგონა – კი არ ვწერდი, იას ვეფერებოდი. ბუნებრივია, ასეთი განცდით წარმოდგენილი ია უჩვეულო შემოთვბავს აღძრავდა ჩემს სულში, მითუმეტეს, როცა მის არსებობას ადამიანის ძალმომრეობა დაემუქრებოდა. ნაწარმოებშიც მისი დაღუპვა ისეთი დრამატიზმით ავსახე, რომ ლამის სამყაროს აპოკალიფსის ტრაგედიას გავუტოლე.

ბატონმა ანდრიამ მისთვის ჩვეული ტაქტით მკითხა: - აი, პატარა ბავშვი, დედისერთა გოგონა რომ დაღუპულიყო, იმას როგორღა ასახავდიო, ან შენთვის ყველაზე ძვირფას ადამიანს რომ ვიღაცის გადასარჩენად საკუთარი სიცოცხლე გაეწირა, მაშინ როგორ მუსიკას დაწერდიო?

და მე გამახსენდა დიდი ილიას სიტყვები, რომ დიდი მწუხარება “ცრემლს უშრობს” კაცსა და რომ ამ ლამაზი თქმის გვერდით აგრეთვე არსებობს რეკვიემის ერთ-ერთი სტროფის საწყისი სიტყვებიც “ეს ცრემლიანი დღე”, და რომ ხმაურიანი აკორდებიც ყოველთვის არ არის აუცილებელი დიდი განცდის გამოსახატავად, მაგალითისთვის თუნდაც ავიღოთ “Lacrimosa” მოცარტის რეკვიემიდან..

საოცარია, მაგრამ უსასრულო მწუხარებასაც კი თურმე ხელოვნებაში დიდი მხატვრული განზომილებები ჰქონია.

მე კვლავ დავუბრუნდი ჩემს ტრიოს და მთლიანად შევცვალე მისი შუა ნაწილი. შევცვალე და ვიგრძენი,



ანდრია ბალანჩივაძე

რომ მასთან ერთად მეც შევიცვალე და ეს იყო დასაწყისი საკუთარ შემოქმედებით მესთან მისასვლელი გზისა.

**გაკვეთილი მეოთხე**

კონსერვატორიის პირველ კურსზე ა. ბალანჩივაძის კლასის კონცერტზე ჩემი ნაწარმოებებიც შესრულდა. “სკერცო”-ს ფლეიტისათვის დიდი წარმატება ხვდა წილად. ერთმა რეცენზენტმა კონსერვატორიის სასულე (ჩასაბერი) ინსტრუმენტების კათედრასაც კი ურჩია იგი სასწავლო პროგრამაში შეეტანათ. ალბათ, ადვილი წარმოსადგენია, რომ ასეთი წარმატება და თანაც პირველკურსელი სტუდენტისათვის დიდი ბედნიერება არის. სამაგიეროდ ჩემმა რომანსმა-ტრიომ, დაწერილმა გოეთეს ტექსტზე “ია” კრახი განიცადა. საშინლად გააკრიტიკეს, უბრალოდ “გააცამტვერეს”.

ეს იმდენად უსამართლოდ მეჩვენა და იმდენად ეწინააღმდეგებოდა რომანსის ამგვარი შეფასება ჩემს შემოქმედებით მისწრაფებებს, რომ განრისხებულმა ნაქები “სკერცო” ფლეიტისათვის დავხე, ხოლო იმ

დანუბულ ტრიოს დღეს სათუთად ვინახავ.

რას ერჩილი "სკერცოს" –ო მითხრეს მეგობრებმა. მეც, ცოტა არ იყოს, შევწუხდი და ბატონ ანდრისასაც ჩემს საქციელში გამოვუტყდი.

გასაოცარი იყო მისი რეაქცია. მე ვეცდები სიტყვა-სიტყვით გავიშეორო: – შენ რომ "სკერცო" როგორც ნაწარმოები დაგეხია, ეს მართლაც სისულელე იქნებოდა, მაგრამ შენთვის სკერცო იყო სიმბოლო იმ შემოქმედებითი ხედვისა, რომელთანაც გსურდა შეგეწყვიტა თანაარსებობაო (აქ იძულებული ვარ, რუსული ტექსტი, როგორც ორიგინალი მოვიშველიო, რადგან იგი უკეთ ასახავს სიტყვათა მნიშვნელობებს: Ты порвал не "Скерцо", а порвал с тем прошлым, которое мешало тебе двигаться к большому Новому, Неизведанному. – მაგრამ ამ შენს ხასიათში კიდევ ერთ ნიშანს ვხედავო, – დასძინა მან, – ალბათ, აღიარებაც უფრო გვიან მოხდება, ვიდრე მას დაიმსახურებო. და მაინც ვახსოვდეს, რომ ყველაზე მთავარი ხელოვანისთვის არის ის, რომ არ დაენანოს აპლოდისმენტების მიტოვება, თუკი მას მართლა სხვა დიდი მიზანი აქვსო.

**გაკვეთილი მეხუთე**

მოგეხსენებათ, საბჭოთა პერიოდში თანამედროვე ინფორმაციის წინააღმდეგ ხელოვნებაში "ცამდე აწვდილი" ბლუდეები გახლდათ აღმართული. "ქაოსი, ნაცვლად მუსიკისა" – ასეთი განაჩენი ჰქონდა გამოტანილი მუსიკალურ ავანგარდს.

ერთხელ მალერის მეშვიდე სიმფონიას ვარჩევდი კლასში (ჩუმად გამოვიტანე ბიბლიოთეკიდან), ერთმა პედაგოგმა შემომისწრო, ამბავი მიიტანა იქ "სადაც საჭირო იყო" და სტუდენტურ სტიპენდიაზე წარდგინილს სასწრაფოდ სტიპენდია მომიხსნეს, ხოლო ჩემი საქციელი დაგმეს!!! ამას იმისთვის ვყვები, რომ უკეთ წარმოიდგინოთ მომდევნო ეპიზოდი, რომელიც შემდგენაირად დაიწყო:

როგორც იტყვიან ხოლმე, ერთ მშვენიერ დღეს რუსეთიდან ჩამობრძანდა ცნობილი მუსიკისმცოდნე ენტელისი. მან პირველი ლექცია რატომღაც ოფიცერთა სახლში ჩაატარა.

ლექციის პირველი ნახევარი ზოგადად დოდეკა-

ფონიის რაობას, ან უკეთესად რომ წარმოიდგინოთ, მის "არა რაობას" და სრულ განადგურებას მიუძღვნა. მეორე ნახევარში კი "დოდეკაფონიის თუ ავანგარდის" (როგორც მან ბრძანა) თითოეული წარმომადგენელი ჯორდანო ბრუნოსავით კოცონზე დანვა. მეტი დამაჯერებლობისათვის კი საილუსტრაციოდ ვებერნისა და შონბერგის რამოდენიმე საფორტეპიანო თხზულებაც შეასრულა. ლექტორს, ალბათ ეს ლექცია მუსიკოსებისთვის არ გაუთვალისწინებია (ამაზე მეტყველებდა მსმენელთა უმრავლესობაც) და იქნებ ამიტომ, არც მუსიკალური მაგალითები ჰქონდა კარგად მომზადებული, რადგანაც შესრულებისას ბევრი უხეში შეცდომა დაუშვა, ან შეიძლება იფიქრა კიდევ – "პროვინციაში" ვინ რა უნდა გაიგოსო?

როცა შეკითხვების დრო დადგა, მე სცენაზე ავედი და თანამედროვე მუსიკის მიმართ ასეთი ცალმხრივი დამოკიდებულებისათვის ლექტორს ვუსაყვედურე. ამავე დროს, მის მიერ მოყვანილი მაგალითები ხელმეორედ შევასრულე სანოტო ტექსტის ზუსტი დაცვით. ენტელისი დაბნეული იდგა...

მეორე დღეს იგი კომპოზიტორთა კავშირში იყო მიწვეული (მისი ლექცია აღარ მაინტერესებდა, და სამწუხაროდ, არ წავსულვარ). როგორც ვადმოძკეს, მას იქ თურმე წინა ლექციის საპირისპიროდ უსაუბრია და დოდეკაფონისტების ხოტბით სტუდენტობაც აღუფრთოვანებია. მაგრამ... (ალბათ, ესეც ბედია) საქართველოს კომპოზიტორთა კავშირში ენტელისის უსმენდა თვით კულტურის მინისტრიც. ბატონმა ოთარ თაქთაქიშვილმა ლექტორი სასტიკად გააკრიტიკა დოდეკაფონისტების მიმართ ასეთი ცალმხრივი დამოკიდებულების გამო...

ენტელისი კი კვლავ დაბნეული იდგა...

და აი, კვლავ ხვდებიან მას, ოღონდ ამჯერად უკვე კონსერვატორიაში, რექტორთან. ამ შეხვედრას ესწრებიან პროფესორ-მასწავლებლები, კულტურის სამინისტროსა და თვით ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების წარმომადგენლები. ენტელისის შენიშვნა მისცეს და ბრალად დასდეს ავანგარდიზმის პროპაგანდა საქართველოში. მან, თავის მართლებების მიზნით, ბრძანა, რომ იგი შეცდომაში შეიყვანა ვიღაც ახალგაზრდამ პირველ ლექციაზე და თუ ისინი პროპაგანდისტს

ექებენ, სჯობს თავისთან მოიძიონ. ატყდა თურმე ერთი ამბავი და სწორედ აქ ჩნდება ანდრია ბალანჩივადის, როგორც მოქალაქისა და მოღვაწის ფენომენი. იგი ენ-ტელის მიმართავს, რომ ის ახალგაზრდა ვილაცა კი არა – მისი მოსწავლეა, რომ შონბერგისა თუ ვებერნის შესრულება პროპაგანდა კი არა – განათლებაა, რომ არ შეიძლება ახალგაზრდები შევზღუდოთ თანამედროვე ინფორმაციისაგან, უნდა გავარჩიოთ ინფორმაცია დეზინფორმაციისაგან და რომ არ შეიძლება ჟამთა სვლის შეჩერება და ა.შ.

დამეთანხმებით, ასეთი გამოსვლა იმ დროს არა მართო შემოქმედებითი პრინციპულობის ნიშანია, არამედ იგი კომპოზიტორის მაღალ მოქალაქეობრივ ღირსებებზე მეტყველებს.

ამ მაგალითმა მაშინ კიდევ ერთხელ დამარწმუნა რომ არ არსებობს ტექნიკური ხელოვნება, ნიჭიერება მაღალი ადამიანური ღირსებების გარეშე.

### გაკვეთილი მეექვსე

ერთხელ ანდრია ბალანჩივადის სახელით ახალგაზრდა ქალი მესტუმრა. თურმე ბატონ ანდრიას სურდა, რომ მე ამ ქალის შვილისთვის კომპოზიციის გაკვეთილები მიმეცა და კონსერვატორიაში ჩასაბარებლად მომემზადებინა.

ჩემს ცხოვრებაში ეს იყო ერთ-ერთი მღელვარე მომენტი. თქვენ წარმოიდგინეთ, თავისებურ სიამაყესაც კი განვიცდიდი და მაინც ამ სასიამოვნო განცდას ახლდა ერთი მაგრამ! ეს გახლდათ კერძო გაკვეთილის საფასური. ამიტომ მშობლის შეკითხვაზე, თუ რა ღირს ჩემი ერთი გაკვეთილი, ისე დავიბენი, რომ ჩემთვის გაურკვეველი სიტყვებით ჩავიბურტყუნე, მგონი, – მოვიფიქრებ და შემდეგში გეტყვით, – ამის მაგვარი რაღაც. როგორც კი მშობელი წავიდა, სასწრაფოდ გავჩნდი ბატონ ანდრიასთან და ვკითხე: – ბატონო ანდრია, თქვენ როგორ ფიქრობთ, მე კომპოზიციაში მოსწავლისგან გაკვეთილის საფასური უნდა ავიღო თუ არა?

ჩემს მასწავლებელს გაელიმა და მითხრა: – თუ ის ახალგაზრდა ნიჭიერია ან ტალანტია, მაშინ იგი ახლო მომავალში შენი მეგობარი "მასეტრო" გახდება და თუ ფულს აიღებ თქვენს შორის მუდამ შენი გაკვეთილების

საფასური იდგება და მუდამ შეგანუხებსო და თუ იგი უნიჭია ან უპერსპექტივო და მას გაკვეთილში ფულს გამოართმევ, მაშინ გამოვა, რომ შენ მას ტყუილი მიედი მიეცი და ესეც კარგი ვერაფერი საქციელი არისო.

ეს იყო და ეს, მას შემდეგ მე არასოდეს მიფიქრია ჩემი შრომის საფასურზე – არც კონსულტაციებისა და არც გაკვეთილების დროს, თუმცა ჩემს გარშემო ყოველთვის იკრებოდნენ სწავლას მონყურული სტუდენტები, თუ უკვე კონსერვატორიადამთავრებულები და სხვანი. ახალგაზრდების დახმარება დღეს ჩემი საგანმანათლებლო "სალონის" ტრადიციად იქცა. თუმცა, უფრო ზუსტი თუ ვიქნები, ჩემთან არც წლოვანება არ არის მაინც და მაინც ლიმიტირებული.

### გაკვეთილი მეშვიდე

ბავშვობიდანვე ვოცნებობდი, რომ ანდრია ბალანჩივადის მონაფე ვავმხდარიყავი. ჩემი ეს ოცნება კონსერვატორიაში რეალობად იქცა. გადიოდა წლები და ჩემი და მასწავლებლის შემოქმედებითი გზები სულ უფრო და უფრო სცილდებოდნენ ერთმანეთს. ჯერ იყო და, ჩემმა იმპრესიონისტულმა გატაცებებმა თავისებური ნათლობა მიიღო, და თუ არ ვცდები მუსიკისმცოდნე ნანა ქავთარაძემ დებიუსის ასოციაციით "მამიუსი" მიწოდა.

ჩემი შემდგომი გატაცება ავანგარდობით – ასევე მოხდენილად აღინიშნა. ამჟამად მისი ავტორი გახლდათ გამოჩენილი ქართველი კომპოზიტორი ფელიქს ლლონტი, რომელმაც უკვე ო. მესიანის ასოციაციით "მამისიენი" მიწოდა. ეს უკვე კიდევ ერთი დაშორება გახლდათ ბალანჩივადის კლასიკურ-რომანტიკული სტლის "გადასახედიდან". მაგრამ სწორედ აქ მოხდა საინტერესო რამ: თვით ანდრია ბალანჩივადემ მოისურვა ავანგარდის ახალ სამყაროში გახედვა. იგი ეცნობოდა ო. მესიანის, ა. ვებერნის და სხვათა თხზულებებს. უფრო მეტიც, თვითონ ცდილობდა კონსტრუქციული საკომპოზიტორო სისტემის შექმნას. ეს გახლდათ ტექრაქტორდების დაგეგმარებისა და შერჩევის თავისებური წესი. ანდრია ბალანჩივადეს კარგად ესმოდა, რომ მის "გამოგონებას" აკლდა თეორიული კონცეფცია და სისტემისათვის დამახასიათებელი ნიშნები, ამიტომ დახ-

# ღმერთმა გაანათლოს

მარებისათვის ჯერ მიმართა ქართული მუსიკალურ-თეორიული კათედრის ფუძემდებელს ბატონ შალვა ასლანიშვილს, ხოლო რამდენიმე უშედეგო ცდის შემდეგ მომმართა მეც.

პირველად, როცა ანდრია ბალანჩივადის "სისტემა" გავეცანი, აღმადრთოვანა ავტორის დაუოკებელმა სურვილმა – არ ჩამორჩინოდა დროს. მას ხომ არც სახელი აკლდა, არც ჩინი და არც მუსიკოსთა სიყვარული, მაშ, რაღად სურდა მისთვის სრულიად უცხო სამყაროში შესვლა?

ეს საიდუმლო მისივე უბერებელ ხასიათში იყო, თუმცა შემდეგში დიდი მასტროსაგან მე კიდევ უფრო მნიშვნელოვანი სიურპრიზიც მელოდა.

რადგან ა. ბალანჩივადის ეგრეთ წოდებული სისტემა წარმოადგენდა მხოლოდ ტეტრაქორდთა შერჩევის მიზნობრივ გეგმას, მე შევეცადე ამ ტეტრაქორდების სტრუქტურული ცვლის (მუტაციის) წელი სისტემური დოგმატიკისთვის დამეჭვებებარებინა. ამ თეორიული "ოპერაციის" შემდეგ, მართალია იგი მაინც არ იქცეოდა თუნდაც ლოკალური დანიშნულების სისტემად, მაგრამ მაინც მას მიეცემოდა ავტორისეული ხელწერის კონსტრუქციული ინტერპრეტაციისა და ვარიანტულობის სახე. მაგრამ, როცა ბატონი ანდრია ამ წესთა გარდუვალობის წინაშე დადგა, მან სევდიანად გაიღიმა და თქვა: **Это все очень хорошо, но зрительно, а где же красота музыки?** – ასე აჯობა მუსიკოსმა ანდრია ბალანჩივადემ თეორიტიკოს-გამომგონებელ ბალანჩივადეს. გამახსენდა სერგეი პროკოფიევი, როცა მას ცნობილმა ამერიკელმა მუსიკისმცოდნემ სლონიმსკიმ 12 ბგერიანი "დიდი აკორდი" გამოუგზავნა, პროკოფიევმა პასუხად შეუთვალა: "ემშაკსაც წაუღია "დიდი აკორდი", წერეთ მუსიკაო".

ბატონი ანდრია ეშმაკთან ვერავის გააგზავნიდა, უბრალოდ, ვერ გაიმეტებდა, მაგრამ მას ერთადერთი დევიზი ჰქონდა: "წერეთ ლამაზი მუსიკა!"

სწორედ ამ დევიზით დარჩა იგი მუდამ ჩემს მასწავლებლად და დღემდე ყველა ჩემ შემოქმედებით, აკუსტიკურ, თუ თეორიულ-მეცნიერულ კვლევებსა და გამოგონებებს ახლავს "დიდი მასტროს" გულისთქმა: – წერეთ ლამაზი მუსიკა!!!

1 ივნისი საქართველოსი წმინდა ნინოს შემობრძანების დიდი დღესასწაულია. ამავე დღეს არის დაბადებული ჩვენი სათაყვანებელი ადამიანი, ქვეყნის უდიდესი გულშემმატკივარი და სახელოვანი მოღვაწე, კომპოზიტორი ანდრია ბალანჩივადე.

ქართული სიმფონიური მუსიკის ერთ-ერთი მამამთავარი, პირველი უკვდავი სიმფონიის და მრავალი მაღალმხატვრული ნაწარმოების ავტორი, იგი აგრეთვე გამორჩეული პედაგოგიც იყო. მან სამშობლოს აღუზარდა არაერთი თაობა კომპოზიტორებისა, ასწავლიდა რა მაღალ ოსტატობასთან ერთად მწიბობას, ერთმანეთის მხარდაჭერას და სიყვარულს.

ღრმადმორწმუნე, საუკეთესო პიროვნული თვისებების მქონე დიდ მოღვაწეს, ანდრია ბალანჩივადეს დღეს 105 წელი შეუსრულდებოდა, მაგრამ გეიმისა და სიხარულის ნაცვლად უდიდესი განსაცდელი მოგვიმზადა სანუთრომ. სწორედ მომდევნო დილას, 2 ივნისს, გარდაიცვალა მისი უსაყვარლესი ვაჟიშვილი, უნიჭიერესი, მაღალგემოვნებიანი მუსიკოსი და ბრწყინვალე ადამიანი ჯარჯი ბალანჩივადე.

ცხოვრება ასეთია – სიხარული და მწუხარება ერთადაა. კარგია, ბატონი ანდრია ამ უბედურებას ვერ მოესწრო, თუმცა გვიდან ალბათ ყველაფერს ხედავს და შვილთან შეხვედრასაც ელის.

ღმერთმა გაანათლოს მათი სულეები.



ნიკა მუხანიშვილი

# ეროვნული მუსიკალური ცენტრი და ფესტივალი „კონსერვატორია“

## მიზნები, პრობლემები, შედეგები

სულ რაღაც არასრული 6 წელი გაილია, რაც საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში ეროვნული მუსიკალური ცენტრის მოღვაწეობა წელი-წელ შემოიჭრა, თანდათან ქანი აიღო და მის შემადგენლობაში გაერთიანებული ეროვნული კოლექტივების – სიმფონიური და კამერული ორკესტრების, საგუნდო კაპელისა და სიმებიანი კვარტეტის – მიერ, ადგილობრივი და უცხოეთის სხვადასხვა ქვეყნიდან მოწვეული საუკეთესო დირიჟორებისა და სოლისტების მონაწილეობით გამართული მრავალი მაღალმხატვრული კონცერტით, მთელი რიგი ფესტივალებითა და საბეიძო პლენარული გამოსვლებით დაამახსოვრა თავი თბილისის, ბათუმის,

იური და კამერული ორკესტრების, საგუნდო კაპელისა და სიმებიანი კვარტეტის – მიერ, ადგილობრივი და უცხოეთის სხვადასხვა ქვეყნიდან მოწვეული საუკეთესო დირიჟორებისა და სოლისტების მონაწილეობით გამართული მრავალი მაღალმხატვრული კონცერტით, მთელი რიგი ფესტივალებითა და საბეიძო პლენარული გამოსვლებით დაამახსოვრა თავი თბილისის, ბათუმის,

ქუთაისის, სიღნაღის, ბორჯომის, ჭიათურის, საჩხერის, გორის, მცხეთის, ან მინასთან გასწორებული ერედვის, ფოკას, განმუხურის, გუგუდის, ხობის, სენაკის, ჩხორონყუს მსმენელებს. ის კი არა და, ე. მიქელაძის სახელობის ეროვნულმა სიმფონიურმა ორკესტრმა საქართველოს საზღვრებსაც შორს გააღწია და ერთობ წარმატებული გამოსვლებით საკადრისი აღიარება მოიპოვა საფრანგეთში (პარიზში – სამგზის), გერმანიაში (ბერლინსა და ფრანკფურტში), თურქეთში (სტამბულსა და დოგუზაიბეთში – ორგზის). . .

ყოველივე ამან თანდათან დაამსხვრია იმ სკეპტიკოსთა აზრი, ვინც თავიდან არცთუ ნდობითა და კეთილმოსურნედ მოეკიდა ეროვნული მუსიკალური ცენტრის დაარსების ფაქტს (2005), ვისაც, რბილად რომ ვთქვათ, ნაკლებად სჯეროდა ახლად შექმნილი გაერთიანების სასიკეთო მომავლისა. ამგვარ მოსაზრებათა უტყუარობის საბაბად კი სახელდებოდა ცენტრის ხელმძღვანელად ერთობ ახალგაზრდა, იმხანად მხოლოდ 26 წელს მითანებული, „პროფესიული სადირი-ჟორო განათლებისა და შესაბამისი გამოცდილების არმქონე“, ამდენად ამ თანამდებობისათვის შეუფერებელი პიროვნების, ნიკა მემანიშვილის დანიშვნა. თუმცა არავინ დაეცვებულა ამ მრავალმხრივი მუსიკოსის – კომპოზიტორის, დირიჟორისა და პიანისტის – არაჩვეულებრივ ნიჭიერებასა და შრომისუნარიანობაში, რაც არაერთგზის გამჟღავნებულა თბილისის კონსერვატორიასა და შემდგომ ვენის მუსიკისა და სახვითი ხელოვნების უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში (1999–2003) მისი უშუალო ინიციატივითა და აქტიური მონაწილეობით ხორცშესხმულ არაერთ წარმატებულ პროექტში. მათგან აღსანიშნავია: სტუდენტობისას თბილისის კონსერვატორიის ბიბლიოთეკაში მოძიებული მსოფლიო მუსიკის ისტორიაში ჩვენამდე მოღწეული პირველი საოპერო პარტიტურის – ჯ. პერის „ევრიდიკეს“ (1600) თანამედროვე სანოტო ვერსიის შექმნა და მისი დადგმის მუსიკალური ხელმძღვანელობა (1999); ვია ყანჩელის კინო და სათეატრო მუსიკის პროექტი „ყველას რაიმე აქვს სახსოვარი“ (თბილისი, 2003); ლონდონის ორკესტრის, ანსამბლ „რუსთავისა“ და ბავშვთა კაპელის შესრულებით მისივე ვოკალურ-

ინსტრუმენტული თხზულების „პატარა იმბერის“ პრემიერის, **BBC**-ის გადაღებისათვის და **CM Record**-ში კომპაქტდისკის გამოსაცემად ჩანერის დირიჟორობა (ლონდონი, 2003)...

მას შემდეგ გამოხდა ხანი. ეროვნული მუსიკალური ცენტრის ძალზე შებენიერი მატერიალური (მინიმალური დაფინანსება), შემოქმედებითი (კედლებჩამონგრეული, მოუნყობელი საკონცერტო დარბაზი და სარეპეტიციო სივრცე), საყოფაცხოვრებო (ყოფილ რკინიგზელთა კულტურის სახლის, ამჟამად ცენტრის კუთვნილი შენობის, მთლიანად სარემონტო ინტერიერი) პირობების ფონზე გაერთიანების სამხატვრო ხელმძღვანელი, 2007 წლიდან კი აგრეთვე სიმფონიური და კამერული ორკესტრების მთავარი დირიჟორი ნიკა მემანიშვილი საკონცერტო ცხოვრებას წარმართავს უშრეტი ენთუზიაზმისა და მრავალმხრივი ნიჭის, ცოდნა-უნარის, გამომგონებლობის მაქსიმალური რეალიზაციის საფუძველზე. დიდ ინტერესს იწვევდა ახალგაზრდა დირიჟორის პროფესიული ოსტატობის განუხრელი ზრდა, არაერთგზის გამჟღავნებული ქართული (გ. ყანჩელის, ს. ნასიძის, ნ. გაბუნიას), „ქართულაქცენტური“ ებრაელის ი. ბარდანაშვილის, დასავლეთევროპული (ჰაიდნის, მოცარტის, ბეთოვენის, ბრამსის, შუმანის, შოპენის, სენ-სანსის), რუსული და საბჭოური (რახმანინოვის, სტრავინსკის, პროკოფიევის, შოსტაკოვიჩის, შნიტკეს) სიმფონიური მუსიკის შედეგების შესრულებისას. მის მიერ შემოღებული ყოველკვირეული (პარასკევების) კონცერტების ტრადიციამ უზრუნველყო ვრცელი რეპერტუარის შესრულების შესაძლებლობა და მსმენელიც მრავლად მოიზიდა.

ასეთ ფონზე მსმენელთა განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო ნიკა მემანიშვილის დირიჟორობით წარმატებულად ჩატარებულმა არაერთმა საინტერესო კონცერტმა, მეთადრე – ქართულმა რეპერტუარმა. მათ შორის იყო: ყანჩელის „სტიქის“ სათეატრო ვერსია რუსთაველის თეატრის სცენაზე, ეროვნული სიმფონიური ორკესტრისა და საგუნდო კაპელის მონაწილეობით (სოლისტი ბ. მარკიბ-გილმორი, ჰოლანდია); მისივე საავტორო კონცერტი საოპერო თეატრში,



ნათელა სავანიძე

სადაც შესრულდა „იავნანა მბეს“, „სტიქი“ (სოლისტი მ. რისანოვი, ლონდონი) და „ვალს-ბოსტონი“, სადაც დირიჟორი იმავდროულად სოლისტი პიანისტის პარტიასაც ასრულებდა); გივი ორჯონიკიძის 80 წლისთავის საიუბილეო კონცერტი, რომელშიც გაიქურა დიდი მუსიკისმკოდნის ნათელი ხსოვნისადმი მიძღვნილმა თბულებებმა, მემანიშვილის დირიჟორობით – ბარდნაშვილის კანტატამ „მწუხრის ლოცვანი“ და ყანჩელის ლიტურგიამ „ქართ დატირებული“ დიდი სიმფონიური ორკესტრისა და ალტისათვის (სოლისტი გიორგი ცაგარელი).

და მაინც ვფიქრობ, რომ ეროვნული მუსიკალური ცენტრის ახალგაზრდა ხელმძღვანელის უმნიშვნელოვანესი წამოწყებები ერთგვარადი თუ ტრადიციული ფესტივალების დაფუძნება-ორგანიზებასთან არის დაკავშირებული. ისინი, როგორც წესი, საინტერესო, მრავალფეროვანი და მაღალმხატვრული რეპერ-

ტუარისა და უმაღლესი რანგის შემსრულებელთა მონაწილეობის გამო მსმენელთა დიდი მხარდაჭერით სარგებლობდნენ. ასე გასინჯეთ! ნ. გაბუნია საიუბილეო ფესტივალის („ნოდარ გაბუნია – 75“, 2008, XII) კონცერტებში, რომლებსაც დირიჟორის რანგში წარმართავდა თავად ნიკა მემანიშვილი, სოლისტებად მოწვეულნი იყვნენ გამოჩენილი კომპოზიტორის, პიანისტისა და პედაგოგის აღზრდილი, დღეისათვის ჩვენში თუ უცხოეთში სახელმოხვეჭილი მუსიკოს-შემსრულებლები; ანდა, საქართველოს ე. მიქელაძის სახელობის სახელმწიფო, ამჟამად ეროვნული, სიმფონიური ორკესტრის მოღვაწეობის 85 წლისთავის საიუბილეო ფესტივალის („80+5“, 2010, V) ოთხ საოცარ კონცერტში, სადაც კვლავაც უცვლელი იყო მხოლოდ დირიჟორი – ნიკა მემანიშვილი და ერთმანეთს ეცილებოდნენ მჯობნის მჯობნი სოლისტები: მევიოლინე ლიანა ისაკაძე, პიანისტები კატია სკანავი და მარია მეეროვიჩი, მან-

დოლინისტი ავი ავიტალი, საქსოფონისტი გან ლევი და შეუდარებელი ვირტუოზი, მსოფლიო მესაყვირე ვიქტორ ნაკარიაკოვი, რომელმაც მოხსნა ყველა საშემსრულებლო „რეკორდი“; თანაც ფინალურ კონცერტში საქართველოში პირველად შესრულდა 3 შესანიშნავი თხზულება: ნასიძის „უსასრულობა. „Unfinitas“ დიდი სიმფონიური ორკესტრისათვის, ბარდნაშვილის კონცერტი მანდოლინისა და ორკესტრისათვის და ყანჩელის „დიქსი“ შერეული გუნდისა და დიდი სიმფონიური ორკესტრისათვის. მათ, ვინც დაესწრო ამ ფესტივალის კონცერტებს, უთუოდ დიდხანს შერჩებათ მოსაგონრად საუკეთესოდ შესრულებული საუკეთესო მუსიკით მოგვრილი წარუშლელი შთაბეჭდილება.

გაცილებით უფრო მნიშვნელოვნად მესახება ნიკა მემანიშვილის მიერ დაფუძნებული ტრადიციული ფესტივალები: კამერული მუსიკის ფესტივალი „სტუმრად კვარტეტთან“ — ეროვნული სიმებიანი კვარტეტისა და მისი მეგობარი მუსიკოსების, მათ შორის საზღვარგარეთ მოღვაწე ქართველი და უცხოელი ინსტრუმენტალისტების, მონაწილეობით; და, რაღა თქმა უნდა, თანამედროვე პროფესიული მუსიკის ფესტივალი „კონტრაპუნქტი“. ქვემოთ სწორედ მასზე მოგახსენებთ უფრო დანვრილებით, რამეთუ თავისი ჩანაფიქრით, კერძოდ, ჩვენი დროის უდიდეს, მნიშვნელოვან კომპოზიტორთა მრავალქანრული შემოქმედების ფართოდ გაცნობის შესაძლებლობითა და ამდენად არა მარტო მხატვრული, საგანმანათლებლო მნიშვნელობითაც, მაღალი საშემსრულებლო დონით ეს ფესტივალი სწორედაც რომ გამორჩეული და ორიგინალური მოვლენაა, რომლის მნიშვნელობის გადაფასება შეუძლებელია და რომლის ანალოგი არსად შეგვხვედრია. ამასთან, ჩვენს ამჟამინდელ ყოფაში „კონტრაპუნქტი“ განსაკუთრებით პრობლემატური, მძიმე პროექტია შედარებით ყოველივესთან, რაც აგერ უკვე ექვსი წელია კეთდება ეროვნულ მუსიკალურ ცენტრში.

„კონტრაპუნქტის“ მემანიშვილისეული კონცეფცია სავსებით შესაბამეა ამ ტერმინის მნიშვნელობას — „წერტილი წერტილის პირისპირ“, და ითვალისწინებს აკადემიური მუსიკის სფეროში მოღვაწე ორი თანამედროვე (XX—XXI სს.) კომპოზიტორის — ქართველისა

და უცხოელის — სხვადასხვა ჟანრის საუკეთესო ნაწარმოებთა შესრულებას ეროვნული მუსიკალური ცენტრის საშემსრულებლო კოლექტივების ძალებითა და ადგილობრივ თუ მონვეულ მაღალი კლასის სოლისტთა მონაწილეობით. სტანდარტული „კონტრაპუნქტი“ შედგება სამი კონცერტისაგან. მათგან ორი ფესტივალის კომპოზიტორების საავტორო კონცერტებია, რომლებშიც სრულდება სხვადასხვა ჟანრის (კამერული თუ საგუნდო) თხზულებები; მესამე, ფინალურ კონცერტში კი ორივე კომპოზიტორს ეთმობა თითო განყოფილება და, პროგრამის შესაბამისად, სიმფონიური ორკესტრი და საგუნდო კაპელა, — სიმფონიური, ვოკალურ-სიმფონიური, კონცერტის ან სხვა ჟანრის დიდი ფორმის ნაწარმოებების შესასრულებლად.

ვფიქრობ, რომ დღევანდელი ახალგაზრდობის, რბილად რომ ვთქვათ, ცალმხრივი და ხშირად საეჭვო მუსიკალური გემოვნებისა და მისწრაფებების, უზომოდ მოძალებული შოუ-პროგრამებისა და საკლუბო გართობების პირობებში „კონტრაპუნქტი“ არის ბუსტად მიგნებული ფორმა ეროვნული პროფესიული მუსიკის საუკეთესო ნიმუშების მიმართ საზოგადოებრივი ინტერესის აღორძინებისა და თანამედროვე ქართული საკომპოზიტორო სკოლის მაღალმხატვრულობისა და გამორჩეულობის აღრინდელი იმიჯის აღსადგენად. ეს შესანიშნავად დაადასტურა პირველივე „კონტრაპუნქტმა“ (2007, VI), რომლის კომპოზიტორები იყვნენ სულხან ნასიძე (1927–1996) და ალფრედ შნიტკე (1934–1996) და სადაც ჩამოყალიბდა ის ძირითადი მახასიათებლები, შემდგომში ზოგადად რომ გახდა ნიშანდობლივი „კონტრაპუნქტისათვის“. ასე მაგალითად: შნიტკეს საავტორო კონცერტზე, ქართველ მსმენელთათვის უკვე ნაცნობი სიმებიანი ტრიოსა (1985) და საფორტეპიანო კვინტეტის (1972–1976) გარდა, საქართველოში პირველად შესრულდა მისი 3 თხზულება: საფორტეპიანო ვარიაციები ერთ აკორდზე (1965), სამი მადრიგალი სოპრანოსა და ხუთი ინსტრუმენტისათვის (1980) და სამი ლოკვა შერეული გუნდისათვის. ამათგან კამერული მუსიკა შესარულეს, თანაც შესანიშნავად შესარულეს, კონსერვატორიის კურსდამთავრებულმა და სტუდენტმა ახალგაზრდებმა; მისი ცნობილი საალტო

კონცერტი სიმფონიურ ორკესტრთან ერთად ოსტატურად დაუკრა ასევე ახალგაზრდა სოლისტმა გიორგი ცაგარელმა. ხოლო ნასიძის შემოქმედებიდან, ქართველი მსმენელისათვის უკვე ნაცნობი და მონონებული III სიმებიანი კვარტეტისა („ეპიტაფია“, 1984) და VII სიმფონიის („დალაი“, 1979) გარდა, **პირველად შესრულდა** კომპოზიტორის კიდევ ორი თხზულება: კონცერტი შერეული გუნდისათვის „სპარსული პოეზიიდან“ (1990, მღეროდა ეროვნული საგუნდო კაპელა გივი მუნჯიშვილის დირიჟორობით) და „მეტამორფოზები“ ფორტეპიანოს, ვიოლინოს, ალტისა და ჩელოსათვის (1993), ახალგაზრდა პიანისტის ნინო ჟვანიასა და სიმებიანი ტრიოს შესრულებით..

მაშინ ნასიძის მუსიკამ მართლაც რომ ღირსეული კონკურენცია გაუწია (თუ უფრო მეტიც არა) შნიტკეს მსოფლიოში აღიარებულ შემოქმედებას. ასეთი შედეგის მიღწევა ალბათ შეუძლებელი იქნებოდა ნასიძისა თუ სხვა კომპოზიტორთა ცალკეული ნაწარმოებების კანტი-კუნტად შესრულებით, რაგინდ წარმატებულიც არ უნდა ყოფილიყო ეს შესრულება. ამგვარი კონცერტების მსმენელთა წრე ხომ ძალზე ვიწროა და რეზონანსიც უმცირესი. ხოლო „კონტრაპუნქტი“ იძლევა ცალკეულ ავტორთა შემოქმედების მრავალმხრივად წარმოჩენის შესაძლებლობას მსოფლიო მუსიკალური ხელოვნების საუკეთესო წარმომადგენელთა მიღწევების ფონზე და მსმენელის დაინტერესებას უფრო აქტიური და ობიექტურია. პირველი „კონტრაპუნქტის“ მსმენელის გამოხმაურება და მხარდაჭერაც პოზიტიური იყო. „დიდი ხანია აღარ გვიხილავს ასეთი მასშტაბური, მრავალპლანიანი მუსიკალურ-საკონცერტო ღონისძიება“. – წერდა „საქართველოს რესპუბლიკაში“ (2007, 19/VI) მუსიკისმცოდნე გულბათ ტორაძე.

ასეთმა წარმატებამ ორგანიზატორებს მეტად განუმტკიცა რწმენა ამ სახის ღონისძიების აქტუალობასა და პერსპექტიულობაში. ცხადი ვახდა, რომ „კონტრაპუნქტი“ შესაძლებელია იქცეს ეროვნული პროფესიული მუსიკალური შემოქმედების გადარჩენისა და საერთაშორისო დონეზე პროპაგანდის საუკეთესო საშუალებად. და იმთავითვე განზრახული იყო ახალი წლიდან ფესტივალის ყოველწლიურად ორჯერ



ფრანსიზ ალი-ჯაფი

– გაზაფხულსა და შემოდგომაზე ჩატარება. მაგრამ თანდათან თავი იჩინა მოსალოდნელმა და მოულოდნელმა პრობლემებმა, რის გამოც ამ განზრახვის ასრულება გაჭიანურდა.

თავად განსაჯეთ: თუც დროულად დაიგეგმა „კონტრაპუნქტი №2“, რომლის პროგრამა ახალგაზრდა თაობის კომპოზიტორების მათა (მაკა) ვირსალაძისა და ელმირ მირზოევის (აზერბაიჯანი) თხზულებებმა შეადგინა, არც საორგანიზაციო სამუშაო შეფერხებულა, ფესტივალის მანძილზე ჩაიშალა, აზერბაიჯანიდან სანოტო მასალის ძალზე გვიან გადმოგზავნის გამო; მისგან შეგვრჩა მხოლოდ მაკა ვირსალაძის მასშტაბური, მრავალკანონიერი საავტორო კონცერტი, ქართველ

შემსრულებლებთან ერთად შვეიცარიიდან მოწვეული შესანიშნავი მუსიკოსების – საიმონ კამარტინის (დირიჟორი) და თანა მილენა კამარტინის (ვიოლინო) მონაწილეობით. კონცერტი სრული ანშლავით ჩატარდა, კომპოზიტორის წარმატებას შთამბეჭდავი გახლდათ, მაგრამ... ეს არ იყო „კონტრაპუნქტი“.

„კონტრაპუნქტი №2“-ის ჩატარების შემდგომი ცდა ბიძინა კვერნაძისა და რუსი როდიონ შჩედრინის სახელებთან იყო დაკავშირებული. შედგა სათანადო საკონცერტო პროგრამა და მოპატიჟების მოწინებული წერილიც გაიგზავნა შჩედრინების მოსკოვურ ბინაში, სადაც დღე-დღეზე ელოდნენ მის დაბრუნებას უცხოეთიდან. მაგრამ დიდმა რუსმა კომპოზიტორმა, რომელთანაც ბიძინა კვერნაძეს კარგა ხნის მეგობრული ურთიერთობა აკავშირებდა, მიპატიჟება უპასუხოდ დატოვა. ამჯერად ქართველ მსმენელთათვის ეროვნულმა საგუნდო კაპელამ გივი მუნჯიშვილის დირიჟორობით, საქართველოში პირველად, „კონტრაპუნქტის“ ნაკვლად რიგით კონცერტში, წარმატებით შესრულა ჩამლილი ფესტივალისათვის მომზადებული როდიონ შჩედრინის შესანიშნავი თხზულება „დაღდასმული ანგელოზი“, შერეული გუნდისა და ფლეიტისათვის. მაშინ არავის უეჭვია, რომ ზღვისა და სანაყალოსნო სპორტის ტრფიალმა დიდმა რუსმა კომპოზიტორმა, ყოველ სეზონზე სოხუმის კომპოზიტორთა სახლ „ლილე“ მუდმივი სტუმარი რომ იყო და ალბათ ახლაც არის, შესაძლოა აფხაზ მეგობართა განაწყენების შიშით აარიდა თავი თბილისთან და ქართველებთან ურთიერთობას. ეს სავარაუდო მიზეზი მაშინ ამოტივტივდა, როცა 2008 წელს, საქართველოში რუსეთის მიერ გაჩაღებული ომის პერიოდში, ქართველებს არაერთი ცნობილი მუსიკოსი „შემოსწყრა“. და არც იმის შესაძლებლობაა გამორიცხული, რომ იგივე ფაქტი იყო მიზეზი „კონტრაპუნქტის“ პროექტის ორგანიზების მომდევნო მცდელობის ჩაშლისა, ამჯერად ნათელა სვანიძისა და რუსეთიდან გერმანიაში ემიგრირებული სოფია გუბაიდულინას მუსიკით.

მაშინ გერმანიაში მცხოვრები ქართველი მუსიკოსების დახმარებით მოხერხდა ჰამბურგის მახლობელ პატარა ქალაქ აპენში დამკვიდრებული გა-


მოჩენილი კომპოზიტორი ქალბატონის მისამართის შეტყობა და ჯერ კიდევ 2008 წლის აპრილში გაიგზავნა წერილი-მოწვევა, წინასწარ შერჩეული პროგრამით. მწარე გამოცდილება მსოფლიო რეზონანსის მქონე კომპოზიტორის დათანხმების იმედს ნაკლებად გვიტოვებდა, თუმცა პასუხმა არ დაახანა. „ჩემთვის ეს მოწვევა ძალზე დიდი სიხარული და დიდი პატივია“, – ინერებოდა მინვევებით, პრემიებითა და წარმატებებით განებივრებული ქ-ნი სოფია და იქვე გვთავაზობდა პროგრამის თავისუფლ კორექტირებას; ამასთან, 7 ვიოლონჩელისა და 2 აკვადონისათვის განკუთვნილი თავისი თხზულების („უფსკრულის პირას“) შესახებ დასძინდა, რომ ერთ აკვადონზე თავად დაუკრავდა. ამით იგი თბილისში სტუმრობასაც გვპირდებოდა. კომპოზიტორის მჭიდრო შემოქმედებითი და საშემსრულებლო გრაფიკის გამო ფესტივალის ჩატარების თარიღის შერჩევა გაჭიანურდა. ბოლოს, **მისივე თხოვნით (!)**, შევთანხმდით 2009 წლის შემოდგომაზე. ეს ყველაფერი ხდებოდა უშუალოდ ომისწინა ხანებში. მერე კი, ომის შემდეგ, მიმოწერა შეწყდა.

ამასობაში, ფესტივალს შორის ზომამე უფრო ხანგრძლივი ინტერვალის შესამცირებლად, მოხერხდა „კონტრაპუნქტი №2“-ის სხვა ავტორებით ჩატარება 2009 წლის გაზაფხულზე (3-4/IV). ამჯერად ერთმანეთის პირისპირ აღმოჩნდა ნოდარ მამისაშვილისა და გერმანიაში მცხოვრები ესტონური წარმოშობის კომპოზიტორის არვო პიარტის მუსიკა. ქართველი მსმენელისა და ფართო საზოგადოებისათვის კარგად არის ცნობილი ნოდარ მამისაშვილი – კომპოზიტორი, თეორეტიკოსი, პედაგოგი, მრავალპლანიანი მეცნიერ-ექსპერიმენტატორი და ინჟინერ-გამომგონებელი, რომლის შემოქმედებითი მოღვაწეობა ძიებებითა და ნოვაციებით არის აღსავსე; ნაცნობია აგრეთვე დღეისათვის მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე აღიარებული პროფესიონალი კომპოზიტორი, ე.წ. საკრალური მინიმალიზმის წარმომადგენელი არვო პიარტი, რომლის საორკესტრო პიესის „**Tabula rasa**“-ს ფრაგმენტები მუსიკალურ ფონად გასდევს თენგიზ აბულაძის ფართოდ გახმაურებულ ფილმ „მონანიებას“. ფესტივალს კვლავაც სტუმრობდა და ორივე კომპოზიტორის სიმ-

ფონიურ მუსიკას წარმართავდა შვეიცარიელი დირიჟორი საიმონ კამარტინი, ხოლო საგუნდო კაპელას დირიჟორობდა არჩილ უშვერიძე. მიუხედავად იმისა, რომ ფესტივალის სტანდარტული ფორმა ამჟღერადაც შეიცვალა და სულ 2 კონცერტში ჩაეტია, იგი გამოვიდა საკმაოდ მრავალფეროვანი. პროგრამაში იყო ორივე კომპოზიტორის საუკეთესო თხზულებები (საორკესტრო – მამისაშვილის „სევდის პოეზია“ და პიარტის „**Tabula rasa**“ ანუ „თეთრი დაფა“; საგუნდო კაპელის მონანილეობით – მამისაშვილის ა' კაპელა ციკლის „განცდანის“ ფრაგმენტები, პიარტის „კრედო“ ფ-ნოს, შერეული გუნდისა და ორკესტრისათვის და 2 ა' კაპელა გუნდი „ლუკას სახარების“ მიხედვით; კამერული – მამისაშვილის „ტრიპტიქი“ ვიოლინოსა და ფ-ნოსათვის და პიარტის „სარკე სარკეში“ ალტისა და ფ-ნოსათვის). და ამას გარდა პროგრამა გამდიდრებული იყო დოკუმენტური ფილმით არვო პიარტის შესახებ („24 პრელუდია ფუგისათვის“) და შეხვედრით მეცნიერ-გამომგონებელ მამისაშვილთან. ყოველივე ამის გამო ფესტივალი მხატვრულადაც და ინფორმაციულადაც ერთობ მდიდარი და შთაბეჭედავი გამოვიდა.

წარმატებით ჩატარებული მეორე ფესტივალის სარეკლამო ბუკლეტი სპეციალური ანონსით უკვე ამზადებდა მამისაშვილს 2009 წლის ოქტომბერში „კონტრაპუნქტ №3“-ში ნათელა სვანიძესთან და სოფია გუბაიდულინასთან შესახვედრად. მომავალი ფესტივალის შემოქმედებითი და ორგანიზაციული პრობლემების მოსაგვარებლად ცენტრის ხელმძღვანელობამ იმავე წლის ივნისში ოფიციალური წერილით მიმართა კომპოზიტორის პირად აგენტს ჰამბურგში, სიკორსკის გამომცემლობაში. პასუხი იყო მოკლე და კონკრეტული, რომ ქ-ნ სოფიას თბილისში ჩამოსვლა და ფესტივალში მონაწილეობა არ შეუძლია... ამრიგად, საეჭვოდ გაქარწყლდა დიდი კომპოზიტორის ადრინდელი აღფრთოვანება და შეპირებული სიკეთე.

ასე გადავადდა, უკვე მეორედ, „კონტრაპუნქტი“ ნათელა სვანიძის ახალი შემოქმედებითი პარტნიორის ძიებაში. არ გაამართლა არც შემდეგმა ძალისხმევამ: საქართველოში პოლონეთის ელჩის შუამდგომლობით გამოჩენილი კომპოზიტორისა და დირიჟორის



სულხან ნასიძე

ქმიშტოფ პენდერეცკის მონვევის მცდელობამ. თუმცა მისგან მიღებულია სასიამოვნო დაპირება თბილისში საავტორო კონცერტით სტუმრობის თაობაზე, რაც მომავლის საქმეა.

დაბოლოს, არჩევანი შეჩერდა შესანიშნავ აზერბაიჯანულ ქალბატონზე – კომპოზიტორ ფრანგიზ ალიზადეზე, რომელმაც სიამოვნებით მიიღო ქართველ მუსიკოსთა მინვევა, შემოგვთავაზა ძალზე საინტერესო რეპერტუარი და აქტიურ მონაწილეობასაც იღებდა

ფესტივალის ორგანიზებასა და საუკეთესო შემსრულე-ბელთა მოზიდვაში.

იმთავითვე ცხადი გახდა, რომ „კონტრაპუნქტი №3“ წინანდლებთან შედარებით არანაკლებ საინტერესო და, შესაძლოა, უფრო მნიშვნელოვანიც კი იქნებოდა. ამის საბაზს იძლეოდა ორი ძალზე ნიჭიერი, თამამი ექსპერიმენტების მადიებელი და რეალიზატორი კომპოზიტორის უაღრესად საინტერესო დაპირისპირების მოლოდინი. მეტადრე იმიტომაც, რომ ადრინდელ ავტორებთან შედარებით, სამწუხაროდ, არა მარტო ფრანგიზი ალი-ზადეს, ნათელა სვანიძის მუსიკასაც კი აქამდე ნაკლებად იცნობდა ჩვენი მსმენელი; და წინდანივე იგრძნობოდა, რომ ფესტივალის სასიამოვნო და საინტერესო სიახლეთა და ექსპერიმენტების დემონსტრაცია გახდებოდა.

გამოჩენილ აზერბაიჯანელ კომპოზიტორს, „მშვიდობის არტისტის“ საპატიო ტიტულის მფლობელ („იუნესკო“, 2008) ფრანგიზი ალი-ზადეს დღეისათვის თანამედროვე პროფესიულ მუსიკაში მოღვაწე შემოქმედთა შორის ერთ-ერთი ლიდერის პოზიცია უკავია. მუსულმანური სამყაროს წარმომადგენელ კომპოზიტორთა შორის მან პირველმა შეძლო წარმატებით გაეკვლია გზა დასავლეთევროპული ავანგარდული მუსიკის სფეროში; ამასთან, მისეული ავანგარდი გაფრთხილებულია აღმოსავლური მუსიკის ელემენტებითა და ტემპრებით, რაც მის შემოქმედებას განუმეორებელ ხიბლს სძენს. ცალკეული მსმენელები, რეცენზენტები, ჟურნალისტები ფ. ალი-ზადეს ხშირად ამკობენ ისეთი იშვიათი საქებ-სადიდებელი კომპლიმენტებით, როგორებიცაა: „შუამავალი დასავლეთისა და აღმოსავლეთის შორის“, „XXI საუკუნის შეჭრეზადა“, „ბუნების საოცრება“, „ადამიანი-სენსაცია“, „ადამიანი-პლანეტა“ და სხვ. მის თხზულებებს ასრულებენ მსოფლიოს სახელოვანი მუსიკოსები ყველა კონტინენტზე – ამერიკიდან ავსტრალიამდე. სანიშუმოდ მოვიტან ალი-ზადეს ერთ-ერთი საუკეთესო თხზულების – კვარტეტ «**Muğam Sayağı**»-ს შესახებ გამოქვეყნებულ საინტერესო ინფორმაციას, რომლის თანახმად მხოლოდ ეს ნაწარმოები მისმა პირველმა შემსრულებელმა, გამოჩენილმა ამერიკულმა „კრონოს კვარტეტმა“, 8 წლის მანძილზე

(1993-2000) ყველა კონტინენტზე შეასრულა სულ 140-ჯერ, მსმენელთა რაოდენობამ კი მილიონს გადააჭარბა!

სახელოვანი კომპოზიტორი, პიანისტი, მუსიკოლოგი, დირიჟორი, პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე, აზერბაიჯანის კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარე, აზერბაიჯანის სახალხო არტისტი ფრანგიზი ალი-ზადე ქართველ მუსიკოსთა სასურველი სტუმარი იყო. ფესტივალს მასთან ერთად სტუმრობდნენ მისი თხზულებების შესანიშნავი შემსრულებლები – აზერბაიჯანელი დირიჟორი **ფახრადინ ქერიმოვი** და წარმოშობით ლატვიელი ვირტუოზი ვილონჩელისტი შვეიცარიიდან, ბავშვობაშივე ვუნდერკინდად აღიარებული და მრავალ კონკურსში გამარჯვებული, ბაზელის მუსიკალურ აკადემიაში პროფ. ივან მონიგეტისთან დახელოვებული **მარკის კუპლაისი**.

შედარებით მოკრძალებულია თავის აზერბაიჯანელ კოლეგაზე 2 ათეული წლით უფროსი თვალსაჩინო ქართველი კომპოზიტორისა და პედაგოგის, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ნათელა სვანიძის შემოქმედებითი ბიოგრაფია. ბავშვობიდანვე მუსიკალურ განათლებასა და უცხო ენებს სერიოზულად დაუფლებული, იგი შემდგომში კომპოზიციაში დახელოვდა თბილისის კონსერვატორიაში, ეროვნული პროფესიული მუსიკის მეტრის, პროფ. ანდრია ბალანჩივაძის კლასში და იმთავითვე რომანტიკული ჟანრის მიმდევარ შემოქმედად ჩამოყალიბდა. მოგვიანებით თავის პროფესიულ ოსტატობას სრულყოფდა მოსკოვში – ი. ფორტუნატოვის, რ. ბუნიისა და ნ. პეიკოს ხელმძღვანელობით. 60-იანი წლებიდან კომპოზიტორი დაინტერესდა იმხანად ძალზე მოძლავრებული დასავლური ავანგარდით, კარდინალურად შეეცვალა სტილისტური ორიენტაცია და განსაკუთრებული ადგილიც დაიკავა XX საუკუნის მეორე ნახევრის ქართველ კომპოზიტორთა შორის. იგი, საქართველოში ერთ-ერთი პირველთაგანი, დაინტერესდა, გაეცნო და ნიჭიერად შეეჭიდა საუკუნის შუახანებიდან დასავლეთ ევროპაში მოძლავრებულ თანამედროვე მუსიკალურ აზროვნებასთან დაკავშირებულ ძიებებსა და მონაპოვრებს, ექსპერიმენტულ მიმდინარეობათა წარმო-

მადგენელ კომპოზიტორთა (შონბერგის, ბენდერეცკის, ლიუტოსლავსკის, ლიგეტის, ბერიოს, ბულგების...) საკომპოზიციო ტექნიკის (დოდეკაფონია, სონორიკა, ალეატორიკა, მეტადრე სერიული აზროვნება, მოგვიანებით – ელექტრონული მუსიკა) თავისებურებებს.

საბჭოთა სივრცეში მოღვაწე კომპოზიტორთა შორის მან ერთ-ერთმა პირველმა გამოიყენა თავის მუსიკაში მაგნიტოფირი.

უთუოდ შემოქმედებით ინტერესთა ეს მახასიათებლები, იმდროინდელი საბჭოური იდეოლოგიისათვის მიუღებელი რომ იყო და არცთუ იშვიათად იდევენბოდა კიდევ, გახლდათ თავიდათავი მიზეზი იმისა, რომ ქ-ნ ნათელას ნაწარმოებთა უმეტესობა, მათ შორის ათეული წლების წინათ შექმნილი თხზულებებიც კი, დღემდე შეუსრულებელი, ანდა ერთგზის შესრულების შემდეგ მივიწყებული იყო. არც აკრძალვათა ზღუდის გარღვევის შემდეგ მისცემია მწვანე შუქი ამ მაღალინტელექტუალური კომპოზიტორის სიახლის ძიებებით, საინტერესო მიგნებების სიჭარბით ნიშანდობლივ შემოქმედებას, ტექნიკური ბაზის უქონლობასთან ერთად თავად მუსიკის სპეციფიკით, ტექნოლოგიურ სიახლეთა სირთულით რომ იყო განპირობებული. ახალი საუკუნის დამდეგს იგი ამბობდა: „XX საუკუნე უკვე ათვისებულია, ... ახლა დღის წესრიგშია ელექტრონული მუსიკა, მაგრამ, სამწუხაროდ, ტექნიკური ბაზა არაა. ამიტომ დასაწყისია, – ბევრი იდეა მაქვს და ვერ ვახსორციელებ“.

შემოქმედებით მოღვაწეობასთან ერთად კომპოზიტორი ათეული წლების მანძილზე ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას თბილისში: ჯერ თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში (უფროსი მასწავლებელიდან მუსიკის კათედრის პროფესორის რანგამდე), მოგვიანებით კი – კონსერვატორიაშიც, სადაც იმავდროულად უკავია სახელმწიფო გამოცდების მინვეული თავმჯდომარის პოსტი. მრავალგზის მონაწილეობდა სსრკ კომპოზიტორთა კავშირისა და მოსკოვის ხელოვნების ინსტიტუტის ფოლკლორულ ექსპედიციებში, კომპოზიტორთა და ფოლკლორისტთა საკავშირო სემინარებში. არჩეული იყო საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის წევრად.

სიახლეთა ათვისების დაუოკებელი სურვილი, ახალ-ახალი იდეების სიმრავლე, ჩანაფიქრთა და ინტერესთა მრავალფეროვნება კომპოზიტორს, ხანდამშულობისა და ერთობ მძიმე პირადული ცხოვრების მიუხედავად, დღესაც მუდმივ შემოქმედებით წვასა და ორიგინალურ მუსიკალურ-ტექნოლოგიურ სიახლეთა ძიების პროცესში ამყოფებს. პირადული ცხოვრება კი მართლაც უმძიმესი ჰქონდა: ხანდამშულ დედას მძიმე ავადმყოფობამ ხელიდან გამოაცალა ერთადერთი ქალიშვილი – გამოჩენილი მომღერალი (უნკალური დრამატული სოპრანო), საქართველოს სახალხო არტისტი, ფალიაშვილის სახელობის პრემიის ლაურეატი, ფრანსისკო ვინიასის ვოკალისტთა საერთაშორისო კონკურსის I პრემიის ლაურეატი და გრანპრის მფლობელი, საზოგადო მოღვაწე – მაია თომაძე (1954-1994), რომლის ნათელ ხსოვნას ეძღვნება კომპოზიტორის ბოლო თხზულება – „გულიდან სისხლის წვეთები“ (2000).

აი ამ ორი, გემოვნებითა და მისწრაფებებით მახლობელი, მაგრამ სამოღვაწეო პირობებითა და პიროვნული ბედით კარდინალურად განსხვავებული ქალბატონის შემოქმედებას ეცნობოდა თბილისელი მსმენელი 2010 წლის 4-5 დეკემბერს გამართული „კონტრაპუნქტი №3“-ის კონცერტებზე. ქართველ შემსრულებელთათვის ეს იყო დიდი გამოცდა, რამეთუ ორივე კომპოზიტორის არატრადიციული, ექსპერიმენტული მუსიკა პროფესიულ ოსტატობასთან ერთად მოითხოვდა დიდ ძალისხმევას და თანამედროვე მუსიკისათვის ნიშანდობლივი ურთულესი ტექნიკის შეგრძნება-დაუფლების უნარს.

ნიკა მემანიშვილმა, რომელიც პროგრამის მიხედვით შემსრულებლის (დირიჟორისა და პიანისტის) რანგში მხოლოდ ქართული მუსიკის კონცერტში მონაწილეობდა, მთელი ფესტივალის წამყვანისა და დამდგმელი რეჟისორის ფუნქციებიც მოირგო. ალბათ არ ყოფილა მანამდე მუსიკალური ცენტრის სცენაზე ასერივ მოფიქრებულად და შთამბეჭდავად განლაგებული და ამოძრავებელი შემსრულებელთა ანსამბლი.

ფესტივალის პირველი კონცერტი ფრანგიზ ალიზადეს შემოქმედებას მიეძღვნა. | განყოფილებაში,

რომლის დასაწყისში ნაჩვენებია იყო ფრაგმენტები დოკუმენტური ფილმიდან გამოჩენილი აზერბაიჯანელი კომპოზიტორის შესახებ, დაბინდულ სცენაზე ერთ-მანეთს ენაცვლებოდნენ საოცრად შთამბეჭდავი კამერული თხზულებების საოცარი შემსრულებლები; მათი კონტურების ფონზე, აღმოსავლური კოლორიტით გამდიდრებული ევროპული ავანგარდული სტილის ულამაზესი მუსიკით, მოულოდნელი, მაგრამ სავსებით ორგანული ტექნიკური და ტემბრული სიახლეებით, შეიქმნა ერთიანი, მოძრავი მუსიკალური სპექტაკლი, რომელსაც გულგრილი არ დაუტოვებია არც ერთი მსმენელი. ამ „სპექტაკლის“ ცალკეულ „სურათებში“ თანმიმდევრულად ჟღერდა: «**Oyan!**» სოლო ჩელო-სათვის (2005, შესრულა მარკის კუბლაისმა), „მუსიკა ფორტეპიანოსათვის“ (სიმებში გაფანტული მიხვებით მომზადებულ როიალზე უკრავდა ავტორი), «**Ashk havaci**» სოლო ფლეიტისათვის (შემსრულებელი ირაკლი ევსტაფიშვილი) და «**Muğam Səyaxi**» სიმებიანი კვარტეტისთვის დასარტყამი საკრავებითა და მაგნიტოფირით. შემსრულებლები: მუსიკალური ცენტრის ახალგაზრდული კვარტეტი – ანა ტილაშვილი (ვიოლინო), ნინო შამუგია (ვიოლინო, სამკუთხედი და დოლი), გიგი ოქროპირიძე (ალტი და ტამბამი), ნიკოლოზ შამუგია (ვიოლონჩელი), მაგნიტოფირთან – ავტორი. ხოლო II განყოფილებაში ეროვნული მუსიკალური ცენტრის სიმფონიურმა ორკესტრმა გამოცდილი აზერბაიჯანელი მუსიკოსის ფახრადინ ქერიმოვის დირიჟორობით მსმენელს შესთავაზა ნაწარმოებები დიდი სიმფონიური ორკესტრისათვის: სავიოლონჩელო კონცერტი (შესანიშნავ სოლისტ მარკის კუბლაისის საინტერესო ინტერპრეტაციით) და სიმფონიური პოემა «**Nagillar**» („ზღაპრები“), რომელიც მთელი კონცერტის აპოთეოზად იქცა.

განსაკუთრებით სასიამოვნო და სანიმუშო იყო თავად ქ-ნ ალი-ზადეს აქტიური და კომპეტენტური მონაწილეობა კონცერტის მომზადებასა და მსვლელობაში; და, რაღა თქმა უნდა, ორკესტრისა და ახალგაზრდა ქართველ მუსიკოსთა ღირსეული გამოსვლები, რამაც თავად კომპოზიტორის დიდი მონონება და მადლიერება დაიმსახურა. არც ახალგაზრდა

მუსიკოსების მისი მუსიკით აღფრთოვანება ყოფილა ორდინარული. აი, რა გვითხრა კონცერტის შემდეგ ფლეიტისტმა ირაკლი ევსტაფიშვილმა: «**Ashk havaci**» ვირტუოზული ნაწარმოებია. მასში გამოყენებული საკომპოზიტორო ტექნიკის მსგავსი ევროპულ საფლეიტო ლიტერატურაში, მათ შორის თანამედროვე ნაწარმოებებშიაც კი, არსად შემხვედრია. აქ ფლეიტის სოლო აღმოსავლურ ჰარმონიაზე დაფუძნებული, აღმოსავლური მუსიკის ელემენტებით არის გაჯერებული. ეს ჩემთვის აღმოჩენა არ ყოფილა, მოცარტსაც კი აქვს გამოყენებული საფლეიტო თხზულებებში აღმოსავლური ელემენტები. თუმცა ალი-ზადესთან სრულიად განსხვავებული და საინტერესო მიგნებებია, რომლებიც ამ ნაწარმოებს განუმეორებელ ორიგინალობას სძენენ. ფრანგიზმ ალი-ზადე უდავოდ თანამედროვეობის ერთ-ერთი უნიჭიერესი კომპოზიტორია!»

ერთხელ, პრესაში გამოქვეყნებულ სტატიაში, ქ-ნ ფრანგიზმს უთქვამს: „თუკი გავიგებენ – ე. ი. ბედნიერი ხარ“. ვვჯერა, რომ იგი თბილისში სტუმრობისას თავს ბედნიერად გრძნობდა..

ფესტივალის მეორე დღე ნათელა სვანიძის შემოქმედებას დაეთმო. ნინა „კონტრაპუნქტების“ არც ერთ კონცერტს არ ხლებია ორგანიზატორთა და პუბლიკის ისეთი მღელვარება, როგორც 5 დეკემბრის იმ საღამოს. დიდი იყო სურვილი, ქართული მუსიკა მსოფლიო აღიარების მქონე აზერბაიჯანელი კომპოზიტორის შემოქმედების ფონზე ღირსეულად წარმოჩენილიყო.

ინტერესს ისიც აძლიერებდა, რომ ნათელა სვანიძის ყოველი ახალი ნაწარმოები, როგორც წესი, ახალი სიტყვაა ქართული მუსიკის ისტორიაში.

კონცერტი ანშლავით ჩატარდა. მრავალრიცხოვან მსმენელს შესთავაზეს კომპოზიტორის მიერ სხვადასხვა პერიოდში შექმნილი სხვადასხვა ჟანრის თხზულებები, მათგან – ორი პრემიერა.

პირველივე მასშტაბური თხზულება, ორატორიული ტიპის 6-ნაწილიანი „ქართული ლამენტაციები“ (ანუ „გოდებანი“) მკითხველის, შერეული გუნდის, ქალთა ვოკალური სექსტეტის, ვიოლინოს, ალტ-ფლეიტის, ორგანის, 12 ვიოლონჩელისა და ელექტროფირისათვის, ჯანსუღ ჩარკვიანის ტექსტზე (1974), მისი დაწერიდან

36 წლის შემდეგ პირველად შესრულდა. სერიულ ტექნიკაზე დაფუძნებული ეს ძალზე შთაბეჭდავი მონუმენტური ქმნილება, რომელშიაც კომპოზიტორი იყენებს ერთიანი შერეული გუნდის პერიოდულად ანტიფონურ გუნდებად დაშლის პრინციპს და ორპირული გუნდის დეკლამაციურ სიმღერას **შპრეკჰგესანგ**-ს, ბარიტონის მელოდიზირებულ რეჩიტაციას **შპრეკჰსტიმე**-ს, ძველქართული საგალობლისა და საომარი „ხორუმის“ ინტონაციებსა და რიტმებს, კოლაჟის სახით სვანურ „ზარს“, ელექტრონულ მუსიკას (V ნაწილი – „ეპიტაფია“), ათეული წლების შემდეგ კვლავაც ინარჩუნებს თანადროულობისა და მსმენელზე ძლიერი ზემოქმედების უნარს. ეს პუბლიკის აღტაცებულმა რეაქციამაც დაადასტურა. ნაწარმოების ტრიუმფალურ წარმატებაში უმნიშვნელოვანესი წვლილი შეიტანა შემსრულებელთა შესანიშნავად მომზადებულმა ანსამბლმა: ეროვნულმა საგუნდო კაპელამ, ქალთა ვოკალურმა ნონეტმა თამარ თალაკვაძის ხელმძღვანელობით, მკითხველმა გიორგი ყველაშვილმა – ბარიტონის **Sprechstimme**-თი გადმოცემული მამაკაცური გოდებით, „მოტირალმა“ სოლისტმა ქალებმა – ქეთევან ხომერიკმა (სოპრანო) და მაია ელიზბარაშვილმა (კონტრალტო), ეროვნული სიმფონიური ორკესტრის სოლისტებმა ლევან დამუკაშვილმა (ვიოლინო), ირაკლი ევსტაფიშვილმა (ალტ-ფლეიტა), მაია ჩიქოვანმა (ორგანი), და სერიის 12 ბგერის შესაბამისმა ვიოლონჩელისტთა 12-კაციანმა ანსამბლმა. დირიჟორობდა ნიჭიერი ახალგაზრდა მასტრო არჩილ უშვერიძე.

კონცერტზე შესრულებულ მომდევნო თხზულებას – ხუთნაწილიან კამერულ ორატორია **„ფიროსმანს“**, ტ. ტაბიძის, პ. ანტოკოლსკისა და

ბ. პასტერნაკის პოეტურ სტრიქონებზე, ბარიტონის (**Sprechstimme**), კონტრალტოს, ვაჟთა ვოკალური სექსტეტისა და არასტანდარტული კამერული ორკესტრისათვის, რომლის მშვენიერი მუსიკის მოსმენისას ანდრია ბალანჩივაძეს აღტაცებით წარმოუთქვამს – «**Какая прелесть!**», შედარებით გაუმართლა. იგი რამდენჯერმე წარმატებით შესრულებული თბილისში, მოსკოვში, ლენინგრადში... ორატორია არანაკლები წარმატებით შეასრულეს მუსიკისა და დრამის

თეატრის მსახიობმა ლაშა რამიშვილმა (ბარიტონი), ეთერ ხალვაშმა (კონტრალტო), კონსერვატორიის მაგისტრთა სექსტეტმა შიო აბრახამიას ხელმძღვანელობით, ეროვნული სიმფონიური ორკესტრის სოლისტთა ჯგუფმა, ნიკა მემანიშვილისა და მაია ჩიქოვანის საფორტეპიანო დუეტმა. დირიჟორობდა ნიკა მემანიშვილი. შთაბეჭდილება ამჯერადაც წარუშლელი იყო. უნებურად გამახსენდა „ფიროსმანის“ პირველად მოსმენის შემდეგ ქალბატონ ნათელას ჯერაც ყმაწვილი ქალიშვილის, მაკო თომაძის მიერ დაწერილი ლექსის ფრაგმენტები:

„ჩემო დედა,  
ფიროსმანი რომ ცოცხალი ყოფილიყო  
მოისმენდა, დათვრებოდა, იტირებდა.  
.....  
...რომ სულ ყველას მსოფლიოში  
მოესურვა –  
ასე მაინც ვერავინ ვერ დაუნერდა!“

ნიკა მემანიშვილი-მაია ჩიქოვანის საფორტეპიანო დუეტის ვირტუოზული შესრულებით გაჟღერდა კონცერტზე სერიული ტექნიკით დაწერილი დინამიკური პიესა „წრე“, ორი (მომზადებული და ჩვეულებრივი) ფორტეპიანოსათვის (1972), რომელშიაც განხორციელებულია „წრეში ბრუნვის“ ანუ ჩვენი ცხოვრების ორომეტრიალის იდეა. თხზულების ვარიაციული ფორმა ყალიბდება მოძრაობისა და უძრაობის, ჟღერადობისა და სიჩუმის (გამოთქმული აზრის თითქოსდა შინაგანი გაგრძელების) დაპირისპირებით. 2000 წელს ეს პიესა, არაჩივრებული ერთი ფორტეპიანოსათვის, ნიკა მემანიშვილს შეუსრულებია მოსკოვში, ქართველ და რუს ავანგარდისტ კომპოზიტორთა შეხვედრაზე. ისე დიდი ყოფილა წარმატება, რომ პიანისტ „ბის“-ზე პიესის სამჯერ გამეორება მოუხდა. სხვათა შორის, კომპოზიტორის ინფორმაციით „წრეში ბრუნვის“ იდეა უდევს საფუძვლად აგრეთვე მის II სიმფონიას („სიმფონია-ბალეტი“, 1983), რომელიც დღემდე ელოდება შესრულებას.

დასასრულ, „კონტრაპუნქტის“ ფინალური, ძალზე

წარმატებული „აკორდი“ გახლდათ ნათელა სვანიძის ბოლო, კვლავაც თამამი და ორიგინალური სიახლეებით აღსავსე თხზულება – მონოდრამა „გულიდან სისხლის წვეთები“ (2000), ტერენტი გრანელის ჩანახატის სტრიქონებზე, ქალის ხმის, 2 ფორტეპიანოს, დასარტყამი საკრავების (პედლიანი დაფი და პატარა თეფში) და 3 მაგნიტოფირისათვის. ეს ღრმად ტრაგიკული ნაწარმოები, რომელიც ეძღვნება კომპოზიტორის ქალიშვილის მაია თომაძის ნათელ ხსოვნასა და მის ბოლო დღეებს, ახალი იდეებით არის დატვირთული და, რაც მთავარია, მასში კომპოზიტორმა მიაგნო ახალ – ღია, ჩაუკეტავ ფორმას, თავისუფალ, შეუზღუდავ განვითარებას.

მონოდრამის გმირი ახალგაზრდა ქალი, რომელიც ფაქტობრივად თხზულების ერთადერთი შემსრულებელია, განასახიერებს სასიკვდილოდ განწირულ გამოჩენილ მომღერალს, რომელიც, ერთი მხრივ, **Sprechstimme**-ს სტილში, გრანელის ტრაგიკული სტრიქონებით ეთხოვება სიცოცხლეს; იმავდროულად თავადვე ითავსებს მონოდრამაში გამოყენებულ ყველა საკრავის საშემსრულებლო ფუნქციას: როგორც პიანისტი ასრულებს ვოკალის თანმდევ ვირტუოზული ფაქტურის მეტყველ თანხლებას და იმავდროულად დაფის პედალზე ფეხის რიტმული დარტყმით იმიტირებს გულის ფეთქვას, დაბოლოს, ტრაგიკული დასასრულის მომენტს ამძაფრებს პატარა თეფშის სიმებზე დაგდებით გამოწვეული ჟღერით. დასასრულ, ტრაგიკულ განვითარებას თითქოსდა არბილებს მაგნიტოფირის საშუალებით ორიგინალურად ჩართული ორი მუსიკალური კოლაჟი: ელისაბედის არიის ფრაგმენტი ვერდის „დონ კარლოსიდან“ მაია თომაძის შესანიშნავი შესრულებით და გორან ბრეგოვიჩის მთავარი სიმღერა კუსტურიცას ფილმიდან „არიზონული ოცნება“, რომლებიც სიცოცხლის გაგრძელებასა და მარადიულობას მიუთითებენ. ამასვე ადასტურებს მსახიობ გურამ საღარაძის ხმით ჩანერილი სიტყვიერი რეზიუმე: „ის კვდება, მაგრამ რჩება გენია... ბევრი დღე გაქრა, წინ რამდენია?“

ძალზე ძნელი აღმოჩნდა მონოდრამისათვის ემოციურად და ფსიქოლოგიურად ასერივ დატვირთული, მრავალფუნქციური შემსრულებლის მოძიება. რომ

არა ახალგაზრდა კომპოზიტორ ეკა ჭაბაშვილის ძალისხმევით მიკვლეული კონსერვატორიის IV კურსის სტუდენტი ეთერ ბუხრაშვილი, რომელმაც შესანიშნავად, მართლაცდა სანიმუშოდ გაართვა თავი ურთულეს ტექნიკურ და ფსიქოლოგიურ სიძნელეებს და შექმნა მომღერალი ქალის არაჩვეულებრივად ტრაგიკული და იმავდროულად მაღალმხატვრული მუსიკალური პორტრეტი, ნაწარმოების შესრულების საკითხი კითხვის ნიშნის ქვეშ იდგა. არადა, სწორედ მონოდრამა აღმოჩნდა მთელი ფესტივალის კულმინაციური თხზულება, რომელმაც მსმენელთა დიდი მონონება და თანაგრძნობა გამოიწვია. ზოგადად კი, ქალბატონ ნათელა სვანიძის საავტორო კონცერტი მრავალთათვის სასიამოვნო აღმოჩენის ტოლფასი იყო.

„იმის საფასურად, რომ ვყოფილიყავი წარმატებული, ცნობილი და ფულიანი, არ მიღალატია ჩემი პრინციპებისათვის, არ წავსულვარ არავითარ კომპრომისზე და არასდროს მითქვამს უარი ხელოვნებაში ჩემი შინაგანი სიმართლის განხორციელებაზე. მსმენელისთვის არასოდეს არ შემითავაზებია ყალბი მონეტა, ე. ი. დაჯწერე ის, რაც არ შეიძლებოდა არ დაწერილიყო“. — კომპოზიტორ ნათელა სვანიძის ეს სიტყვები მისი შემოქმედების ერთგვარი გასაღებია, მისი მოღვაწეობის ლოგიკას განმარტავს და კვლავაც ახალ, საინტერესო და თამამ ექსპერიმენტებსა და მიგნებებს გვპირდება.

რაც შეეხება „კონტრაპუნქტ“, ვფიქრობ, იგი საბოლოოდ ჩამოყალიბდა თანამედროვე მუსიკის **საერთაშორისო** ფესტივალად. მისი საორგანიზაციო ფგუფი ნიკა მემანიშვილის თაოსნობით უკვე ზრუნავს „კონტრაპუნქტი №4“-ის დროულად, საინტერესოდ და მაღალპროფესიულ დონეზე ჩასატარებლად.



# ლაუსო თორაძე ვაშინგტონში

ჯოზეფ შოროვეცმა – ამერიკაში განთქმულმა მუსიკოს-სმცოდნემ და მრავალი ფესტივალის ორგანიზატორმა – 2011 წლის 8-11 აპრილს, ვაშინგტონში სტრაჟინსკის მულტიმედუური ფესტივალი ჩაატარა. ჯოზეფ შორ-

ვეცი დღეს აღიარებული მეტრია; თუ საჭიროა, ის ცნობილ ვან კლაიბერნის კონკურსსაც გაააკრიტიკებს; მისი არტისტული რჩევები ყველასათვის ყურადსაღებია; მისი წიგნები მუსიკაზე და მუსიკოსებზე კი ბესტსელ-

ერებია.

სამდღიანი მულტიმედიური პროგრამა ძალიან მდიდარი იყო და ვაშინგტონის სხვადასხვა დარბაზში განაწილდა – მოიცავდა როგორც კონცერტებს, ასევე დოკუმენტური ფილმის პრეზენტაციას იგორ სტრავინსკიზე, მუსიკალურ სიმპოზიუმს ჯორჯთაუნის უნივერსიტეტში თემაზე „სტრავინსკი და თეატრი“, კომპოზიტორის და მისი ოჯახის წევრების ფოტოგალერიის პრეზენტაციას ვაშინგტონის ნაციონალურ მუზეუმში ცოცხალი მუსიკის ფონზე (პიანისტი ლექსო თორაძე), ასევე კონცერტის შემდგომ საჯარო დისკუსიებს. მუსიკალური ნაწილის საფორტეპიანო მხარე თითქმის მთლიანად გამოჩენილ ქართველ პიანისტს ლექსო თორაძეს და მისი სტუდიოს აღზრდილებს მიჰყავდათ. 8 აპრილის მუსიკალურ კონცერტს “რუსული ფესვები” ერქვა. მე სწორედ ამ კონცერტზე გიამბობთ.

1200-ადგილიანი სტრასმორის მუსიკალური ცენტრის დარბაზი თითქმის სავსე იყო და ამ კონცერტზე მუსიკის ნამდვილი დამფასებლები მოვიდნენ. ლექსო თორაძეს კი ამერიკაში დიდად აფასებენ. ის ამერიკის კულტურის ღირებულ ნაწილს წარმოადგენს. თავის წიგნში „არტისტები გადასახლებაში“ ჯობეფ ჰოროვეცი ასე აღწერს მის პერსონალურ თვისებებს: “ლექსოს იმდენი რამე მოჰყვება თავისი ტურბულენტური და ტრაგიკული მოვლენებით სავსე ცხოვრებიდან, რომ როდესაც ის ჯდება ინსტრუმენტთან, მისი ყველა განცდილი ემოცია ამ დროს მასთანაა და ეს აისახება მის მუსიკაში.”

8 აპრილის საკონცერტო პროგრამა სტრასმორის მუსიკალურ ცენტრში სტრავინსკის ოთხი ნაწარმოები-სგან შედგებოდა, მათგან ერთი – ბისზე დასაკრავიც – პროგრამაში წინასწარ ეწერა. პირველი იყო 9-წუთიანი, ერთნაწილიანი სიმფონია სასულე საკრავებისათვის. სტრავინსკიმ მას **Symphonies of Wind Instruments** დაარქვა, სადაც სიტყვა სიმფონია მრავლობითი აქვს ნახმარი, ანუ “სიმფონიები”, რაც მიანიშნებს, რომ აქ სიტყვა სიმფონიის კლასიკურ გაგებასთან არა გვაქვს საქმე, არამედ ამ სიტყვის ძველბერძნულ მნიშვნელობასთან, რაც ზოგადად „თანაჟღერადობას“ ნიშნავს.

კონცერტს დირიჟორობდა ესპანელი ანგელ გილ-

ორდონეცი. კონცერტის დასაწყისში, როდესაც დირიჟორი უკვე იდგა ორკესტრის წინ, ჩვენ ჯერ მოვისმინეთ კომპოზიტორის ხმა – 5-წუთიანი ნაწყვეტი სტრავინსკის ინტერვიუდან, რომელიც დასრულდა შემდეგი სიტყვებით: “მუსიკა ადიდებს ღმერთს, იგი ეკლესიის შენობაზე და მთელს მის დეკორაციაზე უფრო მეტად განადიდებს მას; ისაა ეკლესიის ყველაზე დიდი ორნამენტი; მე მჯერა ღმერთის და მე მჯერა ეშმაკის არსებობისაც!” ამ სიტყვების შემდეგ გამეფებულ სიჩუმეში შესრულდა ეს „სიმფონიები“. ძნელია გასული საუკუნის 20-იან წლებში დაწერილი ეს ნაწარმოები მხოლოდ რუსულ ფესვებს მიაკუთვნო. ის უფრო მულტიკულტურულია, როგორც, ზოგადად სტრავინსკის შემოქმედების უდიდესი ნაწილი, მაგრამ უდავოდ, მელოდიურ-რიტმული ორნამენტებით, რუსულ ხალხურ ფოლკლორსაც ეთანაშუება. დღესაც კი, მისი მოსმენისას, ზოგჯერ ყურს გჭრის მხოლოდ სასულე ტემბრებით შემოფარგლული ჟღერადობა – „ვაშინგტონ პოსტის“ მუსიკალური კრიტიკოსი მას “ჭახტახა მზეში ქართველის” ხმას ამსგავსებს და წარმოდგინეთ რა რეაქცია უნდა ჰქონოდათ 20-იანი წლების პირველ მსმენელებს? ისტორიამ შემოგვინახა გამოჩენილი პიანისტის, არტურ რუბინშტეინის მოგონება, რომელიც ლონდონის საპრემიერო კონცერტს დაესწრო: „ფაგოტის სოლოს დროს დარბაზში სიცილი გაისმა, რომელსაც მოჰყვა აქა-იქ ხითხითიც; დირიჟორმა კუსევიცკიმ, იმის ნაცვლად, რომ მკაცრი ტონით მოეხმო მსმენელები სინყნარისკენ, გამოიხედა დარბაზისკენ და თვალიც კი ჩაუკრა თანამზრახველობის ნიშნად“; თუმცა ამ ინციდენტს ნაწარმოების პოპულარობის ზრდისთვის ხელი არ შეუშლია.

„პოსტ-კლასიკური ორკესტრის“ (სწორედ ის მასპინძლობდა ამ საღამოს) შემსრულებლებმა დირიჟორთან ერთად პროფესიონალურად და დახვეწილი გემოვნებით დაუკრეს სტრავინსკის „სიმფონიები“, მაგრამ მთავარი ჩვენ წინ გველოდა.

მეორე ნაწარმოებში ლექსო თორაძე იღებდა მონაწილეობას. მან შესარულა სტრავინსკის კონცერტი ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის. მართლაც ძნელია ზედმეტი პათოსის გარეშე შეაფასო მისი გამოსვ-



ლემსო თორაძე

ლა. შოროვეცის სიტყვებიც კი მკრთალია ამისთვის. ეს იყო მთელი მისი მსოფლმხედველობრივი მიდგომებისა და მღელვარე ცხოვრების ერთ ნაწარმოებში თავმოყრილი განცდები: სიხარული, დარდი, სიყვარული, ჯაზი ანუ ყველაფერი ის, რითაც სუნთქავს ადამიანი, სიცოცხლის მთელი სპექტრი.

სტრაზინსკიმ ეს კონცერტი 1923–24 წლებში დაწერა დირიჟორ კუსევიცკის მოთხოვნით, სოლისტად

მხოლოდ თავის თავს მოიპოვებდა. პარტიტურას აი ასეთი მინაწერი დაურთო: „ტოკატურ–საცეკვაო ხასიათის პირველი ნაწილი ვითარდება როიალის ჩაქუჩების დარტყმებით; ამის საპირისპიროდ, სასულე საკრავები აგრძელებენ დასარტყამი როიალის ხმოვანებას და ადამიანური სუნთქვის ელემენტი შემოაქვთ.“ კომპოზიტორმა მრავალი წლის განმავლობაში საავტორო შესრულების უფლება დაიტოვა. მარტო პირველი 5 წლის

განმავლობაში 40-ჯერ დაუკრა და სხვას არავის არ აძლევდა ამის ნებას. როგორც თვითონ ირონიულად დასძინდა: მას არ სურდა, რომ კონცერტი „არაკომპ-ტენტურ ან რომანტიკულ ხელებში ჩავარდნილიყო“.

საინტერესოა ჯ. ჰოროვეცის აზრი სტრავენსკის შესრულების თორაძისეულ მანერაზე: „ლექსო არ უკრავს სტრავენსკის ისე, როგორც მას თვითონ სტრავენსკი უკრავდა, მაგრამ ის აცოცხლებს მუსიკას, სახლობს ამ მუსიკაში და თავისი სულიერება შეაქვს მასში“ (ჯ. ჰოროვეცი ფრაგმენტი დოკუმენტური ფილმიდან **icking the Notes the Toradze Way**) მართლაც და საინტერესოა თავად სტრავენსკისა და თორაძის შესრულების მანერის შედარება! ამის საშუალება დღეს არსებობს; მართალია, სტრავენსკის ჩანაწერი შესრულებულია მექანიკურ პიანინოზე და სასულე ორკესტრის გარეშეა, მაგრამ მაინც, მან აჩვენა მთავარი: თორაძისგან აბსოლუტურად განსხვავებული მიდგომა! სტრავენსკი წმინდა ნეოკლასიკური, ცოტა მექანიკური შესრულების მანერას ირჩევს, ცივს, თითქმის უემოციოს; თუ გნებავთ დაარქვით ამას – ბალაგანური ბახი! ცოტა კიჩური, მაგრამ ბაროკო! და ნაკლები პათოსი, ნაკლები განცდა, ნაკლები თორაძისეული ზეიმი.

ჩემი აზრით, ლექსო თორაძის მიერ სტრავენსკის ინტერპრეტირება არც „არაკომპეტენტური“ და არც „რომანტიკულია“, არამედ სულ სხვა – ლექსო თორაძისეული! ასე, რომ, დარწმუნებული ვარ, მასეტრო სტრავენსკი კმაყოფილი დარჩებოდა!

სამწუხაროდ, მეორე ნაწილი, სადაც ყველაზე ღრმა და მედიტაციური მელოდია აქვს ფორტეპიანოს, სტრავენსკის შესრულებით არ არის შემონახული. შესაძარებლად ალბათ ძალიან საინტერესო იქნებოდა.

თორაძის მიერ დაკრულ ამ ჩანაწერში დირიჟორობს ცნობილი რუსი დირიჟორი, ვალერი გერგიევი. ტრადიციულად, მ აპრილს, სტრასმორის მუსიკალურ ცენტრში ვიდუოგადალება აკრძალულია, ამიტომ იმ საღამოს ჩანაწერი არ გაკეთებულა.

საერთოდ, ლექსოს შესრულების მანერაზე დიდი გავლენა იქონია ჯაზმა, ლექსოს უყვარს ჯაზი, ძალიან კარგად ასრულებს ჯაზურ ნაწარმოებებს. თავის ინტერვიუში ლექსო ამას აღიარებს, მაგრამ აქვე ასკვნის:

„სტრავენსკის შესრულების დროს, რასაკვირველია, არც ერთ ნოტს არ ვცვლი, , მაგრამ ჯაზური მიდგომა ნიშნავს იყო თავისუფალი შენს რიტმთან, შენს განცდებთან, შენს სულიერებასთან (**icking the Notes the Toradze Way** ).

ლექსოს ერთ-ერთი აღზრდილი და უნიჭიერესი პიანისტი, გენადი ზაგორი აღფრთოვანებით ჰყვება თავის პედაგოგზე: „ის იგივე ნოტებს ხმარობს რასაც ყველა, მხოლოდ იმას, რაც ნოტებში წერია, მაგრამ სულ სხვარამ გამოსდის!“, იგივეს, სხვანაირად აღწერს დაგლას შელდონი – „კოლამბიის არტისტული მენეჯმენტის“ დირექტორი და უფროსი ვიცე-პრეზიდენტი: ” ლექსოს ბგერის ამპლიტუდა და ფერიც უსასრულობამდე მიჰყავს, თითქმის საზღვარი არა აქვს.“

ვფიქრობ, რომ სწორედ ამ ინდივიდუალობის გამო მან ერთდროულად გაიმარჯვა და წააგო 1977 წელს ვან კლაიბერნის საფორტეპიანო კონკურსზე ტექსასში; გაიმარჯვა იმიტომ, რომ მას მიაკუთვნეს მეორე პრემია და კონცერტების მთელი რიგი ამერიკის კონტინენტზე; და წააგო იმიტომ, რომ პირველი პრემია, რომელიც ნამდვილად მას ეკუთვნოდა, გადასცეს სამხრეთ აფრიკელ პიანისტს.

“ჟიურის წევრები ერთდროულად აღაფრთოვანა და ცოტა დააფიქრა თორაძის ინდივიდუალობამ. სწორედ ამ ინდივიდუალიზმის გამო მათ ვერ გაბედეს მისთვის პირველი პრემიის მიკუთვნება” – წერს დაგლას შელდონი. კონკურსზე ეს ინდივიდუალობა ლექსომ ყველაზე მეტად სწორედ სტრავენსკის ”პეტრუშკას“ შესრულების დროს გამოავლინა.

ალბათ ამის გამოცაა, რომ ლექსოს არ უყვარს კონკურსები; შემდგომში, როდესაც ლექსო დიდ აღიარებას მიაღწევს და მას უამრავი მიპატიჟება ექნება სხვადასხვა საერთაშორისო კონკურსებზე ჟიურის წევრად, ის უმეტეს შემთხვევაში უარს ამბობს ამაზე და საკუთარ სტუდენტებსაც ურჩევს კონკურსების ნაცვლად ფესტივალური კონცერტების სერიაში მონაწილეობას .

მინდა აღვნიშნო ერთი საინტერესო დეტალი კონცერტის მსვლელობიდან: საფორტეპიანო კონცერტის პირველი ნაწილის შემდეგ აუდიტორიაში აპლოდის-



მენტები გაისმა, თუმცა პროგრამაში ეწერა, რომ კონცერტი სამნაწილიანია. ჩემდა გასაკვირად, ამაზე არც დირიჟორი და არც სოლისტი არ განაწყენებულან. მახსოვს ერთხელ, ვლადიმერ სპიგაკოვმა თქვა: "მე არ ვლიზიანდები ნაწილებს შორის ტაშზე; ადამიანი მოვიდა და კმაყოფილია; კარგია, რომ მოეწონა!". მგონი ეს მოსაზრება ძალიან ლიბერალურია იმათ მიმართ, ვინც არ იცის სად უნდა დაუკრას ტაში და სად არა.

პირველი ნაწილის აპლოდისმენტების შემდეგ ლექსომ და დირიჟორმა თავი დაუკრეს აუდიტორიას

და გადავიდნენ მეორე ნაწილზე. ამ ნაწილში კი, ლექსოს მთელი ინდივიდუალობისა და უსაზღვრო ემოციურობის პათოსი გადმოიღვარა. ასეთი ბგერების და განცდების გადმოცემა ამ ინსტრუმენტს თუ შეეძლო, არავინ იცოდა. ასე ახალშობილ ბავშვს უმღერიან, ასე დაკარგულ სიყვარულს მისტირიან, ასე დიდი ხნის უნახავ ადამიანს ნატრულობენ.

დაბოლოს, მესამე ნაწილში ისევ ტოკატისებური რიტმი და „გაჯაბება“, როგორც ფილოსოფია; ზეიმი, რომელიც ჩვენ დიდხანს გაგვყავა!!!

**"Music is a sole domain in which man realizes the present"** – სწერდა იგორ სტრავინსკი, რაც ასე ითარგმნება: „მუსიკა ერთადერთი ადგილია, სადაც ადამიანი აწმყოს იაზრებს“.

დარბაზი დაინგრა ოვაციებისგან.

ჩვენ, აწმყო იმ დღეს, იმ წუთებში ნამდვილად ვაზიარებთ!

გაგიზიარებთ ლექსო თორაძის ერთ პატარა საიდუმლოს, რომელიც მან **Bruce Duffie**-ს ინტერვიუს დროს გასცა:

ბ.დ. – რა რჩევას მისცემდით ახალგაზრდა დაწმყებ პიანისტს?

ლ.თ. – იმ დროში, როდესაც ყველა და ყველაფერი ბიზნესითაა მოცული, მე ვურჩევდი კოლეგებს შესრულების სულიერ ასპექტზე გაამახვილონ ყურადღება. არ დაივიწყონ ყოველი კონცერტის წინ ღმერთს ლოცვით მიმართონ და არ დაივიწყონ საკუთარ სულში მეტი ჰაერი შეუშვან. სჯეროდეთ ხელოვნების და სჯეროდეთ საკუთარი ადამიანობის.

მეორე განყოფილებაში სტრავინსკის „სვადებკა“ ანუ, როგორც მას დასავლეთში იცნობენ **“Les Noces”** (რაც ფრანგულად “ქორწილს” ნიშნავს) შესრულდა. რომელშიც მონაწილეობა ლექსო თორაძის აღზრდილებმა, ანუ მისი სტუდიოს წევრებმა მიიღეს. ლექსო თორაძის სტუდიო ინტერნაციონალური შემადგენლობისაა, თუმცა ქართველებს აქ დიდი ადგილი უკავიათ. იმ საღამოს მონაწილეობდნენ: ვახო კოდანაშვილი, გიორგი ვაჩნაძე, ედიშერ სავიციკი საქართველოდან და გენადი ზაგორი რუსეთიდან. დღეს ყველა მათგანი საერთაშორისო კონკურსების ლაურეატია და ამერიკის კულტურის მნიშვნელოვან შენაძენს წარმოადგენენ.

ლექსოს დამსახურება დღეს არა მარტო საკუთარი სოლო კარიერის საერთაშორისო დამკვიდრებაშია, არამედ იმაში, რომ მან აღზარდა ახალგაზრდა ნიჭიერი თაობის მთელი პლეადა, რომელიც ”ლექსო თორაძის პიანო სტუდიოს“ სახელით მთელს მსოფლიოში მოგზაურობს. პირველად მათ დაამკვიდრეს კონცერტ-მარათონების ფესტივალები, სადაც ხშირად სრულდება ერთი რომელიმე კომპოზიტორის ყველა საფორტეპიანო ქმნილება. ერთი შეხედვით რთული ამოცანა ძალიან

მიმზიდველი აღმოჩნდა მუსიკის მოყვარულებისთვის. მაგალითად რურის ფესტივალზე, თორაძე თავის სტუდიოსთან ერთად 7 საათის განმავლობაში ასრულებდა სკრიაბინს და ამ მარათონს 7-8 ათასამდე ადამიანი დაესწრო!

ლექსოს ყოფილი სტუდენტი და მისი სტუდიოს წევრი, ახლა უკვე მიჩიგანის უნივერსიტეტის დოქტორანტი, ედიშერ სავიციკი ასე ჰყვება თავის მასტროზე: „ლექსოს სტუდენტები არ გვანან ერთმანეთს, ისე, როგორც მაგალითად იტყვიან სხვა პროფესორების სტუდენტებზე: – ეს გიზის სტუდენტია, ეს – ნანასი და ასე შემდეგ. ის არ არის სტანდარტული პედაგოგი. მასთან უნდა სკოლაგავილი მოხვიდე. წლები რომ გავიდა, ახლა უფრო ვაფასებ, რამდენად მნიშვნელოვანი იყო, რასაც ლექსო გვაკეთებინებდა. კი, თავიდან მკაცრად და მკაფიოდ გვეუბნებოდა რა უნდოდა მას ჩვენგან, მაგრამ მერე, როდესაც შენ უკვე ფლობდი ნაწარმოებს, არ გიშლიდა ხელს შენი მიმართულებით, შენი ინდივიდუალობით გაგეგრძელებინა მუშაობა; რამდენადაც ძნელი არ უნდა ყოფილიყო მისთვის, ხელს გვიწყობდა ამ თავისუფლებაში. თავიდან ყველანი ლექსოს გარშემო და მისი პიროვნების გავლენის ქვეშ ვიყავით რასაკვირველია! მაშინაც, როდესაც მისი სტუდენტი ვიყავი, და დღესაც ძალიან ბევრ დროს ვატარებთ ერთად. ვსაუბრობთ ბევრს მუსიკაზე და არამარტო მუსიკაზე. ბევრი საერთო ინტერესი გვაქვს მუსიკის გარდა: ფეხბურთი, ქართული კერძები, გათობა. ეს პირადი, პესონალური ურთიერთობები ძალიან ბევრს გვაძლევს მერე მუსიკაში, ძალიან დიდი მუსტი! ლექსოსგან კონსულტაციებს ახლაც ვღებულობ და ძალიან დიდხანს მყოფნის ხოლმე!“

სტრავინსკიმ ბალეტი ”სვადებკა“ გუნდისთვის, სოლისტებისთვის, დასარტყამი ინსტრუმენტების ჯგუფისათვის და ოთხი როიალისათვის დაწერა 1923 წელს. ოთხივე ფორტეპიანოს აქ უფრო რიტმული ფუნქცია ენიჭება, ვიდრე მელოდიური. ლექსოს სტუდენტებმაც იმ საღამოს ძალიან ბუსტად და ენერგიულად შესრულეს თავიანთი პარტია, რომელიც მეტწილად აკომპანემენტის როლს ასრულებდა სოლისტებისა და გუნდისთვის, თუმცა ოთხი ფორტეპიანო ნაწარმოების

ცეცხლოვანი ენერგეტიკის დასაყრდენს წარმოადგენდა. უნდა აღინიშნოს სოლისტების (რომლებიც რუსულად მღეროდნენ ძველებურ რუსულ ტექსტებს) როლიც, განსაკუთრებით საქმროს როლის შემსრულებელი პ. ბოგდანოვი. დანარჩენი სოლო პარტიების ამერიკელი შემსრულებლებიც ტოლს არ უდებდნენ ეროვნებით რუს კოლეგას არტისტიზმსა და პროფესიონალიზმში. გუნდთან, დირიჟორთან და დასარტყამი საკრავების ჯგუფთან ერთად მათ გააცოცხლეს სტრავინსკის ეს ნამდვილი ეპიკური ფრესკა, რომელიც, რაც დროს გადის, მით უფრო თანამედროვე ხდება თავისი ექსპრესიისა და სიცოცხლისკენ სწრაფვის წყურვილით.

„სვადებკას“ შემდეგ დირიჟორმა გამოაცხადა, რომ „ბის“-ზე მათ სიუბრიმი ჰქონდათ: „განა ხშირად ნახავთ თქვენ სცენაზე ოთხ როიალს ერთად? სწორედ ამიტომ, ჩვენ გადავწყვიტეთ, დღეს სტრავინსკის ბალეტ „კურთხეული გაზაფხულიდან“ ერთი ნომერი -- „საკრალური ცეკვა“ 4 ფორტეპიანოსთვის შემოგთავაზოთ, ესაა პირველი შესრულება (4 ფორტეპიანოს ვერსია) ვაშინგტონში!“

ამჯერად, ლექსო თორაძის სტუდენტები სოლისტები გახდნენ. ოთხმა აბსოლუტურად სხვადასხვა, ნიჭიერმა მუსიკოსმა, სტრავინსკის მაგიური **anse Sacrale** ისეთი ენერგიით დამუხტა, რომ თავშეკავებულმა და უფრო მეტად, შუახნის ადამიანებისგან შემდგარმა აუდიტორიამ მხურვალე ტაში და „ბრაჰო“ არ დააკლო მათ.

კონცერტის შემდეგ ჟოზეფ ჰოროვეცი, ლექსო თორაძე და კიდევ ოთხი მუსიკის ექსპერტი დასხდნენ სცენაზე და მაყურებლებთან ერთად დისკუსია გამართეს. მართალია, აუდიტორიის ნაწილი, ვისაც ეჩქარებოდა, წავიდა, მაგრამ ისინი, ვინც დარჩნენ (დარბაზის დაახლოებით 20%), სტრავინსკის შესახებ ძალიან საინტერესო საუბრის მონაწილეები გახდნენ. ლექსომ გაიხსენა 1965 წელს სტრავინსკის ვიზიტი საქართველოში, მისი რეაქცია ქართულ ხალხურ სიმღერებზე. მან ცოტა აცინა აუდიტორია თავისი უშუალოდ, მოიგონა თუ რას უყვებოდა ლექსოს მამამისი (გამოჩენილი ქართველი კომპოზიტორი, დავით თორაძე) ამ ვიზიტზე.

შემდეგ სტრავინსკის მუსიკასაც შეეხო, გაარჩია კონცერტიდან რამდენიმე ადგილი, სადაც მარცხენა ხელში რუსული ლიტურგიის ბანი, მარჯვენა ხელის ბაროკოს სტილთანაა შეხამებული.

ეს ყველაფერი ძალიან სასიამოვნო და შესაშური იყო ჩემთვის. ვინატრებდი, ჩვენთანაც ასეთი ტრადიციის დამკვიდრებას. ერთ რამეზე ცოტა გული დამწყდა: ინტერნეტში, ამ კონცერტის ანონსში, ჩვენი მუსიკოსები „რუს პიანისტებად“ იყვნენ მოხსენიებული; თავად ლექსო კი, რასაკვირველია, დისკუსიის დროს სულ თავის ქართულ წარმომავლობას უსვამდა ხაზს.

ჩემი გულისწუხილი ედიშერ სავიციკის გავუზიარე. აი, რა მიპასუხა მან: "ხალხის ძალიან დიდი არმია მუშაობს ამ ფესტივალებზე – ჟურნალისტები, მუსიკისმცოდნეები; ჩვენ არ გვეკითხებიან, სამუხაროდ. არც იცი წინასწარ ვინ რას დანერს ხოლმე. ჩვენ, რომ ამას ვსდით, ამის შესაძლებლობა არ გვაქვს. მაშინ ველარ დავუკრავთ". იმედი დავიტოვოთ, რომ ასეთი შეცდომები მომავალში მინიმუმამდე იქნება დაყვანილი.

დისკუსიის დასრულების შემდეგ ჩვენ შევედით კულისებში. მიველოცეთ ჩვენს მუსიკოსებს დიდი წარმატება. ლექსოს ძალიან გაეხარდა დიდი ხნის უნახავ მეგობრებთან შეხვედრა. მან შეგვიპატიჟა მიღებაზეც, სადაც გავიციანთ ფესტივალის სულისჩამდგმელი, ჯოზეფ ჰოროვეცი. მერე ჩვენ გავიხსენეთ ბავშვობაში, სოხუმის კომპოზიტორთა სახლში გატარებული წლები, სადაც ღამ-ღამობით, ლექსო, ვატო მაჭავარიანი და გოგა შავერზაშვილი ჯემ-სეშენებს გვწყობდნენ და ერთ ზაფხულს, როდესაც ლექსომ ხელი მოიტეხა, როგორ უკრავდა თაბაშირიანი ხელით და ყველას ვვამხიარულებდა. ლექსო იგივეა დღესაც, რაც იყო ბავშვობაში -- გახსნილი და უშუალო, ნიჭიერი და ხალისიანი, მზად არის იცინოს და გაცინოს და ამაშია მისი საიდუმლოება: – იყოს აღფრთოვანებული სიცოცხლით და სიცოცხლის ყველა განცდა მის გვერდით იყოს მუდამ.

# საოპერო მუსიკის გალა კონცერტი

28 ივნისს კონსერვატორიის დიდ დარბაზში საოპერო მუსიკის გალა-კონცერტით დაიხურა თბილისის გაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის 159-ე თეატრალური სეზონი. ოპერის თეატრისთვის ეს ერთ-ერთი მეტად საინტერესო, მისი აკადემიური დონის გამომხატველი საღამო იყო, თუმცა, გარკვეული თვალსაზრისით უჩვეულოც. მსმენელი განებავრებულია ოპერის დასის მიერ ჩატარებული მაღალი დონის გალა-კონცერტებით, რომელთა გამართვა თეატრის სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების პირობებშიც გრძელდება დედაქალაქის სხვადასხვა საკონცერტო თუ თეატრალურ სივრცეში, მაგრამ უჩვეულო აღმოჩნდა იგი თავისი ფუნქციით; როგორც საყოველთაოდაა ცნობილი, საოპერო სეზონი მუდამ იხსნება ჩვენი კულტურის უკვდავი საგანძურის ფალიაშვილის ოპერის „ბესალომ და ეთერის“ წარმოდგენით და იხურება კომპოზიტორის მეორე შედევრით „დაისით“, წლეულს თეატრმა აღნიშნული კონცერტით ეს ტრადიცია დაარღვია.

32

თეატრს ბევრი სპექტაკლით, კონცერტით, გასტრო-

ლით მიღებული სიხარული სეზონის ბოლოს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მოვლენით გაუორმაგდა. თეატრის მმართველმა დავით საყვარელიძემ 2 ივნისს იტალიის დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ საზეიმო ღონისძიებაში თეატრის გუნდის ბრწყინვალე მონაწილეობის შემდეგ საქართველოში იტალიის ელჩისგან, ბატონ ვიტორიო სანდალისგან სამადლობელი წერილი მიიღო, რომელშიც კერძოდ, ნათქვამია: „კიდევ ერთხელ გიხდით მადლობას თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის გუნდის მონაწილეობისთვის იტალიის ეროვნული დღისადმი მიძღვნილ საზეიმო ღონისძიებაში, სადაც გუნდმა ორი ქვეყნის ეროვნული ჰიმნი შეასრულა.“

შთამბეჭდავი იყო ლოტბარისა და გუნდის მომღერლების პროფესიონალიზმი. თქვენი თეატრის მონაწილეობა ამ ღონისძიებაში, რომელიც იტალიურ და ქართულ ინსტიტუციებს შორის არსებული ურთიერთპატივისცემისა და ჩვენს ქვეყნებს შორის არსებული მყარი კულტურული ურთიერთობის დასტურია, იყო დიდი ყურადღებისა და პატივისცემის გამოხატულება“.

სეზონის უშუალოდ დახურვის წინ ასეთი წერილი თეატრის შემოქმედითი დასის მაღალი დონის მორიგი საერთაშორიო აღიარებაა; დასმა კი, მართლაც ღირსეულ ნოტაზე დაავიროვნა სეზონი, რისი კიდევ ერთი ნათელი დადასტურება 28 ივნისის კონცერტი იყო.

მსმენელები შეხვდნენ საქვეყნოდ აღიარებულ ახალგაზრდა მომღერალს, მსოფლიო სცენათა ქართველ მშვენიერებს, ლა სკალას თეატრის წამყვან სოლისტს ნინო მაჩაიძეს, რომელიც გადატვირთული საგასტროლო და სამუშაო გრაფიკის მიუხედავად, ყოველ წელს ჩამოდის სამშობლოში და მონაწილეობს თბილისსა და ბათუმში გამართულ ვალა-კონცერტებში. სეზონის დახურვის საზეიმო კონცერტში მსმენელის წინაშე წარსდგნენ ასევე თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტები – ირინე თაბორიძე, ირინე რატიანი, მარიამ ქობალიანი, ანი ცარციძე, ლევი იმედაშვილი, ირაკლი კახიძე, ნიკოლოზ ლავგილავა, მამუკა ტეფნაძე, ანზორ ხიდაშელი, ვახტანგ ჯამიაშვილი.

აუღერდა მეტად მრავალფეროვანი პროგრამა, რომელიც მოიცავდა სხვადასხვა ეპოქის და ეროვნების კომპოზიტორების საოპერო მუსიკას, კერძოდ, ცნობილ არიებს მოცარტის ოპერიდან „დონ ჯოვანი“, ვერდის ოპერებიდან „ნაბუქო“, „დონ კარლოსი“, „ბედის ძალა“, „ფალსტაფი“, ბიზეს ოპერიდან „კარმენი“, მასკანის ოპერიდან „სოფლის ღირსება“, პუჩინის ოპერებიდან „მადამ ბატერფლაი“, „ტურანდოტი“, „ტოსკა“, გუნოს ოპერიდან „რომეო და ჯულიეტა“, არაყიშვილის ოპერიდან „თქმულება შოთა რუსთაველზე“. რეპერტუარი ისე იყო შერჩეული, რომ თითოეული სოლისტის ტექნიკურ და მუსიკალურ შესაძლებლობებს სრულად ავლენდა. შეიძლება ითქვას, რომ ეს არიები მათი სავიზიტო ბარათებია, არიებსა და დუეტებს ორკესტრის მიერ ჩინებულად შესრულებული ოპერების საორკესტრო ნომრები ენაცვლებოდა. კონცერტის მთლიანობას განსაზღვრავდა დირიჟორი ჯანლუკა მარჩიანო. საოპერო მუსიკის ამ შედეგებით შედგენილმა პროგრამამ, კონცერტში მონაწილე მუსიკოსების საკმაოდ მაღალმა საშემსრულებლო დონემ კონსერვატორიის დიდ დარბაზში შეკრებილ აუდიტორიას უდიდესი სია-



თბილისის ოპერის თეატრი

მოვნება მიანიჭა და კიდევ ერთხელ აგრძნობინა, რომ ოპერის თეატრის რეკონსტრუქციის გამო შექმნილი დისკომფორტის მიუხედავად სოლისტები, გუნდი, ორკესტრი ჩინებულ ფორმაში არიან და მსმენელთან ერთად მოუთმენლად ელიან მშობლიური თეატრის სცენაზე დაბრუნებას.

გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან მოყოლებული, ვისაც ხშირად უხდებოდა რუსთაველის გამზირზე ზემე-ლიდან კინოთეატრ “სპარტაკამდე” მონაკვეთის გავ-ლა, შეუძლებელია არ შეემჩნია ღრმად ჩაფიქრებული, თითქოს გარე სამყაროსაგან გაუცხოებული, ძალზედ დამახასიათებელი სიარულის მანერის მქონე წარმოსა-დევი მამაკაცი, რომელიც მიაბიჯებდა მტკიცე, ფართო ნაბიჯებით, უმეტესად ქუდით ხელში, არანაკლებ ენ-ერგიული მოძრაობით წინმსწრაფად რომ მიაქანებდა მის სხეულს. ქიაჩელის ქუჩაზე მდებარე მის სახ-ლზე არსებული აბრა გვამცნობდა, რომ იგი ცნობილი საზოგადო მოღვაწის, აკადემიკოს გრიგოლ ნულუკიძის ოჯახის წარმომადგენელი იყო. მაგრამ მან ცხოვრება მეცნიერებას კი არა, ხელოვნებას დაუკავშირა. არც ეს იყო შემთხვევითი. დედის მხრიდან საგვარეულოს სათავეში ქართული კინოსა და თეატრის ერთ-ერთი

იმით მოიხსენიებდნენ ნათესავები, მეგობრები, თანამ-შრომლები, კოლეგები თუ ოფიციალური პირები ამ გამორჩეულად ორიგინალურ, მეოცნებე, რომანტი-კულ, პრაგმატიზმისა და კონფორმიზმისაგან მკვეთრად განდგომილ პიროვნებას. სწორედ ამ თვისებების წყა-ლობით შესძლო მან ისე ემუშავა საქართველოს კულ-ტურის სამინისტროში, რომ ჩინოვნიკის აუცილებელ თუ მეტ-ნაკლებად დამახასიათებელ თვისებათა არც ერთი ლაქა არ დაემჩნია ათწლეულების მანძილზე. მარ-თალია, ის სარედაქციო-სარეპერტუარო კოლეგიას ხელმძღვანელობდა, რომელიც უფრო შემოქმედებითი განყოფილება იყო სამინისტროში სხვებთან შედარ-ებით. მაგრამ ჩინოვნიკურ ხარკს მაინც მოითხოვდა და სწორედ ყველაზე მძიმე – იდეოლოგიური კუთხით. და მხოლოდ ამგვარ “არასტანდარტულ” თანამშრომელს შეეძლო სამინისტროში, არა ლაბირინთებში ძრომით,

# გასონი ანსონი

პირველი რეჟისორი, პირველი ქართული ოპერების სცენური ცხოვრების სულისჩამდგმელი ალექსანდრე ნუნუნავა გახლდათ. იქნებ ამიტომაც იქცა ქართული ოპერა მისი შემოქმედების სულიერ საზრდოდ, ხოლო ზაქარია ფალიაშვილის “აბესალომ და ეთერი” ნამდ-ვილ კერპად, სალოცავ ხატად...

ბატონი ანტონი, ბატონი ტატული, უბრალოდ, ტატო, ტატუკო... და ვინ იცის კიდევ რამდენი სინონ-

არამედ სწორხაზოვნად ევლო ამ მოლიპულ გზაზე ისე, რომ თვითონაც მართალი ყოფილიყო საკუთარ თავთან და ჩვენთვისაც, მისი კოლეგიის წევრებისათვის, ახ-ალბედა თანამშრომლებისათვის ნათლად ეჩვენებინა ასეთი გზით სიარულის რეალური შესაძლებლობა.

ამიტომაც, როდესაც საბჭოთა ეპოქის მკვიდრთა პიროვნულ თავისუფლება-ართავისუფლებაზეა ხოლმე საუბარი, ბატონი ანტონი მახსენდება და ვიჯერებ, რომ

თავისუფლება მხოლოდ პიროვნებაშია და სწორედ ის უნდა აღმოჩინო შენში. ბატონ ანტონს ამის აღმოჩენა არ სჭირდებოდა; ის შინაგანად თავისუფალი იყო, ამ აზრის ყველაზე უფრო ღრმა გაგებით. მან, სრულიად ახალგაზრდამ, საკუთარ თავზე განიცადა საბჭოური რეპრესიების ძალა, მაგრამ არასოდეს ტრაბახობდა პოლიტპატიმრის და შემდგომ რეაბილიტირებული პატროტი–დისიდენტის იმიჯით, ყველაზე მომგებიან სიტუაციებშიც კი იშვიათად ამხვილებდა ყურადღებას საკუთარ თავგადასავლებზე, მაგრამ სიამოვნებით ყვებოდა რეპრესირებული დიდი ადამიანების მისთვის ცნობილ “კადრს მიღმა დარჩენილ” ისტორიებს. ერთ-ერთი ასეთი ისტორიით დაიწყო ჩვენი თანამშრომლობა და შემდგომ, მეგობრობაც. მე კარგად ვუნყოფი, რომ ბატონი ანტონი ჩვენს ოჯახს კარგად იცნობდა, მაგრამ მისთვის მხოლოდ მისი სტუდენტი ვიყავი კონსერვატორიაში. კოლეგიაში მისულს, ცხადია, წვრილად გამოძიების “სადაური ვარ” და “საიდან მოვდივარ” და როცა შეიტყო, რომ საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქის კალისტრატე ცინცაძის პირდაპირი შთამომავალი ვარ, საოცარი ისტორია მიამბო, რომელიც თურმე ბებიამ კი იცოდა, მაგრამ ჩვენთვის არასოდეს გაუმხელია (ალბათ ეშინოდათ, სადმე არ წამოგვცდნოდა). ეს ისტორია 1923 წლის რეპრესიებს ეხებოდა, როდესაც საეკლესიო კალენდრით ახალი წლის ღამეს, კათოლიკოს–პატრიარქ ამბროსი ხელაიასთან და საკათალიკოსო საბჭოს სხვა წევრებთან ერთად, კალისტრატე ცინცაძეც დააპატიმრეს. სასამართლო პროცესზე მათ არ ჰყოლიათ ვეჭილი და თვითონ უხდებოდათ ახალგაზრდა, გამოუცდელ კომკავშირელ–ბრალდებულთათვის პასუხის გაცემა. “კალისტრატეს პასუხები მორულ ფრაგებად იქცაო – მითხრა ბატონმა ანტონმა. — ასე შევიტყვე მეც და შენც უნდა იცოდეთ” — და მიამბო, რომ პროცესზე კალისტრატესთვის უკითხავთ, ღმერთი მართლა თუ გნამსო. კალისტრატეს უფლება უთხოვია მოსამართლისათვის არ ეპასუხა ამ შეკითხვაზე, რადგან საბრალდებო სკამზე ყოფნის მიზეზი სწორედ ღვთის რწმენა იყო. მაშინ გვითხარი ან გვაჩვენე, სად არის



ოთარ თაქთაძივილი, ასონ ნულუკიძე



ანდონ ნულუკიძე

ეს შენი ღმერთით – გაუგრძელებია დაკითხვა კომკავშირელს. კალისტრატეს უთქვამს – ბევრი მისწავლია, უმაღლესი განათლება კიევში მივიღე, ანატომიაც გავიარე, თავის ქალის ტრეპანაციასაც დავსწრებივარ, ადამიანის ტვინი ხელისგულზე მდებია, მაგრამ ჭკუა იქ ვერსად მიპოვნია. ხომ ვერ მეტყვი, ყმანვილო, სად არის ან როგორია ეს ჭკუაო. – მაშინვე ვიფიქრე, როგორ არ შეეშინდა ასეთ თემებზე ასე ღიად ლაპარაკი მეთქი. ასეთი ამბების მოყოლა ხომ დიდ რისკთან იყო დაკავშირებული. მაგრამ ბატონი ანტონის თვისება იყო პირველი ნათლობა ნაცნობობისა კეთილი სიტყვით, სასიამოვნო ამბით დაეწყო. მერე და მერე დავრწმუნდი, კიდევ უფრო დავრწმუნდი, რომ ნამდვილად უშიშარი ადამიანი იყო. მისთვის აკრძალული თემები არ არსებობდა. მაგალითისათვის იოსებ კეჭაყმაძისა და ბატონი ანტონის სატელეფონო “სამსახურეობრივ კოდურ საიდუმლო დიალოგებს” მოვიყვან, რომლის

გმირები იყვნენ ფელიქს ედმუნდოვიჩი, გერინგი, გებელსი, ლავრენტი პავლოვიჩი, ფიურერი და სხვა ასეთი “თიკუნები”. ეს იმდენად გიტაცებდა ადამიანს, გავიწყდებოდა, სხვისი სატელეფონო საუბრის სმენა რომ უხერხულია და ვისმენდით როგორც სპექტაკლს, სულ იმის გამოთვლებში ვიყავით, ვინ ვინ იყო იმ დღეს. ახლა ცოცხალი რომ ყოფილიყო ბატონი ანტონი და გაგრძელებულიყო სოსოსთან ამგვარი სატელეფონო დიალოგები, უსათუოდ რომელიმე ტელევიზია იყიდიდა პატენტს ტელეშოუსათვის.

შოუსთან აღარაფერი აკავშირებდა სიცოცხლის ბოლო წლებში, ეროვნული მოძრაობის აღმშენებლის ჟამს მის დამოკიდებულებას საბჭოთა პერიოდთან და განსაკუთრებით, ბერიასთან. ეს უკვე სრულიად მოულოდნელი მოდულაცია იყო რეპრესირებული დისიდენტი-საგან, მით უმეტეს, იმ საუბრების გათვალისწინებით, რომლებსაც ვისმენდით მისგან ათიოდ წლის წინ. ბატონმა ანტონმა შეძლო სუბიექტური გვერდზე გადაედო და წლების გადასახედიდან იმ საშინელი ცოდვების გვერდით, “პროგრესული პატრიოტული” მიზნებიც დაენახა, რომელიც, მისი აზრით, ამ “გაუგონარ ურჩხულს” ამოძრავებდა. ბევრნი ვენინააღმდეგებოდით. მაშინ უამრავ კონკრეტულ მაგალითებს გვისახელებდა და იქვე დასძენდა – არ მკითხოთ დოკუმენტის წყაროები და მომწოდებლის გვარიო.

უშიშარი იყო ბატონი ანტონი მოდასთან დამოკიდებულებაშიც. ცხადია, მოდას მუსიკალურ და თეატრალურ ხელოვნებაში ვგულისხმობ და არა Fashion-ს. ბატონი ანტონის მთელი ყურადღება ქართული მუსიკისკენ იყო მიბყრობილი. მას ერთნაირად აღელვებდა საკომპოზიტორო და სამემსრულებლო ხელოვნება, მას ორივე სფეროში ყავდა თავისი რჩეულები, ფავორიტები და კერპები. შეფასებისა და ემოციის ამ გრადაციას სტატიის ლექსიკა ავლენდა ყველაზე მკაფიოდ. თუ სიტყვა “ელვარების” ვარიაციები სხვადასხვა ბრუნვაში, რამდენჯერმე შეგხვდებათ სტატიაში, ესე იგი უმაღლესი შეფასება ხვდა წილად ამ მოვლენას. მაგრამ თუ მის ფავორიტს და, განსაკუთრებით, კერპს რაიმე დააკ-

ლეს (მაგალითად ოპერისა და ბალეტის თეატრს), თუ მის კეთილდღეობას მთელი ძალისხმევით არ მოეკიდნენ, მისი კრიტიკა დაუნდობელი ხდებოდა. აქ უკვე მნიშვნელობა აღარ ჰქონდა არც მეგობრობას, არც კოლეგიალობას, არც კონიუნქტურას. მისთვის საზოგადოებრივი აზრი საკუთარი ბარომეტრით იზომებოდა, რომელიც გულისხმობდა შინაგან გულწრფელობას, დამყარებულს საღ პროფესიულ აზროვნებაზე. სხვა კრიტერიუმი მისთვის არ არსებობდა. ამ შეფასებებში შეიძლება ბევრი გადაჭარბებულიც იყო; ალბათ, როგორც ყველას, მის შეხედულებებსაც ახლდა სუბიექტურობის კვალი. მაგრამ ყველა კარგად უნყოდა, რომ ეს არ იყო კონიუნქტურით ან მოდურობით ნაკარნახევი “სუბიექტურობა”, ეს იყო უსასრულოდ გულწრფელად გამოხატული “სუბიექტური” სიმართლე. და სწორედ ეს გულწრფელობა იქცეოდა ხოლმე მის უტყუარ იარაღად ნებისმიერ კამათში, პროფესიულ პაექრობაში. ხშირად, თავისი კერპების მიმართ თავისებური “მესაკუთრის” გრძნობა უჩნდებოდა და თვლიდა, რომ ამ კერპთა კრიტიკის უფლება მხოლოდ მას აქვს. მაგალითად, არავის აპატიებდა აუგ სიტყვას შალვა მშველიძეზე, რომლის შემოქმედებას არა მარტო ვრცელი მონოგრაფია მიუძღვნა, არამედ ოპერა “დიდოსტატის მარჯვენის” მუსიკალურ რედაქტორადაც მოგვევლინა. დიახ, ის გრძნობდა ხარვეზებს ამ ოპერაში, მაგრამ იმასაც ხედავდა, რომ მასში “ელვარე” მუსიკა მეტია და ამიტომ იტვირთა ამგვარი რედაქციის ურთულესი საქმე.

მისი მეგობრობის საფუძველი ყოველთვის სიყვარული იყო, სიყვარული, რომელსაც ბადებდა შემოქმედება, მხატვრული აზრი. ამ სიყვარულის სანყისი ყოველთვის იყო თუნდაც სულ მცირე ნაპერწკალი ნამდვილი ნიჭის, ნამდვილი შემოქმედების, მხატვრული აზროვნების. მის მეგობრებს შორის იყვნენ ოთარ თაქთაქიშვილი, ალექსი მაჭავარიანი, არჩილ ჩიმაკაძე და სხვ., ადამიანები, რომლებიც ერთმანეთთან ხშირად ვერ პოულობდნენ საერთო ენას, ბატონ ანტონს კი თითოეული მათგანისათვის “ელვარე” შეფასებები არ დაუშურებია და მათივე შემოქმედებით დამოუკიდებ-

ბელი გზები უპოვნია მათი გულუბისაკენ.

ცალკე თემაა ფალიაშვილი და ნულუკიძე. ბატონ ანტონს ფალიაშვილისა და თავისი სალოცავი “აბესალომისთვის” მაშინაც კი არ უღალატია, როცა ახალგაზრდებმა, ახალი მუსიკის აპოლოგეტებმა, ახალგაზრდებისათვის ჩვეული ენერგიულობითა და აგრესიით შეუტიეს ძველს. ბატონი ანტონი კი არ უარყოფდა ახალს, მის კერპთა შორის მეოცე საუკუნის გიგანტებიც იყვნენ, მათ შორის შოსტაკოვიჩი და პროკოფიევი. მაგრამ ფალიაშვილი ცალკე ტაძარი იყო მისთვის, რომელსაც ერთგულად ედგა დარაჯად და ისე მძლავრად, რომ სოსო კეჭაყმაძეს სტიმული მისცა ბატონი ანტონის სახელით დაენერა პოემა (ვერბალური და არა მუსიკალური) სათაურით “აბესალომ, რელიგიავ ჩემო”. პოემის რეფრენი ხალხური სტროფები გახლდათ – “აბესალომის დანაო” და ა.შ. ხოლო შემდეგი სტროფი ასე გამოიყურებოდა:

“ეთერმა თავი მოიკლა  
მე არ მოვიკლავ თავსაო,  
სხვას მოვკლავ, შემომაკვდება,  
ვინც მასზე იტყვის ავსაო”  
(მასზე – ფალიაშვილი იგულისხმება).

ეს პოემა ბატონი ანტონის არქივში ინახება და მისმა ქალიშვილმა თამარიკომ გავგახსენა მის საიუბილეო საღამოზე თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში (მუზეუმში), მუსიკის ტაძარში, სადაც ანტონ ნულუკიძემ მთელი თავისი ცხოვრება გაატარა ჯერ როგორც პიანისტმა – ანასტასია ვირსალაძის კლასში, შემდგომ მუსიკისმცოდნე-პედაგოგმა, პროფესორმა, მკვლევარმა, პუბლიცისტმა, კრიტიკოსმა, სადაც ეზიარა ქართული მუსიკის მადლს, რომელიც თავდავიწყებით შეიყვარა და არ უღალატნია სიცოცხლის ბოლომდე.

გ. ფალიაშვილის სახ. NI ცენტრალური სამუსიკო სასწავლებლის ე.წ. "ნიჭიერთა ათწლეულის" –ს ისტორია უკვე 73-ე წელს ითვლის. სწორედ ეს გახლავთ საქართველოს ის დიდი კულტურული კერა, რომელმაც საქვეყნოდ განთქმულ ინსტრუმენტალისტთა, ვოკალისტთა, დირიჟორთა, მუსიკათმცოდნეთა თუ კომპოზიტორთა მრავალი თაობა აღზარდა. მათმა მოღვაწეობამ ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა ჩვენი მუსიკალური კულტურის განვითარებასა და მის საერთაშორისო აღიარებაში.

დღეს ევროპისა და ამერიკის საუკეთესო კონსერვატორიების პროფესორებსა და ცნობილ სოლისტ-შემსრულებლებს შორის ვხვდებით მათ სახელებს.

საქართველოსათვის ურთულესი წლების მიუხედავად, სასწავლებელმა, საკუთარ უნიკალურ რესურსზე დაყრდნობით მაინც შესძლო აქტიური სამუშაო პროცესის წარმართვა. ალბათ არ გადავამეტებთ თუ ვიტყვით, რომ განსაკუთრებით ძლიერი შედეგები ბოლო 5 წლის

ფესორი უკვე კარგად იცნობს არამხოლოდ სასწავლებლის ცალკეულ პედაგოგსა თუ მოსწავლეს, არამედ (და ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი) სასწავლებლის პოტენციალს მთლიანად. ამიტომ ისინი რეგულარულად ჩამოდიან საქართველოში, ატარებენ მასტერ-კლასებს და ხშირად ინვევენ ჩვენს მოსწავლეებს კონცერტების გასამართად ევროპასა და ამერიკაში.

ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ სულ უფრო იზრდება კონკურსების სერიოზულობა (რაც საქართველოს საშემსრულებლო სკოლისათვის ძალზე მნიშვნელოვანია!) და ამ რთული და სერიოზული კონკურსებიდან ჩვენი მოსწავლეების კონცერტების გასამართად მიწვევის სტატისტიკა.

ყოველივე ზემოდაღნიშნული ხელს უწყობს სასწავლებლის პოპულარობას, რაშიც განუზომელად დიდია "ნიჭიერთა ათწლეულის" კურსდამთავრებულთა წვლილი. ყველაფერი კი მასტერ –კლასებით დაიწყო და დაგვირგვინდა იმით, რომ დღეისათვის ევროპაში უკვე

# „საქართველოს თავის ნიჭის უხვად გაცემაც ხელენიფება,“

მანძილზე დაფიქსირდა, რაც ამჟამინდელი ხემძღვანელობის გონივრული, საერთაშორისო სამუსიკო საგანმანათლებლო სტანდარტებისა და ზოგადად კულტურის პოლიტიკის თანხვედრი კონცეფციის შედეგია.

სასწავლებელმა მჭიდრო შემოქმედებითი კონტაქტები დაამყარა, ყოფილ "ათწლეულებთან", რაც დაეხმარა მას უფრო აქტიურად გამოეყენებინა მსოფლიოს საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრირების საშუალება. ამან შექმნა წინაპირობა იმისათვის, რომ დღეს უკვე ტრადიციად ჩამოყალიბდა მასტერ-კლასების სისტემა.

მსოფლიოს ბევრი საინტერესო მუსიკოსი და პრო-

შექმნილია "ათწლეულის დახმარების" 2 საერთაშორისო ფონდი.

ეს სასწავლებლის ისტორიის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფურცელია.

"ნიჭიერთა ათწლეულმა" შესძლო ეჩვენებინა საუკეთესო შედეგები მსოფლიოს პრესტიჟულ კონკურსებსა და ფესტივალებზე (ბოლო 5 წლის მონაცემებით ლაურეატთა რიცხვი 100-ს აღემატება), აღედგინა წლების მანძილზე გაუქმებული განყოფილებები, მიმართულებები და საკრავები, შეექმნა ახალი ორკესტრები და ანსამბლები, მოემზადებინა ისეთი დონის მოსწავლეები, რომლებიც უშუალოდ სასწავლებლიდან ჩაირიცხე-



ნანა კოლელიშვილი, ნინო მაზრაძე, თინა მაგულაშვილი, სალომე ჩიქია, თამაზ გათიაშვილი

ბოდნენ მსოფლიოში აღიარებულ პრესტიჟულ უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში.

აღსანიშნავია, რომ სკოლამ არამარტო მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა საერთაშორისო პროექტებში არამედ თავად გახდა საერთაშორისო შემოქმედებით-საგანმანათლებლო პროექტების ინიციატორი და განმახორციელებელი. მაგალითად, 2009 წ. დაფუძნდა "ზ. ფალიშვილის სახელობის ახალგაზრდა მუსიკოსთა იტალიურ-ქართული ორკესტრი" – სასწავლებლის მოსწავლეთა კურსდამთავრებულთა და იტალიელ მუსიკოსთა მონაწილეობით, რომლის მთავარი დირიჟორია ცნობილი მუსიკოსი ჯან-პაოლო პრეტო.

ამაზე უფრო ვრცლად ქვემოთ მოვითხრობთ.

ბუნებრივია, ჟურნალის ერთ ნომერში ჩვენ სრულად ვერ მოვიხილავთ სასწავლებლის ყველა ღონისძიებასა და ნოვაციას, ამიტომ მკითხველს ვთავაზობთ რეცენზიას 2010 წლის 18 მაისს ჩატარებულ სასწავლებლის ერთ-ერთ უაღრესად შთაბეჭდვად გალა-კონცერტსა და უფრო ადრე – 2009 წლის იანვარ-თებერვლის თვეებში სასწავლებლის მიმართ იტალიაში განხორციელებულ ერთ-ერთი მეტად ყურადსაღები პროექტის დასაწყისზე, რომლის შესახებ ფართო საზოგადოებაში სამწუხაროდ თითქმის არაფერი იცის.

მართალია, ამ წერილის გამოქვეყნება ერთობ დაგ-

ვიანდა, თუმცა ამის აუცილებლობაში – ჟურნალ „მუსიკა“-ს რედაქცია მეტად დარწმუნდა მას შემდეგ რაც ამ ღონისძიებებში მონაწილე 5-მა მოსწავლემ შემდგომშიაც სხვადასხვა საერთაშორისო ასპარეზზე დიდი წარმატება მოიპოვა.

ასე მაგალითად: 2010 წლის ნოემბერში VII კლ. მოსწავლე – ვიოლონჩლისტი ლიზი რამიშვილი – ახალგაზრდა მუსიკოს-შემსრულებელთა საერთაშორისო ტელე-რადიო ფესტივალ „მაკნატუნა“ –ს I ადგილის მფლობელი გახდა. მანვე მოიპოვა მსტისლავ როსტროპოვიჩის სახელობის სტიპენდია.

2010 წლის ოქტომბერში, XII კლასელი ანა გოგავა, ჰოლანდიის ახალგაზრდა პიანისტთა საერთაშორისო კონკურსის I ადგილისა და სამი სპეციალური პრიზის მფლობელი გახდა.

2010 წლის ოქტომბერშივე VII კლასელი ვიოლონჩლისტი სანდრო სიდამონიძე, თელავის საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალის ფარგლებში შერჩეულ იქნა ნატალია გუტმანთან მასტერ-კლასებში მონაწილეობის მისაღებად. მანვე დაუკრა ფესტივალის დასკვნით კონცერტზე.

2010 წლის სექტემბერში XI კლასის მევიოლინე მარიამ მაჩაიძე ა.შ.შ. –ის ქალაქ ჯულიარდის ცეკვის, დრამისა და მუსიკის უმაღლესი სკოლის, ხოლო XII კლასელი პიანისტი ზურაბ კობახიძე ბოსტონის კონსერვატორიის სტუდენტები გახდნენ.

ტრადიციულად, გაზაფხულის ბოლო თვეს თბილისის სამუსიკო სასწავლებლები მსმენელთა წინაშე წარსდგებიან ხოლმე სასწავლო წლის შემაჯამებელი გალა-კონცერტებით. უმთავრესად ეს კონცერტები ტარდება ვ. სარაჯიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის მკირე ან დიდ საკონცერტო დარბაზებში.

ასე იყო გასული წლის 18 მაისს – თბილისის კონსერვატორიის დიდ დარბაზში სადაც ვ. ფალიაშვილის სახ. თბილისის I ცენტრალური სამუსიკო სასწავლებელი განვლილ სასწავლო წელს ჩატარებული 30 საჩვენებელი კონცერტის შედეგად, მსმენელის წინაშე წარსდგა სასწავლებლის მოსწავლეთა გალა-კონცერტით.

იმ საღამოსაც, კონცერტის I განყოფილებაში –

უმთავრესად ინსტრუმენტალისტები: 5 პიანისტი, 2 მევიოლინე, 2 ვიოლონჩლისტი, 1 კლარნეტისტი, 1 ჰობოსისტი, სიმებიანი კვარტეტის 4 მონაწილე და 1 მომღერალი მონაწილეობდა.

განსაკუთრებით შთაბეჭედავი აღმოჩნდა კონცერტის II განყოფილება, რომელიც მთლიანად საგუნდო მუსიკას დაეთმო. მასში მონაწილეობდა სასწავლებლის მოსწავლეთა გუნდი. ხელმძღვანელები: პროფ. გ. მუნჯიშვილი, მ. ოჯხელი, ნ. მუნჯიშვილი და სასწავლებლის კამერული ორკესტრი (ხელმძღვანელი პროფ. თ. ბათიაშვილი). ორკესტრს ამჯერად დირიჟორობდა ჰოლანდიელი დირიჟორი მარტინ ვან დერ ბრუკი.

I განყოფილებაში მონაწილე მოსწავლეთა შესახებ გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ყველა მათგანის დაკვრის მანერას წითელ ზოლად გასდევდა სამშემრულებლო აკადემიზმის მკაფიო გამოვლინება. ამ მოსწავლეთა უმეტესობა მრავალი საერთაშორისო მუსიკოს-შემსრულებელთა კონკურსის I პრიზის მფლობელები არიან.

კონცერტის ხუთივე პიანისტი: თამარ მიდელაშვილი XI კლ. პროფ. ა. გარბერის კლასი; ზურაბ კობახიძე XII კლ. პედ. მ. სიხარულიძის კლასი; ნინო კუპრეიშვილი XI კლ. პროფ. ლ. სანიკიძის კლასი; ლექსო პირმისაშვილი XI კლ. პედ. ლ. მიქავას კლასი და ანა გოგავა XI კლ. დამსახ. პედ. დ. ცინცაძის კლასი ერთი მეორეზე უკეთესად ასრულებდა რომანტიკოსი, რუსი თუ ქართველი კომპოზიტორის ცნობილ საფორტეპიანო თხზულებებს და მაინც ჩემი სუბიექტური მოსაზრებით უფრო შთაბეჭედავი აღმოჩნდა თამარ მიდელაშვილის მიერ შესრულებული შოპენის „ფანტაზია-ექსპრომტი“ დო დიეზ მინორი; ლექსო პირმისაშვილის მიერ შესრულებული რამსანინოვის „ეტუდი სურათი“ მი ბემოლ მინორი; და განსაკუთრებით, ანა გოგავას მიერ აჟღერებული პოროკოფიევის „ტოკატა“, რომლის შესრულებისას ნათლად იგრძნობოდა დიდი რუსი კომპოზიტორ-ნოვატორის უჩვეულო მუსიკალური სამყარო...

კონცერტში აგრეთვე მონაწილეობდა სასწავლებლის საორკესტრო განყოფილების – სიმებიან საკრავთა განხრის 4 მოსწავლე: მევიოლინე სენდი ვართანოვა IV კლ. დამსახ. პედ. ვ. ვოსკანოვას კლასი; ვიოლონჩლისტი სანდრო სიდამონიძე VI კლ. პროფ. თ.



საფირიურო აულსთან მარსინ ვან ფარ ბრუკი

გაბარაშვილის კლასი; ვიოლონჩელისტი ლიბი რამიშვილი VI კლ. თ. გაბარაშვილის კლასი და მევიოლინე მარიამ მაჩაიძე XI კლ. პროფ. კ. ვარდელის კლასი. ეს მოსწავლეები ისეთ პედაგოგებთან სწავლობენ, თუნდაც აღვნიშნოთ კ. ვარდელისა და თ. გაბარაშვილის სახელები, რომელთა პედაგოგიურ მოღვაწეობას წინ უძღვოდა ვეებერთელა, სოლო თუ საანსამბლო მრავალწლიანი საკონცერტო ტურნეები სამშობლოსა თუ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში.

ვერ დავმაღავ, ჩემს აღტაცებას, იმასზედ, რომ VI კლასის მოსწავლე — ვიოლონჩელისტმა გოგონამ ლიბი რამიშვილმა — ერთ სუბტიქვაზე უპრობლემოდ და დამაჯერებლად შეასრულა ვიოლონჩელოსათვის გადაკეთებული — ვიოლინოს მხოლოდ ერთი — IV სიმისათვის შესასრულებლად შექმნილი — დიდი იტალიე-

ლი მევიოლინე და კომპოზიტორის, ნ. პაგანილის მიერ შეთხზული ვარიაციები გენიალურ ფ. როსინის ოპერა “მოსე”-ს თემებზე. ფორტეპიანოს პარტიას ასრულებდა თ. ბახტაძე.

ჰობოსისტი ქეთევან ტილაშვილი XI კლ. პრ. გ. ბერიძის კლასი და კლარნეტისტი ნოდარ ბინაძე XI კლ. პედ. გ. ნარეშელის კლასი ღირსეულად წარსდგნენ მსმენელის წინაშე მოცარტის ჰობოსის დო მაჟორული კონცერტითა და ჩაიკოვსკის საკლარნეტო “რუსული ცეკვით”.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს კონცერტმაისტერების თამარ ბახტაძის, ნესტან გუნიავას და ნანა ნერეთლის, როგორც მუსიკოს-ანსამბლისტების სანიშნუშო ოსტატობა.

უაღრესად შთამბეჭდავად შეასრულა მოცარტის

რომანსი „საღამო“ მომღერალმა სალომე ჯიქიამ. იგი სასწავლებლის XI კლასში – ვოკალურ ხელოვნებას პროფ. თ. გუგუშვილთან ეუფლება. ფორტაპიანოზე მას თანხლებას უწევდა ლ. უსეინაშვილი. აღსანიშნავია, ისიც, რომ ს. ჯიქიას 2010 წელს თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის საფორტეპიანო განყოფილების მანჯისტრატურაჲ აქვს დამთავრებული.

კონცერტის I განყოფილების ბოლო ნომრად სიმებიანი კვარტეტის წევრებმა – ვახტანგ მალრაძემ (I ვ-ნო), ნიკა ბარათელმა (II ვ-ნო), ნინო ნადირაძემ (ალტი) და არჩილ ჩხიკვიშვილმა (ვიოლონჩელო) შესარულეს რახმანინოვის რომანსი. ეს მოსწავლეები პროფ. თ. ბათიაშვილის საკვარტეტო კლასში სწავლობენ, რაც მკაფიოდ გამოიხატა მათი საანსამბლო მუსიკირების მაღალ კულტურაში.

როგორც ზემოთ აღვნიშნე კონცერტის II განყოფილებაში განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა მსმენელზე.

სასწავლებლის მომღერალთა გუნდმა და კამერულმა ორკესტრმა ჰოლანდიელ ვან დერ ბრუკის დირიჟორობით – უდიდესი გატაცებით შესარულა XVII-XVIII საუკუნის დიდი იტალიელი კომპოზიტორის ანტონიო ვივალდის ორი მრავალწილიანი საგუნდო თხზულება: კანტატა „მანგიფიკატი“ – სოლ მაჟორი და საგალობელი „გლორია“ – რე მაჟორი.

მსმენელმა უაღრესად სასიამოვნო რევერანსად აღიქვა ის ფაქტიც, რომ ნაწარმოების შესრულების დაწყებისას ორკესტრის კონცერტმასტერის ადგილი დაიკავა მისმა ხელმძღვანელმა პროფ. თამაზ ბათიაშვილმა.

ა. ვივალდის ამ ორივე თხზულების სახელწოდება გამომდინარეობს კათოლიკური ლათინური სასულიერო საგალობლების პირველი ფრაზებიდან – სასიხარულო, საზეიმო ხასიათის: **Magnificart anima mea Dominum** – „სული ჩემი აღიდებს უფალს“ და სადიდებელი ხასიათის **Gloria in excelsis Deo** – „დიდება ზეციურ ღმერთს“.

სოლო ვოკალური პარტიები შესარულეს სასწავლებლის მოსწავლეებმა: სალომე ჯიქიამ (სოპრანო), თინკო მამულაშვილმა (სოპრანო), ნანა კოლელიშვილმა (მეცო სოპრანო) და ნიკოლოზ ნატროშვილმა

(ბანი). ხელმძღვანელები: პროფ. თ. გუგუშვილი, პროფ. გ. ბეჟუაშვილი და პროფ. ა. რევიშვილი.

სასწავლებლის მოსწავლეთა ორკესტრის სოლისტები იყვნენ: ქეთევან ტილაშვილი (ჰობოი), სალომე ბუკია (ვიოლონჩელო), პაატა ბერიძე (საყვირი) და ლიზი მამრაძე (ორგანი).

სასწავლებლის მოსწავლეთა გუნდის, ორკესტრის და სოლისტების მიერ შესრულებულ ნაწარმოებებში იგრძნობოდა ის დიდი მონდომება, რომლის გარეშეც შეუძლებელია ნაწარმოების სრულფასოვნად მიტანა მსმენელის ყურამდე. მათ შესანიშნავად აღიქვეს ვივალდის მუსიკის სიღამაზე და მრავალფეროვნება. ამ პროცესში მკაფიოდ გამოვლინდა ჰოლანდიელი დირიჟორის დიდი ოსტატობა, რომელმაც ქართველ მოსწავლეებთან ერთად შეუფერხებლად გადალახა ვივალდის საგუნდო მუსიკის ის საშემსრულებლო სირთულეები, რომელს დაძლევა ყველას არ ძალუძს.

ნაწარმოებების წარმატებით დასრულების შემდეგ ბ-ნმა მარტინ ვან დერ ბრუკმა დიდი მადლობა გადაუხადა მსმენელს, მოსწავლეებს, მათ ხელმძღვანელებს და დარბაზის კულისებში გასულმა ისეთი დიდი კმაყოფილება გამოთქვა ქართველი მოსწავლეების გუნდისა და ორკესტრის მიმართ, რომ მზად იყო მათთან ერთად მომავალში შეესრულებინა ვოლფგანგ ამადეუს მოცარტის „რეკვიემი“.

ბოლოს არ შემიძლია ორიოდ სიტყვით არ მოვიხსენიო 2009 წლის იანვარ-თებერვალში განხორციელებული კიდევ ერთი მეტად სასიამოვნო პროექტი, რომელიც მიზნად ისახავდა ფართო საზოგადოებისათვის გაეცნო განსაკუთრებული მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებულ ახალგაზრდა ქართველ მუსიკოსთა საშემსრულებლო ხელოვნება.

პროექტი განხორციელდა წმიდა საყდრის სადესპანოს თაოსნობითა და იტალიის ქ. ვერონას წმ. ძენოს სახელობის ფონდის გულითადი მხარდაჭერით. ამ მიზნით, შეირჩა ზ. ფალიაშვილის სახ. თბილისის I სამუსკო სასწავლებელი, რომლის კედლებში სახელგანთქმული ქართველი მუსიკოსების მთელი ზღადა აღიზარდა.

2008 წლის აგვისტოში საქართველოს წინამძღვრე განალებულმა უმძიმესმა ომმა, დიდი ტკივილი დაუტოვა მის მოსახლეობას. საერთოშორისო საზოგადოებამ

ყურად იღო დახმარების თხოვნა, აღმოუჩინა—რა ქმედითი და გულუხვი თანადგომა გასაჭირში ჩავარდნილ ქვეყანას.

პროექტის მიზანი იყო დაემტკიცებინა ის, რომ ამ უძველესი კულტურული ტრადიციების მიწას მხოლოდ დახმარება კი არა, თავისი ნიჭის უხვად გაცემაც ხელეწიფება.

არაა დასამალი, რომ საქართველოს დღევანდელ ვითარებაში, მუსიკის სფეროში მოღვაწეობა პროფესიულ სირთულეებთანაა დაკავშირებული, რაც გამბედაობასა და თავდადებას მოითხოვს.

კონცერტების სერიას, რომელიც საქართველოში, ვატიკანსა და იტალიის ქალაქებში ჩატარდა, ხელმძღვანელობდა ქ. ფიფობლეს მუსიკალურ სასწავლებელთან არსებული იტალიის ახალგაზრდული ორკესტრის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, ცნობილი ფლეიტისტი და დირიჟორი — მასტრო ჯანპაოლო პრეტო. მან სრულიად უსასყიდლოდ გაიღო თავისი ნიჭი, ძალისხმევა თუ დრო. მასტროს მხარში ედგა ორკესტრის პირველი ვიოლონჩელო და პროექტის ხელმძღვანელი — მასტრო მანუელ ძივანტე.

თბლისის NI სამუსიკო სასწავლებლის კამერული ორკესტრისა და ამავე სასწავლებლის კურსდამთავრებულ მოსწავლეთა ანსამბლის ბაზაზე შეიქმნა საშემსრულებლო კოლექტივი, რომელსაც, "ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ახალგაზრდული სიმფონიური ორკესტრი" ეწოდა. ამ კოლექტივში გაერთიანებული სიმებიანი ჯგუფისა და ჰობოისტ ქართველ შემსრულებლებს, ორკესტრის სრულყოფილი სახით ჩამოყალიბების მიზნით შეუერთდა ხისა და ლითონის ჩასაბერ საკრავებზე, კონტრაბასებზე და ლიტავრებზე შემსრულებელ იტალიელ სტუდენტთა ჯგუფი.

2009 წლის 30 იანვარს, ვ. სარაჯიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში, ორკესტრმა დიდი მონდომებით შეასრულა რ. ლალიძის სიმფონიური სურათი "საჭიდაო", უდავოდ ნიჭური ანა ყიფიანის მიერ აყდრებული მოცარტის სოლ — მაჟორული NI7 K 453 საფორტეპიანო კონცერტი და განსაკუთრებით შთამბეჭდავი — ბრამსის 6- ნაწილიანი "სერენადა" NI რე მაჟორი, op.11, სიმფონიური ორკესტრისათვის. 2-9 თებერვალს კი ორკესტრის ხე-

ლოვნებას იტალიელი მსმენელიც გაეცნო. კოცერტები ჩატარდა ვატიკანში და იტალიის სხვადასხვა ქალაქებში—ვერონაში, ტრენტოში, სპოლეტოში. კონცერტებს ესწრებოდა როგორც მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები, ისე ქალაქის ელიტა. იგი დაფიქსირდა ტელევიზიაში და გამოიცა DVD.

სასიამოვნო იყო ის ფაქტიც, რომ დიდ კომფორტაბელურ ავობუსს, რომლითაც ორკესტრის წევრები იტალიის ქალაქებში გადაადგილდებოდნენ — ეწერა „ზ. ფალიაშვილის სახელობის ახალგაზრდული სიმფონიური ორკესტრი“.

ამ კონცერტების შესახებ გამომხაურება იმდენად დადებითი აღმოჩნდა, რომ ქართველმა, იტალიელმა მუსიკის მოყვარულებმა და სასულიერო პირებმა კიდევ ერთხელ დაადასტურეს ამ ერთობლივი მუსიკალური პროექტის მნიშვნელობა და აუცილებლობა.

ალექსი პანიძე

P.S. 2011 წლის 27 აპრილს, საქართველოში— ვატიკანის წარმომადგენლობის ელჩმა ბ-ნმა მონსერატ ბუჯეროტიმ, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში მოაწყო 2009 წლის 2 თებერვალს - ვატიკანში გამართულ "ზ. ფალიაშვილის სახ. ქართველ და იტალიელ მოსწავლეთა ახალგაზრდული სიმფონიური ორკესტრი"-ს (დირიჟორი ჯ. პრეტო) ერთ-ერთი კონცერტის DVD--ის პრეზენტაცია. თავის გამოსვლაში მან ვრცლად და გულთბილად მოიგონა ის დაუვიწყარი დღეები.

საპასუხო სიტყვაში საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა ბ-ნმა ნიკოლოზ რურუამ გულრწინი მადლობა გადაუხადა ბ-ნ ელჩს პრეზენტაციის მოწყობისათვის და განაცხადა, რომ ამ DVD-ის მრავალი ეგზემპლარი რომელიც უკვე გავრცელდა ევროპის ქვეყნებში, ასევე გავრცელდება საქართველოს სხვადასხვა სასწავლო თუ კულტურულ დაწესებულებებში.

# პიორპი საბაძის სახელობის კონკურსი

გემოვნებიანი მსმენელის აღზრდა საკმაოდ მნიშვნელოვანი საქმეა მუსიკალური ფასეულობების სწორად შეცნობისათვის. ამ მხრივ ერთ-ერთი, ვინც თავის საქმეს წარმატებულად აკეთებს, ხელოვნების აკადემია და მისი რექტორი ვალერიან შიუკაშვილია.

სწორედ პატონი ვალერიანის ინიციატივით შედგა გიორგი ცაბაძის სახელობის ქართული საესტრადო სიმღერის კონკურსი, რომლის დასკვნითი გალა-კონცერტი გაიმართა შოთა რუსთაველის სახელობის აკადემიურ თეატრში.

კონკურსი ორ ტურად ჩატარდა. ავტორიტეტულმა ჟიურიმ, რომლის თავმჯდომარე ნანი ბრეგვაძე, ხოლო წევრები კახა ცაბაძე, ვალერიან შიუკაშვილი, ნეკა სუბისკვერაძე და მარინა ბერიძე იყვნენ, საკმაოდ მრავალფეროვანი და საინტერესო შემსრულებლებიდან აარჩია ლაურეატები.

პირველი პრემია ერგოთ: რეზიკო დიდუბაშვილს (თბილისი), თათია ტონიას (თბილისი) და ნინო გოთოშას (ხობი). მეორე პრემიით დაჯილდოვდნენ გიორგი ვარდანი (თბილისი), გიორგი კაცკაციშვილი (თბილისი), თორნიკე დათაშვილი (ცხინვალი) და გიორგი თორაძე (თბილისი).

გიორგი ცაბაძის სახელობის ქართული საესტრადო კონკურსის დიპლომატები გახდნენ: ნიკა მდივანი (თბილისი), მარიამ ჯანჯღავა (თბილისი), ვაჟა მზარელუა (თბილისი), ნუნუ დათუაშვილი (გურჯაანი), ლინდა ადამია (თბილისი), ეროსი ჩარქსელიანი (ლენტეხი), ნინო შავდათუაშვილი (რუსთავი), სალომე ყანჩაშვილი (თბილისი), ანა პოლოსოვა (თბილისი) და ნათია დევიძე (თბილისი).

უნმინდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქმა ილია მეორემ ყველა



ნანი ზრეგვაძე პასარა ლაურეასთან ერთად

ლაურეას გადასცა საჩუქრები. გადანყდა, რომ ცხრა წლის რეზიკო დიდებაშვილი, რომელმაც პირველი პრემია დაიმსახურა, ერთი წლის განმავლობაში უფასოდ ისწავლის ხელოვნების აკადემიაში.

გალა-კონცერტზე თბილისის მერიის ბიგ-ბენდის (დირიჟორი გივი გაჩეჩილაძე) თანხლებით შესრულდა გიორგი ცაბაძის არაერთი ნაწარმოები, რამაც კიდევ ერთხელ დაგვანახა, რა საუნჯესთან ჰქონდათ შეხება ერთი თვის მანძილზე კონკურსში მონაწილეებს.

**ნანი ზრეგვაძე:** „კომპოზიტორის აღიარება მაშინ იწყება, თუკი დროს გაუძლებს. გოგი ცაბაძე რომ დროს გაუძლებდა, მისი შედეგები რომ უკვდავი იქნებოდა, ამას თავის დროზე ვგრძნობდი, გოგი ცაბაძემ ერთ-ერთმა პირველმა დამილოცა გზა დიდ ესტარადაზე. გოგი საოცრად ქართულია, საოცრად ეროვნულია. სწორედ გიორგი ცაბაძის შემოქმედება ასწავლის ბავშვ-

სს გემოვნებიან ქართულ სიმღერას.“

**მარინა ბერიძე:** „გიორგი ცაბაძის სახელობის სიმღერის კონკურსს ბევრი დაუდგა მხარში. მიხარია, რომ ეს კონკურსი იქნება ყოველწლიური. გიორგი ცაბაძე ის კომპოზიტორია, რომელიც უძლებს ყველანაირ ვერსიას. ის თანამედროვედ ჟღერს და ეს ხდება მაშინ, როცა მისი გარდაცვალებიდან 25 წელი გავიდა. გასაოცარია, მაგრამ ფაქტია – ცაბაძე თანამედროვედ ჟღერს ოცდამეერთე საუკუნეში, ბევრ კომპოზიტორს არ ღირსებია ასეთი პატივი, ასეთი აღიარება... მისი შემოქმედება როგორც პლასტელინი ისე მოგყვება, ამიტომაც არის რომ ბავშვებმა სრულად გაითავისეს უდიდესი შემოქმედი...“

**ნეკა სებისკვერაძე:** “არ შეიძლება გიყვარდეს საქართველო და არ გიყვარდეს გიორგი ცაბაძე... ის ხომ გენიალური კომპოზიტორია, ამას უფრო და უფრო



მეტად იგრძნობს მსმენელი, რაც დრო გავა. 25 წელი არ არის პატარა დრო, ამ ხნის განმავლობაში უფრო პოპულარული გახდა ბატონი გოგის შემოქმედება, რომელიც ამოუნურავი თემაა...

გიორგი ცაბაძე ერთ-ერთი ის ძალუმი საყრდენია, ვისი საშუალებითაც ჩვენ უნდა შევინარჩუნოთ ქართული სამუსიკო ტრადიციები, განსაკუთრებულად სასიამოვნო გახლდათ ის ფაქტი, რომ ტურიდან ტურამდე ბავშები იზრდებოდნენ და გაცილებით უკეთ მღეროდნენ. ყველა მიხვდა, როგორი ემოცია, როგორი განცდაა მთავარი ამ სიმღერების მსმენელამდე მისატანად.

მიუხედავად იმისა, რომ ბატონი გოგის შემოქმედება არცთუ ადვილად სამღერია, უნიკალურმა მელოდიურობამ, ლირიულმა ხასიათმა ყველას დაანახა, რომ მის შემოქმედებაში ერთ-ერთი მთავარი აქცენტი, მთავარი საყრდენი ეროვნულობასთან ერთად სულიერი სისუფთავეა. დღეს კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ ბავშვებს – სულიერად სუფთა ადამიანებს ბოლომდე შეუძლიათ შეიმეცნონ უდიდესი შემოქმედის სულიერი

სისპეტაკე... მიხარია, რომ ამ უნიჭიერეს ბავშვებს ისეთი ბუმბერაზი გაუკვალავს გზას, როგორიც გიორგი ცაბაძეა.“

**თორნიკე დათაშვილი** (გიორგი ცაბაძის სახელობის ქართული საესტრადო კონკურსის მეორე პრემიის მფლობელი): „უდიდესი პასუხისმგებლობა იყო ჩემთვის გიორგი ცაბაძის შემოქმედებასთან ზიარება, ვიგრძენი რამხელა სიღრმეა ამ სიმღერებში, რამხელა განცდა და სულიერი სითბო იღვრება... მივხვდი, რომ გიორგი ცაბაძე ჩემი და ჩემი თაობის კომპოზიტორია...“

**ვალერიან შიუკაშვილი:** ჩვენს წინაშეა კონკრეტული ამოცანა პოპულარიზაცია გავუწიოთ იმ ფასეულობებს, იმ საუნჯეს, რაც ჩვენს ერს გააჩნია. ამის ერთ-ერთი ბრწყინვალე ნიმუში გიორგი ცაბაძის შემოქმედებაა.

მართალი ვითხრათ, შინაგანად გარკვეული შიში მქონდა, რომ ბავშვებს გაუძნელდებოდათ გიორგი ცაბაძის ბოლომდე გათავისება, თუმცა, რეალობა სრულიად სანინალმდეგო აღმოჩნდა. თავისი ფორმით, თავისი ემოციური სიღრმით ძნელია ბოლომდე მიიტანო მსმენელამდე ის, რაც გიორგი ცაბაძემ ჩადო საკუთარ ნაწარმოებებში, მაგრამ, საბედნიეროდ, კონკურსანტებმა დასძლიეს ეს სიძნელეები.

25 წელი არ არის პატარა დრო... იცვლება გარემო, იცვლება გემოვნება და ამ დროს შენი შემოქმედებით მოახერხო შეინარჩუნო ის მუხტი, რომლითაც კვლავაც საინტერესოდ დარჩები მომავალი თაობებისათვის, მხოლოდ ერთეულების ხვედრია.“

*გალა-კონცერტისას მართლაც საოცარი ატმოსფერო სუფევდა რუსთაველის თეატრში, უკვდავი მელოდიების ფონზე ამაღლებული განწყობით კიდევ ერთხელ მოკრძალებულად გვახსენებდა თავს დიდი ქართველი კომპოზიტორი გიორგი ცაბაძე, რომელიც მწიგნობრივი სისპეტაკითაც იყო ხელდასხმული და ამის გამო თანამედროვეთა მეხსიერებას სამარადისოდ დიდ ბავშვად შერჩა.*



ნიგნის პრეზენტაცია ჩინეთში

# დაუპინყარი მოპონებები

2010წ. გამოიყა ნიგნი „ლიაოჯაი. მოთხრობები“\*. ეს იყო ჩინელი მწერლის, ლიაოჯაის ფსევდონიმით დღეს უკვე მსოფლიოში სახელგანთქმული XVIIIს. დიდი ჩინელი კლასიკოსის, ფუ სუნგლინის შემოქმედებითი დანატოვარის ერთი ნაწილის პირველი ქართული თარგმანი. ვთარგმნიდით ორნი — ლიუ-ყანდარელი კუნგვენი და მე, ამ სტრიქონების ავტორი. ჩვენი ხუთ-წლიანი მონდომებული შრომა დაგვირგვინდა არა მარტო იმ სიხარულით, რომ თარგმანი ნიგნად დაიბე-

ჭდა, არამედ მთარგმნელებს საშუალება მოგვეცა ჩინეთში-პეკინსა და რამდენიმე სხვა ქალაქში გვემოგზაურა. ამისათვის კიდევ ერთხელ უღრმეს მადლობას მოვასხენებთ საქართველოში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩოს, პირადად სრულუფლებიან ელჩს, ბ-ნ კუნგ ნიენვეის, საელჩოს პირველ მდივანს ბ-ნ ლო შისიუნგს, ვინც დიდსულოვნად დააფინანსა სასტამბო ხარჯები. უდიდესი მადლობა კი თავად ლიაოჯაის, ვინც გვაზიარა ჩინური ლიტერატურის უქვირფასეს საუნჯეს

და ამასთანავე კარი გაგვიხსნა თანამედროვე ჩინეთში და ამით, პირადად მთელი ჩემი ცხოვრების ოცნება სინამდვილედ აქცია. ლიუ-ყანდარელი კუანგვენს (დელით ქართველ ქალბატონს) კი მიეცა საშუალება კიდევ ერთხელ სწვეოდა სამშობლოს.

მართალია, ჩინეთისადმი ადრეული ბავშვობიდანვე მქონდა დიდი ინტერესი, ვეცნობოდი მასთან დაკავშირებულ ყველაფერს, რაზეც ხელი მიმიწვდებოდა და ამდენად, მეგონა, ბევრი რამ ვიცოდი. რაოდენ მიაპიტი ვყოფილვარ! ნანახმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ორთვიანი ვიზიტის თითოეული დღე ჯადოსნურ ზღაპრად, სიმბრისეულ ზმანებად მესახებოდა. შთაბეჭდილებები იმდენად უხვი და ძლიერია, რომ თავს ვერ ვიკავებ, რათა „მუსიკის“ მკითხველებს ცოტა რამ მაინც არ გავუზიარო. ჟურნალის სპეციფიკიდან გამომდინარე მხოლოდ იმ მომენტებზე შევჩერდები, მუსიკალურ ხელოვნებას ასე თუ ისე რომ უკავშირდება.

სტუმრებს ჩინელებისათვის დამახასიათებელი გულუხვი მასპინძლობა გაგვინიეს, დღენიადგამორჩეული ყურადღებით, თავაზიანობით, კეთილმოსურნეობით ვიყავით გარემოსილი. უამრავ საინტერესოს გვაზიარეს.

დავინყებ ჩინური კლასიკური, კერძოდ პეკინური ოპერით. ამ ღრმად ეროვნული თვითმყოფლობით ბეჭედდასმული, მეტად სპეციფიკური ხელოვნების შესახებ ბევრი მსმენოდა, სპეციალური ლიტერატურაც წამეკითხა და მაინც ... ბილეთის ღირებულებას 100-300 იუენის ფარგლებში (5-6 იუენი, ანუ ჩვენი ლარი = 1 დოლარს) დამსწრეთა რაოდენობაზე არ უმოქმედია. დიდი, ორიარუსიანი დარბაზი გაჭედილი იყო. აუდიტორია, ასაკობრივად მრავალგვარი, თუმც კი შუა და მოხუცი ასაკისანი სჭარბობდნენ. საინვალიდო ეტლებით მოყვანილნიც არ იყვნენ ცოტანი. ამასთანავე აღვნიშნავ, უფროსი თაობის ჩინელებს გული რომ სტკივთ, ახალგაზრდობას ინტერესი გაუგრილდა ეროვნული ხელოვნების ამ უნიკალური სფეროსადმი, თანამედროვე ევროპული ესტრადა იტაცებთო, ჩივიან.

პეკინურ ოპერაში (ჩინეთის სხვადასხვა პროვინ-

ციებისა თუ ქალაქების საოპერო ჟანრები ერთიმეორისაგან საკმაოდ განსხვავებულია) კოსტუმის, ჟესტის, გრიმის, მიზანსცენის თითოეული მცირე დეტალიც კი ნანარმოების შინაარსის გახსნაში აქტიურადაა ჩართული, ხოლო სიტყვას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ამიტომ სცენის ორივე მხარეს განთავსებულია დანერგული ტექსტი. ერთ მხარეს – ძველ ენაზე, მეორეზე – თანამედროვე ენაზე „თარგმნილი“.

ჩემი აზრით, პეკინურ ოპერაში სანახაობრივი მხარე იმდენად მრავალფეროვანი, ფერადოვანი, იმდენად თვალწარმტაცია, „უსიტყვოდაც“ უდიდეს ესთეტიკურ სიამოვნებას ანიჭებს მხილველს. ამდენად მეც, უცხოელი მაყურებელი, გადაცვიცივით ვაკვირდებოდი სცენაზე მონათხრობ ამბებს. საოპერო სპექტაკლში ჩემი თავი მაყურებლად და არა მსმენლად შემთხვევით არ მომიხსენიებია. მე უფრო მაყურებელი ვიყავი, მაშინ როდესაც, მრავალი დამსწრე თვალდახუჭული ტკბებოდა მუსიკითა და სიტყვით. მუსიკა? პეკინური ოპერის მუსიკა უადრესად თვითმყოფი, რადიკალურად განსხვავებული არა მარტო ევროპული, არამედ საერთოდ მსოფლიოს დანარჩენი მუსიკისგან, ევროპული მუსიკის სპეციფიკის სრულიად საწინააღმდეგო პრინციპებს დაფუძნებული, ჩემთვის პირადად, მართალია, მეტად საინტერესო იყო, სულგანაბული ვუსმენდი კიდევ და ვესწრაფოდი ჩავნვდომოდი იმ ესთეტიკას აგრერივ ორიგინალური ხელოვნება რომ დაბადა, მაგრამ გამოვტყდები, მაინც მაყურებელი უფრო ვიყავი, ვიდრე მსმენელი. ამგვარი მუსიკის სპეციფიკაში გარკვევა თვალისდახამამებაში, რალა თქმა უნდა, შეუძლებელია. ამ ხელოვნებას ჩინელები საუკუნეთა მანძილზე ელოლიავებიან და ახლაც ესწრაფვიან მის ხელუხლებლად შენარჩუნებას. ამის ერთ-ერთი ხილული დასტურია პეკინის ცენტრში აგებული საოპერო თეატრის ახალი შენობაც, რომელსაც ლეგენდარული საოპერო მომღერლისა და მსახიობის, ქალთა პარტიების სწორუპოვარი მამაკაცი შემსრულებლის, მეი ლანფანის სახელი აქვს მიწიჭებული. ფოიეში მონყობილი ექსპოზიცია მოსულთ აცნობს თეატრის ისტორიას. სპექტაკლების ეპიზოდების, მსახიობთა პორტრეტების მოზრდილი ფოტოები, მრავალრიცხოვანი



ჩინური ოპერა

ჯილდოები და სიგელები, თვალნათელს ხდის დასის შემოქმედებით გზასა და ახლანდელ ვითარებას. დასში უფროსი თაობის დიდოსტატების მხარდამხარ ინრობა და იხვეწება ახალგაზრდობა. თაყვანისმცემელთა ტაში, მე რომ მეცოტავა, აანაზღაურა მირთმეულ უზარმაზარ თაიგულთა ზღვამ. აქვე ვიტყვი, ჩინელებს შთაბეჭდილების ტაშით გამოხატვა, თურმე, ნაკლებად სჩვევიათ, ყვავილებს ანიჭებენ უპირატესობას. ამაში შემდგომაც ბევრჯერ დავრწმუნდი. პეკინურმა ოპერამ წარუშლელი შთაბეჭდილება დამიტოვა. ჩემი აღფრთოვანების უტყუარ საბუთად მინდოდა სპექტაკლის თითოეული მიზანსკენა, ფოიეს თითოეული კუთხე ფოტოფირზე აღმებეჭდა.

მინვეულნი ვიყავით, აგრეთვე, პეკინის ერთ-ერთი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის წინასაშობაო კონცერტზე. ეს, სამი კორპუსისგან შედგენილი 6 სართულიანი სკოლა, პეკინში მცხოვრები უცხოელი, ევროპელი, აზიელი, ამერიკელი ბავშვებისათვისაა გან-

კუთვნილი. სკოლის კამერული ორკესტრის მუსიკოსები, უსასყიდლოდ ხალისით რომ მუსიცირებენ, ამავე სკოლის პედაგოგები არიან, თუმცა მონაფეხებზე მონაწილეობენ. პედაგოგების შემადგენლობაც ინტერნაციონალურია. რამდენიმე პედაგოგი ქართველია, თბილისის აზია-აფრიკის სახელმწიფო ინსტიტუტის ჩინური ფაკულტეტის კურსდამთავრებული, ქ-ნი ლიუ-ყან-დარელი კუანგვენის აღზრდილი. სკოლამ, რომელიც ჩვენი, ი. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის I და II კორპუსებს სიდიდით ორჯერ აღემატება, მოგვხიბლა მდიდარი ბიბლიოთეკითა და უზარმაზარი სამკითხველო დარბაზით, მთლიანად კომპიუტერიზებული რომაა. კომპიუტერულ სამუშაოებს ცალკე დიდი დარბაზი ეთმობა. სკოლას საკუთარი გამომცემლობაც აქვს. დერეფნებში გამოფენილი იყო მონაფეხების ნახატები. სიამაყით ვიტყვი, მხატვრული გემოვნებითა და დონით ჩვენი გოგო-ბიჭების ასეთივე შემოქმედება, ნამდვილად სჯობნის. მშვენიერი აკუსტიკის მქონე დიდ

დარბაზში გამართულ ორგანოფილებიან კონცერტზე შესრულებული მუსიკის ნიმუშების მიზანი, სწანს, იყო ევროპულ და რუსულ კლასიკურ მუსიკასთან მოსწავლეთა ზიარება. აქაც, პირთამდე გავსებული დიდი დარბაზის ტაშს თაიგულების რაოდენობამ გადააჯარბა, ხოლო საზეიმო ვითარება აღიბეჭდა მრავალრიცხოვან ვიდუო ჩანანერებსა და ფოტოებზე, რათა მომავალ წელს გამოიფინოს და ასე ყოველწლიურად, თაობით თაობამ გაითავისოს სკოლის საუცხოო ტრადიცია.

პეკინის კონსერვატორია ქალაქის ცენტრშია. ჩვენს კონსერვატორიაზე, ისევე, როგორც ქ. შანხაის კონსერვატორიაზე უმცროსია, 2010წ. 70 წლის იუბილე აღუნიშნავს. ექვსსართულიან სასწავლო კორპუსს ახლავს სტუდენტთა საერთოსაცხოვრებელი. საუცხოო ბიბლიოთეკა, ისევე, როგორც საკლასო ოთახები, რა თქმა უნდა, სრულადაა კომპიუტერიზებული, ასე რომ, დაუბრკოლებლად შეიძლება სასურველი ნაწარმოების მოსმენა და ნოტების თვალის მიდევნება. კონსერვატორიას მინიჭებული აქვს ჩინეთის სახელმწიფო ჰიმნის ავტორის, XXს. გამოჩენილი კომპოზიტორის ნე ერის სახელი. მისი მარმარილოს ბიუსტი შენობის წინ დგას. იქვე, მახლობლად თანამედროვე ავტორის ხელოვნებისადმი მიძღვნილი ქანდაკებაცაა აღმართული. დასანანია, რომ ჩვენგან დამოუკიდებელი მიზგების გამო მხოლოდ ინტერიერის დათვალეურებით, სტუდენტებთან გასაუბრებით მოგვინია შემოფარგვლა. ამან კი მაღალი დისციპლინისა და ორგანიზებულობის, იდეალური წესრიგის შთაბეჭდილება შეგვიქმნა.

სრულიად წარუშლელი შთაბეჭდილება დაგვიტოვა პეკინის შუაგულში, მთავარი, თიენანმინის (ციური სიმშვიდის) მოედანზე აგებულმა თეატრის შენობამ. ძირძველი პეკინელები უკმაყოფილოდ ბუბლუნებენ — განა შეიძლებოდა ამ ისტორიულ ადგილას, ზედ საიმპერატორო სასახლის ცხვირწინ, ასეთი ულტრა მოდერნისტული შენობის აგებაო?! მე კი სხვაგვარად აღვიქვი. იმპერატორის სასახლე, ეს არის ჩინეთის წარსულის დიდება, თვალუნვდენელ სივრცეზე გადაჭიმული, მკვეთრად ეროვნული არქიტექტურული ძეგლი, რომელიც ასაჩინოებდა და ახლაც ხელშესახებს ხდის ამ ქვეყნის თვითმყოფობას, სიდიადეს, ესთეტიკური

აღქმის ღრმა ინდივიდუალობას და ათას სხვა რამეს. ხოლო თეატრის გრანდიოზული შენობა — დღევანდელი ჩინეთია, ასევე უზარმაზარი, ასევე დიადი, დიდმასშტაბური. აქ ჩინეთის წარსული და აწმყო გაერთიანდა, თვალს უსწორებს ერთიმეორეს.

მაშინ, როდესაც ჩინეთს, კულტურული რევოლუციის უბედურებას თავდაღწეულს, მატერიალურად ჯერ კიდევ უჭირდა, მთავრობამ 7 მილიარდი დოლარი გაიღო საერთაშორისო კონკურსში გამარჯვებული ფრანგი არქიტექტორის ამ უნიკალური პროექტის ხორცშესახსმელად. გიგანტურ გუმბათოვან შენობაში ბინა დაიდო ჩინური ეროვნული და ევროპული საოპერო თეატრების, სიმფონიური და კამერული კონცერტების, დრამატული თეატრის დარბაზებმა. დარბაზების გარდა აქ არის მუსიკალური და თეატრალური პროდუქციით მოვაჭრე მაღაზიები, რესტორნები, კაფე-ბარები, დასასვენებელი ფოიეები და საკონფერენციო დარბაზები. შენობის ქვეშ 3 სართული ეთმობა მანქანების სადგომს, საიდანაც ჩქაროსნულ ლიფტს მთავარ ფოიეში აჰყავს სტუმრები. ფოიედან, რომელიც ფართობით თბილისში, მელიქიშვილის ქუჩაზე ნაგებ ჩვენ საკონცერტო დარბაზს ბევრად აღემატება, დარბაზში ესკალატორებით მიჰყავს მაყურებელი. ფოიეები

უშველებელი ტელეეკრანებითაა აღჭურვილი. იქვე მოწყობილი ექსპოზიცია მნახველს სთავაზობს ჩინური ეროვნული უძველესი საკრავების გამოფენას. წარმოდგენილია აგრეთვე იმ პოეტთა ფერწერული პორტრეტები და ულამაზესი კალიგრაფიით შესრულებული ლექსები, რომლებიც სიმღერებად ქცეულან. ტექნიკური საშუალებები ყველა პირობას ქმნიან იქვე, ფოიეში ნებისმიერი სასურველი მუსიკალური ნაწარმოების მოსმენისა. ასევე შთაბეჭდავია წარსულისა და თანამედროვეობის საპრემიერო და სხვა საუკეთესო სპექტაკლების სცენების, ლამის ნატურალური ზომით შესრულებული მაკეტები, მსახიობთა ფიგურები ამა თუ იმ როლის კოსტუმებში.

საიმპერატორო სასახლეს, მომხდური მტრისგან თავდასაცავად, გარს ერტყა მდინარის არხი. ეს არხი ამჟამად თეატრის შენობის ფოიეს ჭერქვეშ მოექცა. ასე რომ, სქელი მინის ქვეშ მდინარე კვლავინდებუ-



პეკინის გოგალსაგანანათლებლო სკოლის წინასაშობაო კონცერტი

რად მდორედ მიაგორებს თავის მღვრიე ზვირთებს. სხვისი არ ვიცი, ხოლო ჩემთვის, კლასტოფობიით შეპყრობილი ადამიანისათვის, ეს გარემოება გარკვეულ დისკომფორტს ქმნიდა. თუმცა სხვა დანარჩენი სანახაობა იმდენად მომნუსხავი იყო, ამ უსიამო გრძობამ უკან დაიხია.

საკუთრივ კონცერტი, რომელზეც ვიყავით მიწვეული, ეძღვნებოდა უხუცესი დირიჟორის 90 წლის იუბილეს. არ შემიძლია არ გავისხენო, რომ ბილეთის ფასი 900-1000 იუენი გახლდათ, დარბაზი კი კვლავინდებურად გაჭედილი იყო. ეს, იქნებ, არცაა გასაკვირი, ვინაიდან პეკინის მოსახლეობა 15 მილიონია, რასაც

ემატება ყოველდღიურად შემსვლელ-გამსვლელი 3 მილიონი. მაგრამ ხომაა გასათვალისწინებელი, რომ იმ საღამოს პროგრამა უპირატესად ევროპულსა და რუსულ კლასიკურ, აგრეთვე თანამედროვე ჩინელ კომპოზიტორთა სიმფონიურ შემოქმედებას დაეთმო. ხოლო ამ მუსიკასთან ჩინელების ურთიერთობა ერთ საუკუნესაც არ მოითვლის. საზეიმო ღონისძიებამ უმაღლესი ხარისხის სასიქადულო ოდისეი დიმიტრიადის ანალოგიური საიუბილეო კონცერტი, სადაც მსოფლიო დირიჟორმა ახალგაზრდული გაცაცებითა და მხნეობით მჯდომარემ წაიყვანა ვრცელი საკონცერტო პროგრამა. პეკინურ შემთხვევაშიც, დირიჟორის ასაკს

მხოლოდ ის შეგვახსენებდა, რომ მჯდომარე უძღვებოდა და შესრულებას. კონცერტის პირველი განყოფილება დაეთმო მის აღზრდილებს, ამჟამად თავადაც უკვე სახელგანთქმული დირიჟორების პლეადას. საღამო ამაღელვებელი ემოციებით, ღვანლმოსილ მუსიკოსისადმი უაღრესი მონინების, გულისამაჩუყებელი პათივისკემის გრძობებით იყო განმსჭვალული. თაიგულეზიც უთვალავი იყო და საპატიო ფილდოებსაც ახალი სახელმწიფო ფილდო შეემატა.

ღამით თეატრის შენობა მოციმციმე ვარსკვლავებით მოოჭვილი ცის ტატნობის იმიტაცისა წარმოადგენს. საიმპერატორო სასახლე და თეატრი, ერთ თვალუნვდენელ მოედანზე განთავსებული ორი ნაგებობა, უძვირფასესი კულტურული წარსულისა და მომავლისკენ გოლიათური ნაბიჯებით მისწრაფებული ჩინეთის დიდმასშტაბური დასტურია. ეს განმაცვიფრებელი შთაბეჭდილება, უეჭველია, სიცოცხლის ბოლომდე გამყვება.

მენანება, რომ ჩინეთში მიღებული უამრავი სხვა შთაბეჭდილება, თვალწარმტაცმა პარკებმა, ბუდისტურმა დაოურმა ტაძრებმა და ქრისტიანულმა ეკლესიამ, წიგნების გამომცემლობამ და სამხატვრო აკადემიამ, მხატვართა საგამოფენო დარბაზებმა და თანამედროვე მხატვართა შემოქმედებითა სახელოსნოებმა, კუნგფუს ეროვნულმა აკადემიამ, წმინდანის რანგში აყვანილი კონფუცისა და დიდი პოეტების, ლი პაის, ბაი ნიუის და სხვათა სახლ-მზუუმებმა, რესტორნებმა (რომლებიც მხოლოდ სტომაქის ამოსავსებად გამიზნული ალაგი კი არ არის, არამედ ყოფის, ეთნოგრაფიის, ხელოვნებისა და კულტურის ნიმუშთა ექსპონირებისთვის განკუთვნილი სივრცეა), შინაური სუფრის ტრადიციამ, ეროვნულმა ადამიანურმა თვისებებმა და წეს-ჩვეულებებმა, ქვეყნის თვალწარმტაცმა ბუნებამ, არქიტექტურამ, მაღაზიებმა, თავისი გამყიდველებით, (საოცარი თავაზიანობით, მუდამ მოლიმარი მომსახურებით, გამახსენეს მოსკოვში ГУМ და ЦУМ-ის ხუპრე გამყიდველები), ქრიზანთემების ტრადიციულმა ფესტივალმა, ჩინეთის დიდმა კედელმა, კუგუნის მუზეუმმა, ლუნგმენის კომპლექსმა, მრავალმილიონიანი ქალაქების მეტროპოლიტენის იდეალურმა სისუფთავემ

და წესრიგმა, უამრავმა სხვა ისტორიულ-კულტურულმა ძეგლმა, მოკლედ, ურიცხვმა ჩემთვის დაუეინყარმა შთაბეჭდილებებმა, ასევე წარუშლელი კვალი რომ დატოვეს ჩემს მეხსიერებაში, ამ წერილის მიღმა დარჩა.

დასასრულს, კიდევ ერთხელ მაღლიერებით მინდა მოვიხსენიო დიდი მწერალი ლიაოჭაი, ვინც თავისი უბერებელი ნაწერებით კარი შეგვიღო და შეგვიძღვა იმ უმდიდრესი წარსულისა და აწმყოს სამყაროში, ჩინეთი რომ ჰქვია. მადლობა მინდა გადავუხადო, აგრეთვე, შანსის პროვინციაში ფუ სუნგლინ-ის მემორიალური სახლ-მუზეუმის ხელმძღვანელობას, ვინც ესოდენ დააფასა ჩვენი, ლიუ ყანდარელი კუანგვენისა და ჩემი, მკირედი ღვანლი, სიგელითაც დაგვაჯილდოვა და ქართულად ამეტყველებულ ჩინელ შეგირდსწავლულებს, სიუე ცაებს, მელი-მაქციებსა და ზუცის მკვიდრ სენყენებს, უმანკო ქალწულებსა და ხეშანბერებს, სხვებსა და სხვებს, ადგილი მიაკუთვნა უმდიდრეს სამუზეუმო ექსპოზიციაში, მსოფლიოს რამდენიმე ათეულ ენაზე თარგმნილ ამ ჩინურ მოთხრობებს ქართულიც ამოუყენა გვერდზე. მადლობა უფალს ამ ფასდაუდებელი სახსოვარისათვის.

**\* „ლიაოჭაი. მოთხრობები“. თარგმანი ჩინურიდან ლიუ ყანდარელი კუანგვენ-ისა და რუსუდან ქუთათელაძისა. რედაქტორი როსტომ ჩხეიძე. პოეტურ პნკარების რედაქტორი მარიამ წიკლაური-ძიძიგური. მხატვარი ტანგ ჩენი. გამომცემლობა „მერიდიანი“ 2010.**

# დაბვიანაბული საპადლობელი

„სიმღერა წყდება და უთვალავი ხალხის გუგუნი, ტაძისცემა და აღფრთოვანებული შეძახილები იქაურობას აზანზარებს... ეს უკვე ნამდვილი გამარჯვებაა, ქართული ხალხური სიმღერის ტემპარითი ზეიმი...“

მედლევა საშუალება და ცოტა გონს მოვდივარ, წინა დღით ნასიამოვნები დავდივარ ბერლინის ქუჩებში და ყველანი გამარჯვებას მილოცავენ... მე კი მახარებს ის ამბავი, რომ მითი თითქოს ქართული ხალხური სიმღერა რთული მოსასმენია და საზღვარგარეთ არ მოსწონთ, დაიმსხვრა... თურმე აქაც ყოფილა მისი გამგები...

სალამოს კონცერტმა კიდევ უფრო მეტის აღმაფრენით და მეტის წარმატებით ჩაიარა... დარბაზი ფეხზე მდგომი გვისმენდა, მრავალჯერ გაიხსნა და დაიხურა ფარდა, კონცერტი ორ განყოფილებად შევასრულეთ... დღეს სალამოს ნამდვილი მაცურებელი იყო დარბაზში. ბისზე ვიმღერეთ მრავალი სიმღერა... ”

ამ ჩანანერის ავტორი საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს სახალხო არტისტი, პროფესორი, აკადემიკოსი, მსოფლიო მუსიკალურ შედევრებთან ერთად, გალაქტიკაში გამგებელი „ჩაკრულო“-ს ვარიანტის ავტორი, კავსაძეთა ცნობილი გვარის ღირსეული წარმომადგენელი ბატონი ანზორ კავსაძეა...

2007 წლის 17 დეკემბერს, იგი 77 წლის ასაკში, რამდენიმეთვიანი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა და საბურთალოს სასაფლაოს ხელოვნების მოღვაწეთა პანთეონში უხმაუროდ დაიკრძალა...

2010 წლის 7 აგვისტოს, მას დაბადებიდან 80 წელი შეუსრულდა. ძნელია ისაუბრო ადამიანზე, რომელიც დიდი რუდუნებით, სიყვარულითა და თავდადებით

ემსახურა ქართულ მუსიკალურ ფოლკლორს და ესოდენი წვლილი შეიტანა საზღვარგარეთ მის გატანა-პოპულარიზაციაში... თუმცა, ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ ბატონ ანზორს ასე ახლოს გავიცნობდი, დავუმეგობრდებოდი და სიცოცხლის ბოლო ორი წლის მანძილზე მისი გულითადი მსმენელი ვიქნებოდი. ყველაფერი კი ასე დაიწყო...

აგერ უკვე რამდენი წელია, ფრანგული და ამერიკული ემიგრაციის უხუცეს წარმომადგენელთან, 18 წლის მანძილზე რადიო „ამერიკის ხმის“ ქართული განყოფილების წამყვანთან, 93 წლის პეტრე ხვედელიძესთან, რომელიც ამჟამად ვაშინგტონში ცხოვრობს და მეუარებს წერს, მეგობრული ურთიერთობა მაკავშირებს. ყოველთვიურად ქართულ ჟურნალ-გაზეთებსა და საინტერესო წიგნებს ვუგზავნი... მას, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენგან ძალზე შორსაა, საქართველოში სულ უმნიშვნელო მოვლენაც კი არ რჩება ყურადღების მიღმა: დელავს, განიცდის, უხარია, სტკივა... ყოველი მისი შეხმანება საინტერესო ამბების შუაგულში მაქცევს და მეც ვცდილობ, ყველაფერი ჩავიწერო, ჩავინიშნო და საჭიროების შემთხვევაში, იმ წიგნში მოვაქციო, რომელმაც სათავე უკვე დაუდო მისი არქივის გამოქვეყნებას... ასეა ამჯერადაც, ბატონი პეტრე გულისტკივილით მეუბნება: — „ანზორისთანა დონის ხელოვანს, ნებისმიერი სხვა ქვეყანა ხელის გულზე ატარებდა, მე მის ისეთ ტრიუმფს შევესწარი, დიდი არტურო ტოსკანინი, რომ ცოცხალი ყოფილიყო, აუცილებლად ხელზე ეამბორებოდა...“ და უკვე მერამდენედ, ცრემლნარევი ხმით მიყვება:

„1974 წელს ანზორ კავსაძემ თავისი ანსამბლი ჩამოიყვანა ამერიკაში... კონცერტები კენედის ცენ-

ტრში იყო დაგეგმილი. მოგეხსენებათ, როგორი დიდი რეკლამაც უნდა ჰქონდეს, როგორი ბრწყინვალე ანსამბლიც უნდა იყოს, კენედის ცენტრში ორ საღამომზე მეტს ვერავინ ძლევს. კავსადის ანსამბლმა კი ექვსი კონცერტი სრული ანშლავით ჩაატარა. მაშინ „ამერიკის ხმაში“ ვმუშაობდი. ვიყიდე 50 ბილეთი და სხვადასხვა განყოფილების ხელმძღვანელები მეუღლეებთან ერთად კონცერტზე დავპატიყე. ვუთხარი – მოდით და ნახეთ, რა განსხვავებაა რუსებსა და ქართველებს შორის-მეთქი. მართლაც აღფრთოვანებულები იყვნენ. რა დამავინყებს იმ საღამოს... აი, სცენაზე გამოვიდნენ ქართულ ჩოხებში გამოწყობილი გუნდის წევრები. თან მათ ვუყურებ, თან ცალი თვალი ჩემი სტუმრებისაკენ მიჭირავს, არ მინდა მათი რეაქცია გამომეპაროს... გამოვიდა ანზორი, ჯერ დარბაზს მიესალმა, მერე გუნდს მიუბრუნდა, მისცა ტონი და როგორც კი გუნდმა სიმღერა დაიწყო, გავიდა. დავიბენი, რა ვუთხრა ჩემს მეგობრებს, რომლებმაც მანიშნეს – რა ხდებაო? გუნდმა სიმღერა დაამთავრა. ანზორი ისევ გამოვიდა, ვიფიქრე, ალბათ, შეუძლოდ იყო და სცენიდან იმიტომ გავიდა-მეთქი, მაგრამ... ანზორმა ისევ მისცა ხმები გუნდს და გავიდა... მაყურებელი აღტაცებას ვერ მალავდა. მეც შვებით ამოვისუნთქე, მივხვდი, გუნდი ისე კარგად იყო მომზადებული, რომ ლოტბარის სცენაზე ყოფნა საჭირო არ იყო. ბედნიერებისაგან აღარ ვიყავი, როგორ გინდა ასეთ დროს თავი შეიკავო? მაგრამ მანაც არ მივედი ანზორთან, მიუხედავად იმისა, რომ მისი ბიძა, დავითი (დათაშკა), დიდუბის შრომის სკოლაში ჩემი მუსიკის მასწავლებელი იყო... სხვებსაც ვურჩევდი, – ნუ მიხვალთ, ნუ დაელაპარაკებით, ისინიც გულს გავიხსნიან და მათთვისაც ცუდი იქნება-მეთქი... მოგვიანებით გავივით, რომ მართლაც მომხდარა ინციდენტი. ანზორთან რომელიღაც ქართველი ემიგრანტი მისულა (ალბათ აღტაცების გამოსახტად). ანზორს შეუმჩნევია, ამ ამბით როგორ „დაინტერესებულა“ მისი გუნდის ერთ-ერთი წევრი. მისთვის გასახდელში კისერში წაუვლია ხელი – წადი და სადაც გინდა, დამაბეღეო... მერე ხმა ჩამოვიდა, ანზორ კავსაძე გუნდის ხელმძღვანელობიდან გაათავისუფლესო. გვეწყინა, მაგრამ მანაც შვება იყო, რომ არ დააპატიმრეს(!). თუმცა, ამერიკაში ისეთი პოპულარობა მოიპოვა, რომ მის გაქრობას ასე იოლად

ვერ მოახერხებდნენ... ამის შემდეგ ფრთხილად ვიყავი. თუ ჩამოსული ქართველი თავად არ მოინდომებდა ჩემთან შეხვედრას, ახლოსაც არ ვეკარებოდი...

სწორედ ამ გასტროლის დროს ანზორ კავსაძის „ჩაკრულოს“ ვარიანტი, მისივე ანსამბლის უბადლო შესრულებით, იქნა ჩანერილი და კოსმოსში გაშვებული სხვა მსოფლიო მუსიკალურ შედეგებთან ერთად... მე კი უბედნიერესი ვიყავი იმით, რომ სწორედ მე მივანოდე ეს ინფორმაცია „ამერიკის ხმით“ პირველმა საზოგადოებას...”

ბ-ი პეტრეს რეკომენდაციით, ტელეფონით ვეხმინებ ბატონ ანზორს და შეხვედრას 3 საათისათვის ვნიშნავთ... ვლელავ, ვინცუბ ანზორ კავსაძეზე ინფორმაციის შეგროვებას: უმაღლესი დონის პროფესიონალი, თავისი საქმის დიდოსტატი, მუშაობისას მკაცრი, ანსამბლის წევრების მიმართ თავდადებული, უთვალავი ჩინებული მომღერლის გზამკვლევი, ულამაზესი ჩოხოსანი რაინდი, სრულიად ახალგაზრდა დიდუბის მწვერვალზე... და ეს ყველაფერი უსასრულოდ გრძელდება, ფეხები უკან მრჩება, მგონია რომ შეხვედები წარსული დიდებით მტკობ, ამაყ, მედიდურ ადამიანს...

აბამიდის 42 ნომერში, მესამე სართულზე, ოროთახიან პატარა, უბრალოდ მოწყობილ ბინაში პირველად შეხვდი ბ-ნ ანზორს... გაოცებული ვიყურები ირგვლივ, მის სახლში ქართული ხალხური სიმღერის დიდი ისტორიაა დავანებული: ნიგნები, ფოტოები, ფირფიტები... ეს ყველაფერი კავსაძეთა სხვადასხვა თაობის მუსიკალურ ცხოვრებაზე მოგვითხრობს... ბატონი ანზორიც შორეული წარსულიდან იწყებს თხრობას:

– ჩემი დიდი ბაბუა, გრიგოლ კავსაძე, სასულიერო პირი იყო, რომელსაც საოცრად ლამაზი ხმა ჰქონდა და რომლის მრავალშვილიანი ოჯახიდანაც კასპის რაიონის სოფელ ხოვლეში, ხშირად ისმოდა უმშვენერესი ქართული ჰანგები... მან საკუთარ სახლში გლეხების შვილებისათვის გახსნა უფასო სკოლა, რომელშიც თვითონ ასწავლიდა წერა-კითხვას, ანგარიშსა და გალობას... მამა გრიგოლის ვაჟი – სანდრო კავსაძე, საქართველოში საგუნდო მღერის სათავეებთან დადგა და უდიდესი როლი შეასრულა ქართული ფოლკლორის აღდგენა-პოპულარიზაციაში. გორის სასულიერო სასწავლებლის გუნდში ის სიმღერა-გალობას სოსო

ჯულაშვილსაც ასწავლიდა. მის მიერ გორში 1893 წელს ჩამოყალიბებულ გუნდში მღეროდა ვანო სარაჯიშვილიც. პარალელურად ქმნიდა გუნდებს საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში და ეწეოდა აქტიურ პედაგოგიურ საქმიანობას, ის ასევე სასურველი და საპატიო სტუმარი იყო ილიაობისა საგურამოში...

900-იან წლებში, ბაბუა სანდრო დაოჯახდა მისი სიმღერებით მოხიბლულ სონა ციციშვილზე, ეს კავშირი ციციშვილებისათვის, როგორც ჩანს, მიუღებელი აღმოჩნდა და ისე გარდაიცვალენ შვილიშვილებს არც კი იცნობდნენ. სანდროს ორივე ვაჟი, გიგუშა და დათაშკა არაჩვეულებრივი ხმის პატრონები იყვნენ. მამაჩემი გიგუშა და დედა, ალექსანდრა ლეჟავა, ერთად რომ მღეროდნენ, ასეთი ტკბილი და ლამაზი სიმღერა მე არსად მომისმენია. სამწუხაროდ, მამა ნადრევად დამეღუპა ომის დროს, ქერჩში, 1942 წელს.

მასსოვს, ბაბუა სანდრო თავისი ვიოლინოთი მუსიკას ასწავლიდა, მე ხშირად მეუბნებოდა, ვიოლინოსთვის ხელი არ მეხლო, რადგან შიგ თავი იყო... ამდენი დრო გავიდა და დღესაც ამ ინსტრუმენტის დანახვა ბაბუას მახსენებს. სანდროს ცხოვრებაში ალბათ ძალზე მნიშვნელოვანი ის ეპიზოდია, როდესაც სტალინის დავალებით ბერიამ თბილისში დააბარა. ისეთი მძიმე წლები იყო, ჩეკისტები რომ მივიდნენ მის წამოსაყვანად, ცალ-ცალი კალოში ჩაიკვია და ისე გამოჰყვა მათ. ლავრენტის კაბინეტში გაირკვა, რომ ერთ წელში, 1937 წლის დეკადისათვის აღმოსავლეთ საქართველოს ეთნოგრაფიული გუნდი უნდა შეექმნა. უმოკლეს დროში ისეთი გუნდი შექმნა, რომ დეკადაზე ღირსეულად წარსდგა. მიუხედავად იმისა, რომ ტროცკისტების ბრალდებით 15 მომღერალი დაუპატიმრეს მოსკოვში გამგზავრების წინ. როდესაც სტალინმა მიღებაზე უთხრა კინალამ კირილე პაჭკორიას (დასავლეთის გუნდს ხელმძღვანელობდა) გუნდმა გაჯობაო, სანდროს დაპატიმრებულები უხსენებია. სტალინს თანაშემწისათვის უბრძანებია, ჩაენერა მათი გვარები და სასწრაფოდ გაენთავისუფლებინათ. სანდროს ამრიგად 14 ადამიანი გადაურჩინია. თუმცა, სამწუხაროდ მეთხუთმეტე კაცის გვარი ვერ გაუხსენებია... სწორედ ამ შეხვედრის დროს სტალინს სანდროსათვის პატივისცემის ნიშნად ჩიბუხი უჩუქებია... სანდრო 1939 წლის 12 ივნისს გარდაიცვა-



სანდრო კახსაძე

ლა.

მიუხედავად იმისა, რომ ადრე დავობლდი, მაინც ბედნიერი ბავშვობა მქონდა. ვიზრდებოდი დედულეთში, ჭიათურაში. სკოლა 1947 წელს დავამთავრე. შემდეგ იყო ნიჭიერთა ათწლედი, 1951 წლიდან კი თბილისის კონსერვატორიის საგუნდო-სადირიჟორო ფაკულტეტის წარჩინებული სტუდენტი, ჩაიკოვსკისა და სტალინის სახელობის სტიპენდიანტი ვიყავი. მეორე კურსიდან საქართველოს რადიოს კაპელას ვხელმძღვანელობდი უკვე. კონსერვატორიის შემდეგ დავამთავრე ასპირანტურა ოდისეი დიმიტრიადის კლასში. არ შემიძლია არ მოვიგონო ჩემი კეთილისმყოფელი იონა ტუსკია, რომელმაც ჩემი კარიერის დასაწყისში ობოლ ახალგაზრდას დიდი დახმარება გამიწია და რადგან სულ ერთი თეთრი პერანგი მეცვა 500 მანეთად შარვალ-კოსტუმი შეაკერინა ჩემთვის. ეს ფული მოგვიანებით დავუბრუნე, მეუბნებოდა, სესხად არ მომიციაო, მაგრამ მე ვთხოვე აელო და ჩემნაირ გაჭირვებულს სხვასაც დახმარებოდა.

1956 წლიდან 26 წლის ასაკში, მიხეილ ჭიაურელის რეკომენდაციით საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის მთავარი დირიჟორი გავხდი და გულწრფელად შემიძლია ვთქვა, რომ ქართული მუსიკალური ფოლკლორისათვის არასოდეს მიღალატია... მე, პირადად, არც ერთ სიმღერაში არ გამომიყენებია საკუთარი აზრი, პირიქით ყველაფერს ვაკეთებდი ხალხური ჰარმონიის მიხედვით... ყოველთვის მახსოვდა, რომ ხალხური სიმღერა ახლოს არის კლასიკურთან, კლასიკური კი ხალხურიდან მოდის...

სახელმწიფო ანსამბლთან ერთად ტრიუმფით მოვიარე ევროპის უამრავი ქვეყანა. პირველი გასტროლი ამერიკის კონტინენტზე კანადაში 1971 წელს, თვენახევრით, გერმანელი იმპრესარიოს ბოკის წყალობით შედგა...

რაც შეეხება ამერიკის შეერთებულ შტატებს... როდესაც ამერიკამ ფოლკლორული კოლექტივი მოითხოვა მოსკოვის გოსკონცერტში ჩემმა ერთმა რუსმა მეგობარმა, რომელიც ქართული ფოლკლორის დიდი ქომაგი იყო, ჩემი ანსამბლი წარადგინა და ჩვენს შესამონებლად შეერთებული შტატებიდან რუზველტის ქალიშვილი სარა და მისი მეუღლე (იმპრესარიო)

ჩამოვიდნენ. შემდეგ კი სამთვიანი გასტროლით 1974 წელს შტატებში ჩავვედით. უნდა ვაღიარო, რომ კონცერტის პროგრამაში „ჩაკრულოს“ შეტანის წინააღმდეგი იყო ბატონი ოთარ თაქთაქიშვილი, არა და შეერთებულ შტატებში ჩვენი „სავიზიტო ბარათი“ სწორედ „ჩაკრულო“ გახდა, რომელიც ამერიკული პრესის მიხედვით საქართველოს ჰიმნად იყო მიჩნეული. მეამაყება, რომ „ჩაკრულოს“ ჩემეული ვარიანტი ქართული მრავალხმიანი სიმღერა დედამიწას გასცდა და კოსმოსში ისმის დღესაც... მართალია ეს ჩვენს უკუღმართ ღროში აღარავის ახსოვს, მაგრამ ის ვარიანტი მე მეკუთვინის და ჩემი გუნდი ასრულებდა... გასტროლი უაღრესად საპასუხისმგებლო იყო და საკმაოდ რთული, რადგან 80 კაციაანი შემადგენლობით სამი თვით, ხან დღეში ორი კონცერტის ჩატარება გვიხდებოდა, გადავადგილდებოდით ავტობუსებით და იყო შემთხვევები, როცა ანსამბლის წევრები ავტობუსებში იცვამდნენ და პირდაპირ სკენაზე გვიწევდა გამოსვლა... ყოველი გასტროლის შემდეგ ისეთი დაღლილი და გამხდარი ჩამოვდიოდი, ოჯახი ძლივს მცნობდა... ყანაში გლჯეს არავინ მოჰკითხავს კარგად იმღერებს თუ ცუდად, მაგრამ როცა კოლექტივი საზოგადოების წინაშე უნდა წარსდგეს, პროფესიულ დონეზე გამოვიდეს, მას პროფესიონალი ხელმძღვანელი უნდა ჰყავდეს, რაც უფრო განათლებულია ხელმძღვანელი, მით უფრო პროფესიულია გუნდი... გუნდში დირიჟორი განსაკუთრებული ფიგურაა... კონცერტის დროს მუსიკა უნდა იყოს დირიჟორში, დირიჟორი მსმენელში, მსმენელი მუსიკაში და ვინც ამას ახერხებს ის არის ნამდვილი დირიჟორი... გასტროლებიდან დაბრუნების შემდეგ დავტოვე ანსამბლი, საყვარელი საქმე, უკომპრომისო ვიყავი ჩემს საქმიანობაში... ინტრიგების მსხვერპლი გავხდი, ძალიან დაღლილი ვიყავი ცილისწამებებით, თუმცა, უნდა ვთქვა, რომ ჩემი ნამოსვლის მერე ანსამბლი მთლიანად დამალეს და ჩემი კონტრაქტით სულ ახალი შემადგენლობა, სხვა ხელმძღვანელით მალე ისევ შეერთებულ შტატებში იყო (ამერიკელი იმპრესარიო, პრესა და საზოგადოება გაოცებული დარჩა, რადგან კონტრაქტი ანზორ კავსადის ანსამბლთან ჰქონდათ დადებული და მოუთმენლად ელოდნენ ტრიუმფალური გასტროლის განმეორებას-პეტრე ხვედელიძე).


სახელმწიფო ანსამბლის შემდეგ ზუგდიდის ანსამბლ „ჩელას“ ვხელმძღვანელობდი 18 წლის მანძილზე. 24 ქვეყანაში ვიმოგზაურეთ ერთად, რა თქმა უნდა, დიდი წარმატებით. ამჟამად პენსიაზე ვარ და ჩემს სფეროში არავის ვჭირდები. რომ არა ბიძინა ივანიშვილი, რომელიც სახალხო არტისტებს თვეში 300 ლარს გვიხდის, ალბად ჩემი მდგომარეობა ძალზე სავალალო იქნებოდა... ძალიან მეუხერხულება მთელი ცხოვრება ჩემს ქვეყანას ვემსახურე და ადამიანი, რომელსაც არ ვიცნობ ის მეტად მაფასებს, ვიდრე ქვეყანა. ამას წინათ სპეციალურად საჩხერეში ჩავედი მადლობის გადასახდელად, მაგრამ სამწუხაროდ ვერ შევხვდი... დედამისს გადავეცი ჩემი სათქმელი... ამ ბოლო დროს შავნაბადას მონასტრის მამებს ვასწავლი ვალობას და ნოტებს, რომ ჩემს მერეც შეძლონ მუშაობა... მამა შიო გაბრიჩიძე კი ჩემი ნათლია გახდა... სიცოცხლის მიწურულს ერთი შემთხვევა ვთქვა, რომ ჩემი საქმისა და ჩემი ქვეყნისათვის არასოდეს მილაღატია... რაც შეეხება სიკვდილს... მე ორჯერ უკვე მოვკვდი - პირველად როცა საყვარელი მეუღლე გარდამეცვალა, მეორედ, როცა საყვარელ საქმეს ჩამომაცილეს და მესამე სიკვდილის საერთოდ აღარ მეშინია...

გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე ბატონმა პეტრე ხვედელიძემ ამერიკიდან ანზორ კავსაძეს, რომელსაც ტელეფონით ხშირად ეხმიანებოდა და ემეგობრებოდა თავისი არქივიდან ორი კასეტა და მსოფლიო შედეგების ის ნუსხა გამოუგზავნა, რომელიც კოსმოსშია გაშვებული და მეთორმეტე ნომრად ანზორისეული „ჩაკრულოს“ ვარიანტია ჩანერილი. ამ გზავნილს თან ახლდა ლამაზი ღია ბარათი:

„ვაშინგტონი. 30 ოქტომბერი, 2007 წელი

*ძვირფასო ბატონო ანზორ, არ ვპირდებით ასეთი ლამაზი სუფრის გაშლას (ღია ბარათზე გამოსახულია რენუარის ცნობილი თილო), სამაგიეროდ წავიყვანთ ძველი თბილისის რომელიმე სარდაფში, ნიკალას სურათით დამშვენებულში და კახური ღვინით ვათამაშებელი დაგვიანებულ მადლობას მოგახსენებთ იმ დიდი სულიერი სიამაყისთვის, რაც თქვენ მოგვანიჭეთ აქ, ვაშინგტონში 1974 წელს!*

*არ დაგავიწყდეთ, თქვენმა ცხოვრებულმა დედა,*



ანზორ კავსაძე შვილიშვილებთან ერთად

*ლექავას ქალმა, ას წელიწადზე მეტ ხანს იცოცხლა – არ უღალატოთ მას და დამხვდით მხნედ ღვინის სმაში შესაჯობებლად!*

*გვხვევით ძმურად, ქართველურად, პეტრე ხვედელიძე.”*

სოფიო ჯირკალიძე

**P.S.** ბატონი ანზორის გარდაცვალების შემდეგ მთელ მის განვლილ შემოქმედებით გზას შეფასება მხოლოდ სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ მისცა: „... ეს იყო ადამიანი, რომელმაც მთელი ეპოქა შექმნა XX საუკუნის მეორე ნახევრის ქართული კულტურის ისტორიაში“ ....

# „ლატავრა“ უთუოდ იმსახურებს დადგენას

დავინყებ იმით, რომ სასიამოვნოდ გამაკვირვა შარშან, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ მკითხველის ნათელა გულაშვილის წერილმა, რომელიც იმის შესახებ მეტყველებს, რომ პროფესიონალ მუსიკოსთა გარდა, არსებობენ კიდევ სერიოზული (კლასიკური) მუსიკის ბედით დაინტერესებული ადამიანები! მეტსაც ვიტყვოდი, თვით თანამედროვე მუსიკოს-პროფესიონალთა შორისაც, დღესდღეობით არ მეგულება არავინ, ვინც აქტუალურად ჩათვლიდა საუბარს ჩვენი უდიდესი კლასიკოსი კომპოზიტორის – ზაქარია ფალიაშვილის შესახებ, თითქმის მივიწყებული საოპერო ქმნილების „ლატავრას“ (1927) შესახებ.

რა თქმა უნდა, „ლატავრა“ ვერ შეედრება ფალიაშვილის გენიალურ ოპერებს – „აბესალომ და ეთერს“ და „დაისს“, მაგრამ ეს არავითარ შემთხვევაში არ უკარგავს მას თავის უდავო მხატვრულ-მუსიკალურ ღირსებებს.

პირდაპირ შეიძლება ვთქვა: ფალიაშვილს რომ მხოლოდ „ლატავრა“ დაეწერა, იგი მაინც ჩაითვლებოდა ქართული საოპერო მუსიკის კლასიკოსად, რამდენადაც ამ ოპერაში გამოვლინდა (ცხადია, არა ისეთი გენიალური ძალით, როგორც „აბესალომსა“ და „დაისში“) კომპოზიტორის შემოქმედებითი ნიჭის ის თვისებები, რომლებიც ფალიაშვილს სამარადისოდ უდიდეს ფიგურად ხდის ქართულ მუსიკაში.

დავიმონებ გამოჩენილ მუსიკისმცოდნეს – კლასიკური მონოგრაფიის „ზაქარია ფალიაშვილის“ ავტორს პროფ. ლადო დონაძეს, რომელიც „ლატავრას“ მუსიკისა და დრამატურგიის ჩრდილოვანი მხარეების აღნიშვნასთან ერთად, წერს: „ლატავრაში“ მრავლადაა ნათელი, დასამახსოვრებელი მუსიკალური ეპიზოდები. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს გუნდები და დიდი ანსამბლები, რომლებშიც ზ. ფალიაშვილი თავის საუკეთესო მიღწევათა დონემდე მალღდება. კომპოზიტორი ავითარებს აქ „აბესალომისა“ და „დაისის“ გუნდებისათვის დამახასიათებელ ეროვნულ-სტილისტურ ფორმებს.

„ლატავრას“ ზოგიერთმა სოლო ნომერმა სამართლიანად მოიპოვა პოპულარობა. ასეთებია, მაგალითად, ლატავრას დიდი არია – მზისადმი მიმართვა, რაინდ რატის ლირიკული არია „ო, სინანული, ცრემლი მდუღარე“, ელიშულის სატირული კუბლეტები, რომლებიც ხშირად სრულდება საკონცერტო ესტრადაზე და, განსაკუთრებით, ნენოს შესანიშნავი არია – ლოცვა „ბუნების ძალნო“, რომელიც ზ. ფალიაშვილის საუკეთესო მიღწევათა დონეზე დგას ( – გ.ტ.).

მთლიანად ვეთანხმები ჩვენი მუსიკისმცოდნეობის პატრიარქის ბატონ ლადო დონაძის სიტყვებს, რომლებიც შემოიძლია დავადასტურო ჩემი მცირედი „მსმენელური“ გამოცდილებითაც: ვესწრებოდი ლატავრას უკანასკნელი (!) დადგმის სპექტაკლებს 1950 წლის გაზაფხულზე. მაგონდება ერთი თითქმის კურიოზული შემთხვევაც. ათიოდე წლის შემდეგ დაბეჭდილ ერთ-ერთ წერილში მქონდა ასეთი ფრაზა: „ფაქტია, რომ ჯერჯერობით არ შექმნილა თანამედროვე ქართული ოპერა, რომელიც გაუტოლდებოდა ზ. ფალიაშვილის თუნდაც ყველაზე მოკრძალებულ ქმნილებას – ოპერა „ლატავრას“ ( ოთარ თაქთაქიშვილის შესანიშნავი „მინდია“ ჯერ არ იყო დადგმული), რამაც ძალიან გააფაგრა ზოგიერთი ჩვენი კომპოზიტორი.

ვუბრუნდები სერიოზულ თემას. როგორც ცნობილია (ცნობილია?!), წელს, აგვისტოს თვეში სრულდება ზაქარია ფალიაშვილის დაბადების 140 წლისთავი. რა კარგი იქნება, თუ ამასთან დაკავშირებით, ჩვენი საოპერო თეატრი გამართავს დიდი კომპოზიტორის სამივე ოპერის (ე.ი. „ლატავრასიც“!) საკონცერტო შესრულებას! ეს გახდება ღირსეული საზოგადოებრივი და შემოქმედებითი გამოხმაურება ამ სანიშნისვეთო თარიღზე.

რაც შეეხება „ლატავრას“, – დარწმუნებული ვარ, იგი მოეწონებათ მსმენელებს!



ანდრია ბალანჩივაძე, ნოდარ გაბუნია

# ნოდარ გაბუნიას კინო-მუსიკა

## თენგიზ აბულაძის ფილმისთვის „ვედრება“

*გასაუბრება რეჟისორ ნანა ჯანელიძესთან*

მრავალი წლის წინ თბილისში, საბურთალოზე, ვაჟა-ფშაველას ძეგლის გახსნას რომ ვეხსნებოდი, მახსოვს, ერთდროულად დამეუფლა აღტაცებაც და სინანულიც. პირველი გამონკვეული იყო გოგი ოჩიაურის საოცარი ხელთქმნილით — ვაჟას ქანდაკების მხრებში თითქოსდა კავკასიონის კლდეთაგან გადმოსული ენერგიით და

უსასრულო სივრცეში გატყორცნილ მზერაში ჩაბუდე-ბული მისტური იდუმალებით... მეორე კი — ძეგლისთვის შერჩეული შეუფერებელი ადგილით — უსახურ ყოფითობაში უბადრუკ შენობებს შორის ჩახერგილი მითიური ხატება... გავიდა ხანი და მერეღა ჩაფხვდი ამ პარადოქსის სიმბოლიკას. ვაჟა-ფშაველაც ხომ თავისი პოეტური აღმაფრენით, აზროვნებით, ფიქრით ასეთსავე უბადრუკ-უსახურ ყოფაში იყო ჩანთქმული. ეს სიმბო-

ლიკა გენიოსთათვის დამახასიათებელი დრო-სივრცის ორი განზომილებითაც იმიფრება: მათი შემოქმედების ერთი შრე დროის მიღმურ, მარადიულ ფასეულობებს წარმოაჩენს. მეორე შრე — ყოფითს, წარმავალს. ვაჟა-ფშაველა დიდი ქვეყნის შვილი რომ ყოფილიყო, მსოფლიოში უფრო მეტად დაიქუხებდა თავისი გმირების ძლიერი ვნებებით, ვითარცა შექსპირი, ამაღლებული სულიერებით, ვითარცა ბახის „პასიონები“, ფაუსტური „პარადიგმებით“, ვითარცა გოეთე, მოყვასის სიყვარულით, ვითარცა სახარებისეული მცნებანი.

ვაჟა-ფშაველას სამყაროსთან მიახლება ხელოვნების არცერთი დარგისთვის არ არის იოლი, მით უფრო კინემატოგრაფისთვის, რომელსაც ტრადიცია ამისა არ გააჩნდა. თენგიზ აბულაძისადმი მიძღვნილი კრებულის „ანარეკლების“ მიხედვით, თითქოს, რეჟისორმა მზა სცენარის წაკითხვის შემდეგ გადანყვიტა ფილმის გადაღება. არა მგონია მხოლოდ ამ სცენარს აენტო უცებ ისეთი პიროვნება, როგორც თენგიზ აბულაძე იყო, თუ არა მისი შინაგანი მზაობა, შესაძლოა ხანგრძლივად ნალოლიავები ფიქრი ვაჟას სამყაროზე.

ნანა ქავთარაძე — რას იტყოდით ამის შესახებ?

ნანა ჯანელიძე — „ვედრების“ გადაღებას წინ უსწრებდა ორი ორნაწილიანი დოკუმენტური ფილმის — „თუშური ჩანახატების“ და „სვანური ჩანახატების“ გადაღება. ეს ფილმები ფაქტობრივად მომზადება იყო „ვედრებისათვის“. ოპერატორი და რეჟისორი ვია ჭუბაბრია იხსენებს თენგიზის სიტყვებს: ვინც ვაჟას მოჰკიდებს ხელს, განუშეორებელ სურათს შექმნისო... „თუშური ჩანახატებიდან“ ზოგიერთი კადრი შემდეგ „ვედრებაში“ შევიდა, მაგალითად, სამგლოვიარო რიტუალის დროს ცხენებს რძეს რომ ასხამენ. მთავარი კი ის არის, რომ ამ ექსპედიციაში თენგიზს ნელ-ნელა გაეხსნა თვალი და დაინახა არა მარტო ეთნოგრაფია, არამედ უფრო მეტი. რა უცნაურიც არ უნდა იყოს, მას ყოფითი სხვა განზომილებაში გადაჰყავდა, სხვა მასშტაბს სძენდა.

თენგიზი გატაცებით კითხულობდა ვაჟა-ფშაველას ხუთტომეულს, ბევრს ფიქრობდა, ვიდრე მისი Alter

ego არ გახდა. მთელი ქარგა გაამთლიანა. თენგიზს აინტერესებდა გრიგოლ კიკნაძის რეაქცია ფილმზე. გრიგოლ კიკნაძე სკოლაშიც ასწავლიდა. ერთხელ მან ბავშვებს დაავალა დაენერათ რაში ხედავდნენ რუსთაველის გენიალობას. ყველამ რაღაც დაწერა. გრიგოლმა კი აუხსნა: „ვეფხისტყაოსნის“ გენიალობა არის „ამნაირობაში“. სიყვარულზე ყველა წერს, მაგრამ რუსთაველი ა მ ნ ა ი რ ი ა. ეს არის მნიშვნელოვანი და ამიტომ თენგიზი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ფორმას. სტაგნაციის პერიოდში მან დაინახა, როგორ მარცხდება ზენა და იმარჯვებს ქვენა. ამ მოტივის მიმართ მიხეილ კვესელავამ ანთო და ეს ხაზი გაატარა „ვედრებაში“. თენგიზს გარკვეული სტიმული მისცა რებო კვესელავასა და ანზორ სალუქვაძის სცენარმაც. „ვედრება“ თენგიზს ყველაზე მეტად უყვარდა და ტრილოგია ამ ფილმით უნდოდა დაესრულებინა.

ნ.ქ.— ამბობენ, რომ პითაგორე იყო პირველი, ვინც თავისთავს ფილოსოფოსი უწოდა და ეს ტერმინი დაამკვიდრა. მანამდე კი იყო „ბრძენი“, ანუ ადამიანი, რომელმაც იცის. პითაგორე კი ფილოსოფოსს უწოდებს მას, ვინც ცდილობს მოიძიოს, გაარკვიოს. ასეთი მაძიებელი სულის იყო ვაჟა-ფშაველა. გავიხსენოთ, როგორ მოანდომა მან ფიქრს სამი თვე, რათა მიეგნო იმ ერთადერთი სწორი პასუხისათვის, რაც ჯოყოლამ აღაზას გასცა ზვიადურის დატირების გამო. ბედნიერ შემთხვევად უნდა ჩაითვალოს „ვედრების“ შემქმნელი ჯგუფის — რეჟისორ თ. აბულაძის, სცენარისტების — რ. კვესელავას, ა. სალუქვაძის, ოპერატორი ა. ანტიპენკოს და კომპოზიტორ ნ. გაბუნიას ამგვარი მაძიებლური სულის თანხვედრა, რამაც ვაჟა-ფშაველას ფილოსოფიური მსოფლხედვის კინოებით განსხეულება განაპირობა. ვაჟა-ფშაველას მსოფლხედვა მოითხოვდა სრულიად განსხვავებულ კინო-ლექსიკას, ფორმას, დინამიკას. სიახლე, რაც „ვედრებამ“ მოიტანა არა მარტო აბულაძის შემოქმედებაში, არამედ საზოგადოდ კინემატოგრაფში, ტრადიციული კინოენის სივრციდან გასვლით გახდა შესაძლებელი, თუ ამ სივრცეში დარჩენით და არსებული საშუალებების გადააზრებით?



ნოდარ გაბუნია

ნ.ჯ.— კინოენა ინტუიციურად იქმნება. კინოენა ინდივიდს წარმოაჩენს, რომელიც მრავალ შთაბეჭდილებას ისრუტავს, გარდაქმნის, და, როგორც ვაჟა-ფშაველა იტყოდა, „საკუთარი სულის ქურაში გადაადნობს“. გავლენის გარეშე ხელოვანი არ იზრდება. თენგიზს მოსწონდა ბერგმანის „წყარო“, პაზოლინის „მათეს ვნებანი“, მაგრამ თენგიზის კინოენა მისი კინოენა იყო. ნიჭიერი კაცის ხელში კინოენის შესაძლებლობანი უსაზღვროა. თენგიზის კინოენა „ამნაირობაში“, ეს იყო მისი ფორმულა. ამიტომ გაფხვიერებული მისი სული საოცრად მგრძობიარე იყო ფორმისადმი.

ნ.ქ.— ახლა შევეხოთ ჩვენი საუბრის მთავარ თემას — „ვედრების“ კინომუსიკას, რომლის ავტორია კომპოზიტორი ნოდარ გაბუნია. საინტერესოა, რამ განაპირობა თ. აბულაძის არჩევანი იმ კომპოზიტორისა, რომელსაც მანამდე შეხება არ ჰქონია კინემატოგრაფთან, მაშინ,

როდესაც ამ სფეროში არაერთი ქართველი კომპოზიტორი ხანგრძლივად და ნაყოფიერად მუშაობდა?

ნ.ჯ.— თენგიზს ფრთხილი დამოკიდებულება ჰქონდა ბგერისადმი. რობერტ ბრესონის სიტყვებია: შეიძლება ხმაურითაც გადმოსცე დრამატურგიაო / გავიხსენოთ „ნატურის ხე“/. თენგიზის არჩევანი ინტუიციასა და ნდობას ემყარებოდა. ბატონ ნოდარისადმი მისი ნდობა „იგავიდან“ მოდის, რომლითაც გაბუნია ძალზე საინტერესო და მნიშვნელოვანი სიახლე შემოიტანა ქართულ მუსიკაში. თენგიზმა „მონანიებაში“ ასევე ინტუიციურად მიანდო ავთო მახარაძეს ურთულესი სახეების შექმნა. თენგიზისათვის ნდობა სიყვარულსაც ნიშნავდა და ზნეობის უმაღლეს მაგალითსაც. ნოდარ გაბუნიასთან მუშაობა მათმა ინტელექტმა გაამყარა.

ნ.ქ. — დიახ, ინტელექტი, ფართო ერუდიცია, მაღალი კულტურა, მრავალმხრივი ნიჭი, ინტელიგენტობა, „ევროპეიზმი“ /ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით/ — ეს ის ცნებებია, რომლებიც ჰარმონიულ მთლიანობას ქმნიან ნოდარ გაბუნიასთან მიმართებაში და სრულად წარმოჩნდებიან მისი მოღვაწეობის სხვადასხვა სფეროში /კომპოზიტორი, პიანისტი, პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე/. როგორც ჭეშმარიტი ინტელიგენტისთვის, მისთვის უცხო იყო ქედმაღლობა, ამპარტავნება. ამასთან დაკავშირებით მახსენდება დედა ტერეზას ლოცვა: „უფალს ვთხოვე წაეღო ჩემი სიამაყე და მან მიპასუხა — არა. მითხრა: სიამაყეს კი არ ართმევენ, მასზე თავად ამბობენ უარს.“ მოკრძალება და თავმდაბლობა შერწყმული საკუთარ შემოქმედებით შესაძლებლობებში ღრმა რწმენასთან, გაბუნიას, როგორც პიროვნებისა და ხელოვანის გამორჩეული თვისება გახლდათ და იგი მთელ მის მოღვაწეობას განსაკუთრებულ ხიბლს ჰფენდა.

ასეთი „გავიყანი“ ის სიტყაბუკეში მაშინდელ ჰიონერთა სასახლეში როგორც კონფერენციის ერთ-ერთი მონაწილე, რომლის მოხსენებამაც განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა. დამსწრეთა შორის იყვნენ სახელოვანი პოეტები: გ. ლეონიძე, გ. აბაშიძე, ა. კალანდაძე, მ. ლებანიძე, ლიტერატორები, პედაგოგები, მოწინაველები. მახსოვს, გოგონებმა გასასვლელში ტაშით

გავაცილეთ, მან მორცხვად დახარა თავი. ჩვენმა ქართული ლიტერატურის მასწავლებელმა ქ-მა ფოციამ – (ანა კალანდაძის მამიდა) გვითხრა: მისგან კარგი მეცნიერი დადგებაო.

ნოდარ გაბუნია მუსიკოსის პროფესია აირჩია. ენ. „ნიჭიერთა ათწლეულის“ დამთავრების შემდეგ თბილისის კონსერვატორიაში შევიდა ორ ფაკულტეტზე: საფორტეპიანო და საკომპოზიციოზე, შემდეგ სწავლა განაგრძო მოსკოვის კონსერვატორიაში ა. გოლდენვეიზერის ხელმძღვანელობით /ფორტეპიანო/, და ა.ხაჩატურიანის კლასში /კომპოზიცია/. მაგრამ მისი ინტერესების სფერო ამით არ შემოფარგლულა: ხელოვნება, ლიტერატურა, ფსიქოლოგია, ფილოსოფია, ენები, ჭადრაკი, ზუსტი მეცნიერების დარგები, განსაკუთრებით მათემატიკა და ფიზიკა/. აღსანიშნავია მისი ურთიერთობა მსოფლიო მასშტაბის ფიზიკოსთან ლევ ლანდაუსთან/ გაბუნიას გატაცების ის სფეროებია, რომლებიც მასშტაბურს ხდიდნენ მისი ნიჭის დიაბაზონს, ამდიდრებდნენ მის ცნობიერებას, აზროვნებას. ვისაც ერთხელ მაინც მოუსმენია მისი მოხსენება ან მასტერკლასი, ვისაც თვალი შეუვლია მისი კლავირებისა და პარტიტურებისთვის /მაგ.: სიმფონია №3 „ჯოკონდა“, საფორტეპიანო და სავიოლინო კონცერტები, საფორტეპიანო ტრიოები, სონატა საყვირის, ფორტეპიანოსა და დასარტყამი ინსტრუმენტებისათვის, საფორტეპიანო სონატები და სხვა/, არ შეიძლება არ ეგრძნო გაბუნიასეული ინტელექტის ძალა და არ დაენახა მასალის ორგანიზაციაში მტკიცე ლოგიკით გათვლილი ფორმა, კომპოზიცია, დრამატურგია. მის ნაწარმოებებში იგრძნობა „უჩინარი სიბრძნე“, რომელიც არასდროს არ თრგუნავს მის არტისტულ ბუნებას, ცხოვრების რომანტიკულ განცდას. ეს სიბრძნე განფენილია ამ ნაწარმოებთა საშენ მასალაში, რომელსაც ანესრიგებს მისი მგრძობიარე გული, ყური, გონი.

ნოდარ გაბუნია კონცეპტუალურად მოაზროვნე მუსიკოსი იყო. მასწავლებმა ჩაიკოვსკის სახ. I საერთაშორისო კონკურსზე ვან კლაიბერნის ფენომენით გამოწვეული აჟიოტაჟი ჯერ მოსკოვში, შემდეგ თბილისში. ეს აჟიოტაჟი ჯერ არ იყო განულებული, როდესაც მოსკოვიდან ჩამოვიდა ნოდარ გაბუნია და

კლავირაბენდში შეასრულა იგივე ნაწარმოები, რაც ამერიკელმა პიანისტმა – ლისტის სონატა სი მინორი. ინტერპრეტაცია იყო სრულიად განსხვავებული, ღრმა, საინტერესო, გოეთესეული. დაუვინყარია იმავე საღამოს შესრულებული ფრანკის პრელუდია, ქორალი და ფუგა, შუმანის ფანტაზია და განსაცვიფრებელი დებიუსი. იმ საღამოდან მე გავხდი ნოდარ გაბუნიას კონცეპტუალური აზროვნების თაყვანისმცემელი.

ის იყო ნოვაციებისადმი ვახსნილი ხელოვანი... მან პირველმა აზიარა ქართული მუსიკალური საზოგადოება XX საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი კომპოზიტორის ბელა ბარტოკის შემოქმედებას. დღესაც ცოცხლობს ჩვენში მის მიერ შესრულებული ბარტოკის მეორე და მესამე საფორტეპიანო კონცერტები და ასევე სონატა ორი ფორტეპიანოსა და დასარტყამი ინსტრუმენტებისათვის. ბარტოკის მუსიკის საუკეთესო ინტერპრეტაციისა და პოპულარიზაციისათვის უნგრეთის მთავრობამ ნოდარ გაბუნია ბარტოკის სპეციალური მედლით დააჯილდოვა.

ქართული სამემსრულებლო ხელოვნების მოვლენა უნდა ეწოდოს ფაქტს, როდესაც პიანისტი რამდენიმე საღამოს მიუძღვნის ბეთჰოვენის სონატების სრული ციკლის (32 სონატა) შესრულებას. ამ მხრივ ნოდარ გაბუნიას ბადალი არ მოეძებნება ქართველ პიანისტებს შორის. არანაკლებ მნიშვნელოვანია ქართულ საკომპოზიტორო ხელოვნებაში ნოდარ გაბუნიას მიერ შემოტანილი სიახლე აზროვნების, მუსიკალური მოდელების, სტილის თვალსაზრისით. რაც მთავარია, ეს ნოვაციები ეროვნული ფესვებიდანაა ამოზრდილი და მაღალი გემოვნების ბეჭედი აზის. მხედველობაში მაქვს მისი „იგავი“ მთქმელის, სამი სოლისტისა და კამერული ორკესტრისათვის სულხან-საბა ორბელიანის მიხედვით. 1973 წელს „იგავმა“ იუნესკოს საერთაშორისო მუსიკალური კონკურსის გრან-პრი მოიპოვა. მას სამართლიანად უწოდეს „ქართული მუსიკის შედეგრი“.

ნოდარ გაბუნია სხარტი, აფორისტული აზროვნების ოსტატი იყო. მას ახასიათებდა აზრის ლაკონურ ფორმამი გამოხატვა. მისი ესა თუ ის დებულება-ფორმულა იყო ტევადი, დაწურული, მკაფიო, განვითარების დიდი პოტენციის შემცველი. ამიტომ საუბარში მას ამ ფორ-

მულის გაშლა-განვითარება, ანუ პროცესუალობა იტაცებდა. ეს ნიშანი მის მუსიკალურ კომპოზიციებშიც ჩანს. მათი თემატიკა უაღრესად სახიერი, მთელი ნაწარმოების არსის გამტარია. სამაგალითოდ დავასახელებ არაჩვეულებრივად პოეტურ, ნატიფ, ემოციურად საგსე, მღერადობით გაჯერებულ და მაღალი გემოვნებით აღბეჭდილ თემას კინოფილმიდან „ამბავი ივანე კოტორაშვილისა“ ნატო გაბუნისა და ვახტანგ კახიძის შესრულებით.

ნოდარ გაბუნისა აზროვნების კიდეც ერთ ნიშანზე მინდა გავამახვილო ყურადღება — მხატვრული პროცესის რეჟისორულ ხედვაზე და მონტაჟის ნიჭზე. ეს მისი საშემსრულებლო და საკომპოზიციო ხელოვნების თანმდევი ნიშანი იყო, რაც შემდგომ მის პედაგოგიურ მოღვაწეობაშიც გამოიკვეთა, კერძოდ, კლასის კონცერტებს ის „პერსონალურ გამოფენებად“ აღიქვამდა. დაუვიწყარია 2000 წელს გამართული გაბუნისა კლასის კონცერტი, რომელსაც მან „მუსიკალური იმპრესიონიზმის გამოფენა“ უწოდა.

ნოდარ გაბუნისა შემოქმედებითი სახის ზოგად შტრიხებზე იმიტომ გავამახვილე ყურადღება, რომ, ვფიქრობ, ისინი გარკვეულწილად დაძვინძვრებიან „ვედრების“ მუსიკის თავისებურებათა გარკვევაში.

ნანა, თქვენ საკმაოდ კარგი მუსიკალური განათლების რეჟისორი ბრძანდებით, საკუთარი სპექტაკლების, ზოგიერთი თქვენი ფილმის, ასევე „მონანიების“ მუსიკალური გაფორმების ავტორი ხართ, ანუ კინემატოგრაფიული და მუსიკალური აზროვნების შერწყმის დიდი პრაქტიკული გამოცდილება გაქვთ. დამეთანხმებით, რომ როდესაც კომპოზიტორს იწვევთ, იგი ორიდან ერთ გზას ირჩევს — ან წერს მუსიკას კინოსთვის, ან კინომუსიკას, რომელსაც თავისი იმანენტიკა გააჩნია და კინოპროცესის ლოგიკას ექვემდებარება.

ნ.ჯ.— ანუ თქვენ გინდათ თქვათ, რომ კომპოზიტორი მუსიკალურ დრამატურგიას აგებს კინემატოგრაფიული კანონზომიერებების გათვალისწინებით, რის გამოც ფილმში „ხედვითი“ და „ხმოვანი“ შრეების თანხვედრა ჰარმონიულ მხატვრულ მთლიანობას ქმნის.

ნ.ქ.— დიახ, და ასეთ შემთხვევაში მუსიკა არ იქცევა უბრალო ილუსტრაციად ან ფონად. „ანარეკლებში“

კი ნოდარ გაბუნია წერს: „მე ფილმისთვის არ ვწერდი მუსიკას, მე ვაჟა-ფშაველას სულს ვწვდებოდი. როცა მუსიკის გამოსახულებაზე დადებდა დავინწყეთ, ამან ძაღვზე გააადვილა საქმე. მუსიკა ძალიან მოუხდა. დიდხანს ეძებდა მკითხველის ხმას „ვედრებისთვის“, ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ირაკლი უჩანეიშვილმა წაიკითხა სადად, კარგი ინტონაციით, აფექტაციის გარეშე. მე რომ ტექსტი მოვისმინე, ვთქვი, რა საჭიროა მუსიკა-მეთქი. ტექსტი რომ დაედო, თითქოს მუსიკა უკვე ხელს უშლიდა, მერე ფონად გავატარეთ და ყველაფერი თავის ადგილას დადგა.

როგორ ფიქრობთ, ნოდარ გაბუნისა მუსიკა ამ ფილმში მართლა ფონია, თუ აქაც კომპოზიტორს მისთვის ჩვეული მოკრძალება ალაპარაკებს, ხელოვანს, რეჟისორული ხედვის უნარით რომ იყო დაჯილდოებული?

ნ.ჯ.— „ვედრების“ მუსიკა ასეთ შთაბეჭდილებას ნამდვილად არ ტოვებს. როგორც ფილმი, ასევე მისი მუსიკაც სხვა ხედვას მოითხოვს.

ნ.ქ.— მოგახსენებთ: ნოდარ გაბუნია ქართულს ჩინებულად ფლობდა (უცხო ენების ბრწყინვალე ცოდნასთან ერთად). იგი ზედმინევიტით კარგად გრძობდა ვაჟა-ფშაველას სიტყვის ეფფონიას, მის იდუმალ ძალას და ღვთაებრივ უნარს, გამოხატოს პიროვნების თავისუფლებისკენ ლტოლვა და ამისათვის სულიერი თავგანწირვა. „ვედრების“ გადაღებულ მასალაში მან სიტყვის ეს ძალმოსილება იგრძნო და აქ იგი თენგიზ აბულაძის თანამოაზრე გახდა. ორივენი ვაჟას სულს ჩასწვდნენ. ამიტომ მთელ ფილმში მაქსიმალური სივრცე პოეტური სიტყვის ხმოვანებას ეთმობა, მინიმალური — მუსიკას. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ იგი არის ფონი. ჩემი აზრით, მუსიკა „ვედრებაში“ კინოპროცესის განუყოფელ ერთეულად მოიაზრება და ამიტომ გამოკვეთილია მისი დრამატურგიული ფუნქცია, „ვედრების“ ფილოსოფიური არსი, მისი პლასტიკა, სივრცისა და შუქ-ჩრდილების საოცარი მეტყველება. თითოეული კადრის კომპოზიციურ-ფერწერული გააზრება (მიუხედავად იმისა, რომ ფილმი შავთეთრია),

დაბოლოს, „უჩინარი სიბრძნე“ სიჩუმის ფენომენისა, ანუ მთაში შეხიზნული მღუმარების იდემალება — ყოველივე ეს ვაჟა-ფშაველას ფილოსოფიური კრედო-დან იღებს სათავეს:

ბუნება მბრძანებელია,  
იგივ მონაა თავისა,  
ზოგჯერ სიკეთეს იხვეჭავს,  
ზოგჯერ მქმნელია ავისა,  
ერთფერად მტვირთველი არის  
საქმის თეთრის და შავისა,  
საცა პირიმშეს ახარებს,  
იქვე მთხრელია ავისა  
-----

აქედან ამოიზარდა „ვედრების“ არსიკ და მოდელიკ. კინოენის პლასტიკამ ამ ნიშნებით გააერთიანა ფილმში შესული ნოველები, რომელთა გამთლიანებაშიც მუსიკის დარამატურგიული როლი მკაფიოა. თ. აბულაძე წერს: „ვედრება“ კეთილისა და ბოროტის ჭიდილიაო, კიდევ წერს, რომ „ქართულ კულტურაში ძლიერია ტრადიცია, რომელიც სათავეს იოანე პეტრინის ფილოსოფიიდან იღებს: მას მიაჩნდა, რომ ბოროტება, როგორც სუბსტანცია, არ არსებობს — არის სიკეთე, მხოლოდ მზე...ბოროტება — ეს არის სიკეთე, რომელიც არ გააკეთეს, ან, როგორც „ვედრებაში“ — ჩრდილი, სიკეთის ნათელს ჩამოფარებული ჩრდილი“. „ვედრებაში“ სიკეთის, სილამაზის და ჭეშმარიტების სიმბოლოა ასული, ბოროტებისა — მაცილი. ორივე ეს სახე-სიმბოლო შესაბამისი მუსიკალური მასალითაა გახსნილი. ასულის სახეს კომპოზიტორმა მღერადი ლირიკული თემა და სიმებიანთა რბილი ხმოვანება მიუსადაგა. ამ თემის „ქვეტექსტად“ აღიქმის სევდა, მიუსაფრობა, დაუცველობა. მაცილი-ბოროტების სახე-სიმბოლო გროტესკული მუსიკითაა გახსნილი (ორ კონტრასტულ თემაში, ერთი — წყვეტილი სეკუნდური სვლებია, მეორე — ფლეიტის ბასრი მოტივი მაღალ რეგისტრში მთის ინტონაციებით გაჯერებული). მუსიკალურ შრეში არის მესამე სახე-სიმბოლოც — საორკესტრო ხმოვანებით შექმნილი მთის ყოფა — სიმტკიცისა და შეუვალი სისასტიკის მტვირთველი.

ეს სახე-სიმბოლოები მთელ ფილმს გასდევენ და ტრანსფორმირდებიან იმის მიხედვით, თუ როგორ აზრობრივ-ემოციურ ტონალობაში გადანწყვეტილი ესა თუ ის ნოველა. ანუ ეს თემები ლაიტთემების ფუნქციას ასრულებენ და ფილმის მთელ სივრცეს მოიცავენ როგორც „გამჭოლი“ მუსიკალური სახეები. მაგალითად, ლირიკული თემა პროლოგის შემდეგ არაერთგზის ჩნდება ასულის სცენებში, ასევე აღაზას მიერ ზვიადაურის დათირების შემდგომ, ჯოყოლას ოჯახის თემიდან მოკვეთის სცენაში და ეპილოგში. მაცილის თემის ტრანსფორმაცია უფრო აქტიურია და ხშირი ძალადობისა და სისასტიკის გამომხატველ სცენებში, განსაკუთრებით კი სიურეალისტურ ჩანართებში. საორკესტრო უნისონები კი ხან განგაშის, ხან სამგლოვიარო სვლის, ხან სიკვდილისა და განწირულების სახეებად გარდაიქმნება. გარდა ამისა ზოგიერთი ნოველის მუსიკალურ შრეში ახალი მასალა შემოდის, მეტნილად ჟანრული. ასეთია ქისტების სასაფლაოზე ლოცვის რიტუალი „ილაილა-ილალა“ ზვიადაურის მსხვერპლად შეწირვის სცენაში, აგრეთვე მოთქმით ტირილის ეპიზოდი, სადაც „ბუზიკის“ (ანუ გარმონის) ფონზე მოტირალი ქალის ხმას მამაკაცთა უნისონები და ზარების რეკვა უერთდება და სხვა.

„ვედრება“ ნოველებისგან შემდგარი ციკლია და იგი კონკრეტული მუსიკალური მოდელის ასოციაციებს იწვევს, სახელდობრ სიუიტის, რომელიც დამოუკიდებელი ნაწილებისგან შედგება, გამთლიანებული და შეკრული გამჭოლი სახეებით. მუსიკალური ფორმების ალუზიას იწვევს მსახიობისა და მამაკაცთა ქოროს ანტიფონური ხმოვანება, ასევე რეპრიზულობა, ანუ პროლოგის მასალის გამეორება ეპილოგში, რაც ფორმას ჰარმონიულად ამთლიანებს. მაგრამ მთავარია ის, რომ „ვედრებაში“ კინოენით შექმნილ პოეტურ სამყაროს მუსიკა ემოციურად ავსებს, ამდიდრებს და ამიტომ, ვფიქრობ, თენგიზ აბულაძესთან ერთად ნოდარ გაბუნიასაც ეთქმოდა სამყაროზე ვაჟას სიტყვები:

„მანც კი ლამაზი არის,  
მანც სიტურფით ჰყვავისა“.



ანსონ, ივანე და გაქარია ფალიაშვილები

# მუსიკოსი ფალიაშვილები

3 ავვისტოს დიდ გაქარია ფალიაშვილს 140 წელი უსრულდება. გაქარია ფალიაშვილის მემორიალურ სახლ-მუზეუმში განსაკუთრებული ინტენსივობით იმართება ღონისძიებები – მიძღვნილი ამ თარიღისადმი.

მუზეუმების საერთაშორისო დღეს – 18 მაისს გაქარია ფალიაშვილის სახლ-მუზეუმი ახალი ექსპოზიციით შეხვდა „ფალიაშვილების ოჯახი და ქართული მუსიკა“. ფოტო-ექსპოზიციამ წარმოდგენილი არიან გაქარია ფალიაშვილის დიდი ოჯახის ის წევრები, რომლებმაც



ივანე ფალიაშვილი მთავარსთან - ლილია უსაინასთან ერთად

მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ქართული სა-მუსიკო ხელოვნების განვითარების პროცესში.

ივანეს - ამ უნიკალური ოჯახის პირველ შვილს, რომელსაც წილად ხვდა ბედნიერება გამხდარიყო ქართული სადირიჟორო სკოლის ფუძემდებელი - განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ფოტო -გამოფენაში. ზ. ფალიაშვილის სახლ-მუზეუმის ფონდში დაცულია საკმაოდ ვრცელი მასალა ამ დიდი შემოქმედის შესახებ: ფოტოები, ხელნაწერები, სხვადასხვა ქალაქებში მოღვაწეობის დროს მიღებული მოსალოცები, დეპეშები. მაგრამ ამ წერილში განსაკუთრებულ ყურადღებას ზ. ფალიაშვილის ოჯახის ნაკლებად ცნობილ წევრებზე შევაჩერებთ, კერძოდ გიორგი ფალიაშვილზე.

თავდაპირველად გამოფენის შექმნა ერთმა ფრაგამ შთაგვაგონა: ნოდარ ფალიაშვილი, რომელიც გარდა იმისა, რომ ზაქარიას ძმის ლევან ფალიაშვილის (კომპოზიტორი-თეორეტიკოსი) ვაჟია, ასევე მუზეუმის

ერთგულ გულშემატკივართა რიცხვს მიეკუთვნება. ბატონმა ნოდარმა არაერთი მნიშვნელოვანი ექსპონატი გადასცა სახლ-მუზეუმს, არაერთი საინტერესო ამბავი აქვს მონათხრობი ჩვენთვის - მუზეუმის თანამშრომლებისთვის.

ეს ამბავი ცნობილ ფოტოს - „ნ მუსიკოსი ფალიაშვილი“ - შეეხება. ბატონ ნოდარს მამისაგან მოუსმენია, როდესაც ივანეს, ზაქარიას, პოლიკარპეს, ჟანასა და ლევანს სურათის გადაღება გადაუწყვეტიათ, გიორგის - მათ უმცროს ძმას (რომელიც პროფესიით ფრანგული ენის სპეციალისტი იყო) არ ეცალა და ვერ მოასწრო მოსვლა. ბატონი ლევან ფალიაშვილის თქმით, ის აუცილებლად უნდა მოიაზრებოდეს მეექვსე მუსიკოსად.

ჩვენ შევეცადეთ მოგვეპოვებინა ინფორმაცია გიორგი ფალიაშვილის შესახებ და მივაკვლიეთ ორ საინტერესო წერილს მუზეუმის ფონდში, რომელიც თავის დროზე ბატონ ვაჟა ჩინჩალაძეს (მუზეუმის პირველი დირექტორი, ერთ-ერთი შემქმნელი) მოუპოვებია.

ერთი მათგანი ბატონ ბ. მირაქიშვილის წერილი გახლავთ (ზ. ფალიაშვილის დეიდაშვილი). იგი წერს, რომ გიორგი (1873-1902) არანაკლებ მუსიკალური იყო, ვიდრე მისი უფროსი ძმები ზაქარია და ვანო, რომ ისიც დადიოდა ქუთაისის კათოლიკურ ეკლესიაში, შესანიშნავად უკავდა ორღანოზე და მღეროდა საეკლესიო გუნდში. მორწმუნე მრევლი კი იტყოდა ხოლმე - დღეს ალბათ გირგი ფალიაშვილი უკრავსო- როდესაც განსაკუთრებით კარგ დაკრულს გაიგებდა.

ბატონი ბ. მირაქიშვილის თქმით, გიორგი საფრანგეთში ყოფილა გაგზავნილი კათოლიკეთა დიდ სემინარიაში, იქ რამდენიმე წელი დაუყვია, მაგრამ სწავლა არ დაუმთავრებია და თბილისში დაბრუნებულაო. იგი ძლიერ კარგად ყოფილა დაუფლებული ლათინურ და ფრანგულ ენებს, დანიშნული ყოფილა ფრანგ ქალზე, მაგრამ მისი ავადმყოფობის გამო ქორწილი არ შეძგარაო. ბ. მირაქიშვილი ამბობს, რომ მას „ფრანტივით ჩაცმა და ქუთაისის ბაღში სეირნობა უყვარდა, სახით კი ყველაზე ძალიან ლევან ფალიაშვილს ჰგავდა“.

მეორე წერილის ავტორი გამოჩენილი ქართველი მსახიობი ნიკოლოზ გოცირიძე კი წერს: „ცნობილ აღნიშნული გუნდში, როგორც ირკვევა, არამართო ივანე და ზაქარია, არამედ გიორგი ფალიაშვილიც მღერო-

და”. ავტორი მოგვითხრობს: „1894 წელს ი.რატილი მიწვიეს გუნდის ხელმძღვანელად და ლოტბარად, 1895 წელს გუნდი საგასტროლოდ ჩრდილოეთ კავკასიაში გაემგზავრა – კისლოვოდსკში, ესენდუკსა და ჟელეზნოვოდსკში. აღნიშნულ კურორტებზე მდიდარი არისტოკრატები ისვენებდნენ ხოლმე – პეტერბურგიდან და სხვა ქალაქებიდან, ხშირად საზღვარგარეთიდანაც ჩამოდიოდნენ კურორტზე სამკურნალოდ და დასასვენებლად“.

„მახსენდება – წერს ნ. გოცირიძე – რომელიც იმ დროს ამ გუნდის ერთ-ერთი მონაწილე იყო – ჟელეზნოვოდსკში „კურზალის“ წინ ჩვენმა გუნდის ხელმძღვანელმა მაგიდა დადგა და გიორგი ფალიაშვილს ბილეთები მისცა გასაყიდად, გუნდის წევრები იქვე ვიდექით. მაგიდას ლამაზად ჩაცმული ფრანგი ქალები მიუახლოვდნენ, რუსულად ვერ ახერხებდნენ საუბარს, გიორგი არაჩვეულებრივი ფრანგულით გამოელაპარაკა მათ, წარმოიდგინეთ ფრანგი ქალების გაკვირვება, მათთვის უჩვეულო და არნახულ ქულაჯაში გამოწყობილი ადამიანი მათ მშობლიურ ენას ასე წმინდათ ფლობდა“. ამ ამბის დასასრული კი მოგვავიწყებს ცნობილ ეპიზოდს დიდი ქართველი მწერლის ალექსანდრე ყაზბეგის ბიოგრაფიიდან: გიორგი ფალიაშვილსაც მსგავსი პასუხი გაუცია ფრანგი ქალბატონებისათვის – ჩვენი გუნდის წევრების უმრავლესობამ კარგად იცის ფრანგული, იქვე მდგომი ნ. გოცირიძისთვის, როგორც თავად წერს, გულს დაგადუგი დაუნყია და გიორგისათვის ასე უთქვამს: „კაცო! ერთი ვნახოთ, გზაში შემხვდნენ და ფრანგულად ლაპარაკი დამიწყონ, მაშინ რა ვუყო? – მე მხოლოდ ერთი სიტყვა ვიცი „ბონჟურ“...“

ეს წერილი ადასტურებს, რომ გიორგი ფალიაშვილი, რომელსაც ლამაზი ტენორი ჰქონდა, გატაცებული იყო ქართული ხალხური სიმღერით, ხშირად გალობდა ქუთაისის ქართველ კათოლიკეთა ეკლესიაში და ამასთანავე კარგად უკრავდა ორღანოზე და ფისჰარმონიაზე.

აღარ გავაგრძელებთ თხრობას დანარჩენ მუსიკოს ფალიაშვილებზე, ასევე ოჯახის იმ წევრებზე, რომლებიც სხვადასხვა პროფესიების მიუხედავად შესანიშნავად უკრავდნენ და მღეროდნენ: ანტონი (ეჭიმი) შეს-



გიორგი ფალიაშვილი

ანიშნავად ფლობდა ფორტეპიანოს, 900-იან წლებში ავტალის აუდიტორიაში ზ. ფალიაშვილის ხელმძღვანელობით საოპერო სპექტაკლები იმართებოდა, ჩამოყალიბდა „ოპერის მოყვარულთა დასი“, სპექტაკლები იდგმებოდა ფორტეპიანოს თანხლებით. ხშირად ფორტეპიანოს პარტიას ზაქარიას ძმა ანტონი (ტუშკი) ასრულებდა, ხოლო გუნდს – პოლიკარპე ფალიაშვილი დირიჟორობდა. გუნდში ხშირად ზაქარიას დები თეკლე, ანა და ნინო მღეროდნენ.

ვფიქრობ, მომსვლელთა ყურადღებას მუსიკოსი ფალიაშვილების ფოტოების ეპოქალური და მხატვრული მხარეც მიიქცევს.

# ბავშვთა კვირეული

ყოველწლიურად 1 ივნისიდან საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის საკონცერტო დარბაზი ერთი კვირით ნორჩ მუსიკოსებს ეთმობა. წლევანდელი ზაფხულიც ტრადიციულად „საბავშვო და მოზარდთა მუსიკის კვირეულით“ დაიწყო, რომელსაც მისი დამაარსებლისა და უცვლელი ხელმძღვანელის, გამოჩენილი ქართველი კომპოზიტორის მერი დავითაშვილის სახელი მიენიჭა.

თავდაპირველად აღსანიშნავია, რომ „კვირეული“ კონცერტების ციკლს წარმოადგენს, სადაც არ ხდება საუკეთესოთა და გამარჯვებულთა გამოვლენა. „კვირეულის“ ყველა მონაწილეს ეძლევა თავისი შემოქმედებითი მონაცემებისა და საშემსრულებლო ოსტატობის პროფესიულ სცენაზე წარმოჩენის, ერთმანეთის გაცნობის, მოსმენისა და მხარდაჭერის საშუალება. „კვირეულის“ მთავარი ამოცანა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ უფრო მეტი ბავშვისთვის საინტერესო და მიმზიდველი გახდეს პროფესიული მუსიკის შესწავლა და, ამავდროულად, მუსიკალური საგანმანათლებლო პროცესი ითვალისწინებდეს, როგორც მომავალ პროფესიონალ მუსიკოსთა აღზრდას, ასევე, მსმენელთა აუდიტორიის მომზადებას, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია ჩვენი საზოგადოებისთვის. „კვირეულის“ საკონცერტო პროგრამები მოიცავენ მსოფლიო კლასიკისა და თანამედროვე მუსიკის ნაწარმოებებს, სადაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ქართული პროფესიული მუსიკისა და, რა თქმა უნდა, ქართული ფოლკ-

ლორის ბრწყინვალე ნიმუშების წარმოჩენას ენიჭება. წლევანდელი „კვირეულის“ პირველი დღე იპოლიტოვ-ივანოვის სახელობის თბილისის №6 ხელოვნების სკოლის მოსწავლეებს დაეთმო, რომლებმაც ქართული მუსიკის კონცერტი წარმოადგინეს. მომდევნო დღეებში მსმენელთა წინაშე საკონცერტო პროგრამებით წარსდგნენ თბილისის სამუსიკო სასწავლებლების, ხელოვნების სკოლებისა და საჯარო სკოლებთან არსებული სამუსიკო სტუდიების მოსწავლეები, ხოლო ახალგაზრდა პიანისტთა თბილისის მეხუთე საერთაშორისო კონკურსის ლაურეატებმა „კვირეულისთვის“ მომზადებულ საჩვენებელ კონცერტზე ქართული საფორტეპიანო მუსიკა შეასრულეს.

აღსანიშნავია, რომ უკვე მეოთხე წელია „კვირეულში“ საქართველოს რეგიონების სამუსიკო სკოლებიც მონაწილეობენ. კომპოზიტორთა კავშირის ქვემო ქართლის ფილიალის მიერ წლევანდელ კონცერტში წარმოდგენილი იყო ამ რეგიონის სამუსიკო სკოლები: რუსთავის, გარდაბნის, ბოლნისის, მარნეულის, წალკის, მარტყოფის, დმანისის, თეთრი წყაროსა და კოდის.

რაც შეეხება კონცერტს „ჩვენი აფხაზეთი“, რომელიც აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრთან ერთად მომზადდა, მას განსაკუთრებული ემოციური მუხტი ახლდა, ვინაიდან კონცერტის მონაწილეებმა, სხვადასხვა სამუსიკო სასწავლო დაწესებულებების



მარი ჯავითაშვილი

მოსწავლეებმა, ძირითადად აფხაზეთიდან დევნილთა შვილებმა, მათ მიერ წარმოდგენილი კლასიკური და სასიმღერო მუსიკალური ნომრები აფხაზეთს უძღვნეს.

„კვირეულის“ ბოლო დღეს გაიმართა კონცერტი „ქართველი კომპოზიტორები – ბავშვებს და ნორჩ კომპოზიტორთა შემოქმედება“, რომელიც წლების მანძილზე „კვირეულის“ ტრადიციად იქცა და სადაც ცნობილ ქართველ კომპოზიტორებთან ერთად საკუთარ ნაწარმოებებს ნორჩი კომპოზიტორებიც წარმოადგენენ. საგულისხმოა, რომ მოზარდები სამემსრულებლო ოსტატობის დახელოვნებასთან ერთად, კომპოზიციისადმიც იჩენენ ინტერესს. მიუხედავად იმისა, გახდებიან ისინი

მომავალში პროფესიონალი კომპოზიტორები თუ არა, ეს ნამდვილად მნიშვნელოვანი ეტაპი იქნება მათი შემოქმედებითი აზროვნების ჩამოყალიბების თვალსაზრისით.

წლევეანდელმა „კვირეულმა“ კიდევ ერთხელ ცხადყო მოზარდი თაობის დაინტერესება პროფესიული და ხალხური მუსიკით. იმედია, რომ წარმატება პროფესიულ სცენაზე „კვირეულის“ ყველა მონაწილეს კიდევ ერთხელ გაუმყარებს საკუთარი შემოქმედებითი შესაძლებლობებისადმი რწმენას.

სტრასბურგში, 5 ივლისს, კლასიკური მუსიკის მსოფლიოში აღიარებულმა შემსრულებლებმა: ვიღონ კრემერმა, ევგენი კისინმა, მიშა მაისკიმ, მარტა არგერინმა და სხვებმა გამართეს კონცერტი რუსი პოლიტპატიმრების მხარდასაჭერად. კონცერტი «Musica liberat» მიეძღვნა მიხაილ ხადარკოვსკის, პლატონ ლეუბდევის და სხვა რუს პოლიტპატიმრებს. მეორე განყოფილების დასაწყისში ფორტეპიანოს მიუჯდა ლიტვის ექსპრეზიდენტი ვიტაუტას ლანდსბერგისი. მევიოლინე კრემერის თქმით: „ხელოვანთა ეს ჰუმანური აქცია მიმართულია პიროვნების დასაცავად. ამასთან, იგი ეძღვნება არა მხოლოდ ერთი პიროვნების დაცვას, არამედ სიტყვის თავისუფლების, და საზოგადოდ, თავისუფლების დაცვას რუსეთში“. მუსიკოსები ფიქრობენ რომ მუსიკა არ წარმოადგენს ბრძოლის ინსტრუმენტს, მაგრამ, ამავე დროს, დარწმუნებულნი არიან, რომ შოპენი, პროკოფიევი და შოსტაკოვიჩი გვესაუბრებიან ბევრად მეტი მჭერმეტყველებით, ვიდრე ნებისმიერი პოლიტიკოსი. ცნობილია, რომ მსტისლავ

როსტროპოვიჩის მონაფე, ვიოლონჩელისტი მიშა მაისკი თვითონ იყო პატიმარი საბჭოთა პერიოდში. მან თქვა: „მე მივიღე სსრ კავშირში არა მხოლოდ ბრწყინვალე მუსიკალური განათლება მოსკოვის კონსერვატორიაში, არამედ 18 თვე ციხე, მერე კოლონია, შემდეგ ორი თვე — ფსიქიატრიული საავადმყოფო... მე, არცთუ იოლი გზით მოვიპოვე უფლება დემტკბარეყავი სიტყვის, თვითგამოხატვის, გადაადგილების თავისუფლებით, და საერთოდ, ყველაფრის თავისუფლებით“. პიანისტმა კისინმა თავისი მონაწილეობა კონცერტში უბრალოდ ახსნა: „უარს არ ამბობენ ისეთ წინადადებაზე, რომელიც გთავაზობს შენი მუსიკით უკანონოდ დაპატიმრებულთა და რუსეთის პატიმართა მხარდაჭერას“.

სტრასბურგში შემთხვევით არ გამართულა ეს კონცერტი. ამ პატარა ფრანგულ ქალაქში თავმოყრილია ევროკავშირი, ევროპარლამენტი და ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლო. კონცერტის შემოსავალი გადაეცემა მოსკოვის ოლქის კოროლიოვოს ობოლ ბავშვთა ინტერნატს, რომელიც 1994 წელს დაარსა მიხაილ ხადარკოვსკიმ.

უცხოეთში ქონების კონფისკაციის ან დაყადაღებისაგან თავის დასაცავად, ჩეხეთის სახელმწიფომ გადაწყვიტა ჩამოართვას მუსიკოსებს ძვირფასი და ძვირადღირებული ინსტრუმენტები, რომლებიც მათ, თავის დროზე, დროებით სარგებლობაში გადაეცათ. სხვათა შორის, ეს განკარგულება შეეხო ტალიხის სახელობის კვარტეტსაც. ამგვარად, პეტრ პრაუბემ უნდა დააბრუნოს ვიოლონჩელი, დაზღადებული ჯოვანი გრანჩინოს მიერ, ხოლო იან ტალიხმა ანტონიო სტრადივარის ვიოლინო. ჩეხეთი შიშობს, რომ ინსტრუმენტები უცხოეთში შეიძლება კონფისკაციაში მოყვინ სახელმწიფოს საპაიო ანგარიშების ხარჯზე. 2011 წლის მაისში, პრადის და ბრნოს გალერეიდან ოტო გუტფროინდის ქანდაკების, ვინჩენცო ბენესისა და ერვინა ფილის ტილოების კონფისკაცია მოხდა, რომლებიც გამოფენილი იყო ვენაში, ბელვედერის მუზეუმში. აღნიშნული ვითარების მიზეზი კი გახდა სამართლებრივი დავა ფარმაცეპტულ კომპანია „Diag Human. Josef Stava“ – სთან, რომელმაც ჩეხეთის სახელმწიფოს უჩივლა კონტრაქტების

განყვეტის გამო და 2008 წელს პარიზის საარბიტრაჟო სასამართლომ კომპანიის სარჩელი დააკმაყოფილა. ჩხეთს დაეკისრა 116 მილიონი ევროს ზარალის ანაზღაურება.

3-12 ივნისს, მოსკოვში ჩატარდა მსოფლიოს სიმფონიური ორკესტრების VI ფესტივალი. ესაა, ფაქტობრივად, მოსკოვის მუსიკალური სეზონის კულმინაცია. ფესტივალი დაარსდა 2006 წელს და მასში მონაწილეობას იღებდნენ მსოფლიო რანგის დირიჟორები – ლორინ მააბელი, რიკარდო მუტი, ანტონიო პაპანო, მიუნგ ვუნგ ჩუნგი, ჯოვანი ნოტი, იური ტემირკანოვი, ვალერი გერგიევი, ივან ფიშერი, მიხაილ პლეტნიოვი, მიშელ პლასონი და მრავალი სხვა.

წელს სადირიჟორო პულტთან იდგნენ ჰორია ანდრეესკუ, პინხას შტეინბერგი, იური კოჩნევი, კშიშტოფ პენდერეცკი და ვლადიმირ სპივაკოვი. ტრადიციისამებრ, წელსაც, საერთაშორისო რანგის მუსიკოსთა მონაწილეობით ექვსი კონცერტი გაიმართება. ამჯერად ფორუმის სტუმრები იყვნენ კოლექტივები აღმოსავლეთ ევროპიდან. კლასიკისა და თანამედროვე

ნაწარმოებების გვერდით ყოველმა ორკესტრმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო თავისი ქვეყნის მუსიკას. ასე მაგალითად, ჯორჯე ენესკუს სახელობის ორკესტრმა (ბუჰარესტი). პროგრამა დაასრულა ენესკუს II სიმფონიით, ჩხეთის ფილარმონიულმა ორკესტრმა (პრაღა) – სმეტანას „ვლტავათი“ და დვორჟაკის უვერტიურით „კარნავალი“, ხოლო ვარშავის სიმფონიურმა ორკესტრმა ააჟღერა პენდერეცკის V სიმფონია, ავტორის დირიჟორობდა.

Sony-ის მუსიკალური და მედია კონცერტების შემდეგ, ხაკერების მრავალკვირიანი თავდასხმების შედეგად, gatyda Universal Music Group (UMG)-ის კონცერტების ვებ-გვერდი, რომელიც ბაზარზე ფლობს ისეთ კლასიკურ ხმისჩამწერ ლეიბლებს (ხმისჩამწერ ბრენდებს), როგორებიცაა Deutsche Grammophon და Decca. ამასთან, ხაკერულმა ფგუფმა “AntiSec” გამოაქვეყნა არა მხოლოდ მოპოვებული ინფორმაცია, არამედ ამ პლატფორმის მოხმარებელთა პაროლებიც კი. მართალია, ზარალის მასშტაბები ჯერ არაა ბოლომდე დათვ-

ლილი, მაგრამ აცხადებენ, რომ Sony-ისთან შედარებით, კომპანია Universal-ის დანაკარგები უმნიშვნელოა. როგორც ცნობილია 2011 წლის აპრილში Sony-ზე ხაკერული თავდასხმების შედეგად მოიპარეს პერსონალური მონაცემები.

თანამედროვე ამერიკელი კომპოზიტორის მაიკლ დორტის ფირფიტამ მოიპოვა „გრემის“ სამი პრემია, ხოლო მარინის თეატრის ლეიბლირეკორდი ნომინირებული 5 კატეგორიაში, წელს ჯილდოს გარეშე დარჩა.

აშშ-ს ხმისჩამწერმა ნაციონალურმა აკადემიამ დორტის ნაწარმოებების ალბომს «Deus Ex Machina» და სიმფონია „მეტროპოლისს“ მინიჭა პრიზი სამ ნომინაციაში: საუკეთესო ხმის რეჟისური-სათვის, საუკეთესო საორკესტრო შესრულებისათვის და საუკეთესო თანამედროვე კომპოზიციისათვის.

წლის ალბომად აღიარეს ვერდის „რეკვიემის“ ჩანანერი, შესრულებული ჩიკაგოს სიმფონიური ორკესტრისა და გუნდის მიერ რიკარდო მუტის ხელმძღვანელობით.

# ბიძინა და სულხანი

საბედნიეროდ, უახლოეს წარსულში იყო დრო, როცა საქართველოს ჰქონდა ძლიერი საკომპიუტერო სკოლა, ჰყავდა პროფესიონალიზმით და დიდი ინდივიდუალიზმით გამორჩეული კომპიუტერები. კავშირი ფუნქციონირებდა საინტერესოდ და ნაყოფიერად, თუ არ მივიღებთ მხედველობაში წვრილმან საკამათო პოსტულატებს, რომლებიც ყველგან და ყოველთვის ახლავს შემოქმედებით პროცესებს, ძირითადად კოლეგებს შორის კეთილმოსურნე დამოკიდებულება სუფევდა. ყველა თავმჯდომარე ღირსეული შემოქმედებითი ფიგურა გახლდათ და ბუნებრივია, სუბიექტური ხასიათის თვისებებიც კარგად სჩანდა გვერდინდან...

სულხან ცინცაძეც გახლდათ ერთ-ერთი თავმჯდომარე. არაჩვეულებრივი მუსიკოსი, ბრწყინვალე კომპოზიტორი, ლოიალური, კეთილმოსურნე პიროვნება. ძალიან უყვარდათ თანამშრომლებს. იგი მათ სრულ თავისუფლებას ანიჭებდა, ამიტომ კავშირში შინაურული ატმოსფერო მოეძალა.

ერთიც ვნახოთ, მოხდა ისე, რომ ცინცაძე-თავმჯდომარეს პირველ მდივნად დაუნიშნეს მაშინ ჯერ კიდევ ახალგაზრდა, წარმატებული, მხოლოდ საქმეში სიმკაცრეზე ორიენტირებული გია ყანჩელი.

ორ-სამ დღეში კავშირში სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა, თანამშრომლები სხედან თავიანთ ოთახებში, დაძაბულად მუშაობენ, ყველაფერს უთანხმებენ გიას და „ჰაერის ასაღებადაც“, კი არ გამოდიან გარეთ.

ერთხელ ბიძინა მივიდა კავშირში, დარეკვა დასჭირდა. შევიდა სულხანის კაბინეტში. ხედავს, არავინ არის, მაგრამ მაგიდაზე საფერფლეში სიგარეტი ხჩოლავს. დარეკა და გამოვიდა. – სად არის სულხანი? – არ ვიციო!.. მეორე დღესაც განმეორდა მსგავსი სურათი. ისევ ცარიელი ოთახი, საფერფლიდან სიგარეტის ბოლი მისტიური ფანტაზიით უშვებს ნიშნებს... ბიძინა ეკითხება ჩატუს(ჩატუ უბრალოდ თავმჯდომარის მდივანი): „ამ კაცს კრემაცია ხომ არ გაუკეთეთ უკვე?“

ბორჯომში, პლატოზე, კომპიუტერთა სახლი ჯერ კიდევ მშენებლობის პროცესში იმყოფებოდა. ამოდენა ტყეში, სანახევროდ დამთავრებულ კოტეჯში – „**ДИКИМ ОБРАЗОМ**“, საკმაოდ პრიმიტიულ პირობებში ვცხოვრობდით ბალანჩივაძეები და ჩვენ. დანარჩენ საზოგადოებას წარმოადგენდნენ მუდამ დასპირტული მცველები და „მშვიდობიანი ქოფაკები“.


ამ ფანტასტიკური ბუნების ნიაღში ვცხოვრობდით ლალად და მეგობრულად. ბატონ ანდრიასთან ურთიერთობა ხომ დიდი ნეტარება და ფუფუნება იყო... ლიკანის IV სამმართველოს სანატორიუმიდან ხშირად მოგვიდიოდნენ სტუმრები, აღტაცებას ვერ მალავდნენ და წარმოიდგინეთ, შემოგვანატროდნენ კიდევ... ერთხელ, სულხანმა(მაშინ თბილისის კონსერვატორიის რექტორმა) ამოიყვანა მოსკოვის კონსერვატორიის რექტორი – ბატონი კულიკოვი და გვთხოვა გაგვეჩვენა მეგზურობა ვარძიაში საექსტერსიოდ. ბორჯომის ხეობის წარმტაცი სილამაზით მოგადლოებული სტუმარი დიდი ინტერესით ელოდა ვარძიაში გამგზავრებას, აინტერესებდა ყველაფერი, მაგრამ ქართული ცოცხალი საინფორმაციო წყაროებით, ანუ ჩვენგან, ბევრი ვერაფერი გაიგო – ისტორიის და თარიღების სიზუსტის თვალსაზრისით... დაბნეულმა ბიძინამ განუმარტა: „**Это четвёртое управление двенадцатого века!!!**“

– „**Всё ясно, дорогой Бидзина, молодцом!**“ – გაეხარდა კულიკოვს. ცოტა ხანში ყველანი ინტერესით ვათვალიერებდით კლდეში ნაკვეთ სასახლეს და სამომავლოდ, ხარბად ვიმახსოვრებდით ისტორიულ თარიღებსა და ფაქტებს. ბიძინა დაიღალა და ამ ოღროჩოღრო კიბეებზე სიარული აღარ მოინდომა. სულხანი უხმობდა: „ნამო, ბიჭო, გაინძერი, არ განყენსო“.

– კაცო, ყველა ოთახი მანდ ვახტანგ ბერიძესაც არ უნახავს, რა გინდაო.

– ნამოდი და ვარძიის ისტორია დანერე კონსერვატორიის სტუდენტთა სახელმძღვანელოდ, – სამეცნიერო საათებში ჩაგითვლიო, ეხვენებოდა რექტორი...





ანდრე ბალანსინიძე

ISSN 1987-7773

